საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
28 ნოემბერი - 4 დეკემბერი, 2012
№45 (183)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ალბათ, ღვთის სასწაული უნდა მოხდეს, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ 12

# სააკაშვილი გადატრიალებისთვის ემზადება 2

„ის, სავარაუდოდ, დაიწყებს „ოცნების“ ლიდერების დაპატიმრებას, ტერორს მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ და ძალადობით შეეცდება ახალი მთავრობის დამტკიცება გაიტანოს და(ან) რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოიგოს.“



## ერთიანი ნაციონალური საცოდაობა 6

## შეკითხვა მთავარ პროკურორს: რატომ არ არის გამოცხადებული ინტერპოლის ხაზით შაშკინის ძებნა? 16

## მესამე პედიატრიულ კლინიკაში ჩვილს ორი დღით თავისუფლება აღუკვეთეს 13



## გიგი უგულავას მალე ვიხილავთ ბაჩო ახალაიას გვერდით საკანში 14



## ვლადიმერ პუტინი: ილია ჭავჭავაძემ რუსული კულტურის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა 25

## თუ არჩილ კბილაშვილი არ გააძევებს პროკურატურიდან სააკაშვილ-მერაბიშვილის ჯალათებს, «ვეტერანთა ლიგა» მის ოფისთან მწვავე საპროტესტო აქციებს მოაწყობს! 8



„მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ დაინიშნა **დავით მჭედლიშვილი.**

სააკაშვილის „მეფობისას“ იყო საოლქო პროკურორის მოადგილე, ასევე, საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახურის უფროსი...

**თეიმურაზ მიქაბერიძე** დაინიშნა ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსად. ეს პირი ადრე მუშაობდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორად და სამცხე-ჯავახეთის პროკურორად. აგერ, კიდევ სააკაშვილ-ადეიშვილის უკანონო ბრძანებებისა და მითითებების უყოყმანოდ შემსრულებელი — **ზაქარია დარჩიაშვილი.** ეს ვაჟბატონი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გადადგა ქალაქ რუსთავის მერის პოსტიდან. დღეს ზედამხედველობს კრიმინალური და საპატრულო პოლიციების დეპარტამენტებს!..

**გოჩა ფარულავა,** რომელიც აჭარაში პროკურორობდა, როდესაც იქ საშინელებები ხდებოდა, ახლა სერიოზულ დეპარტამენტს თავკაცობს.

თბილისის პროკურორად დაინიშნა **დავით კოჭლამაზაშვილი** — ადეიშვილის „მარჯვენა ხელი“, თავის შეფთან ერთად ჩადიოდა იმ უკანონობას, რასაც კახეთის გაძარცვა, მისი წიაღისეულის უკანონო გატანა ჰქვია!

**ალექსანდრე იმედაშვილი** კი თბილისის პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშნეს. ადეიშვილის ზეობისას მართავდა იმერეთის საოლქო პროკურატურას...

**ლაშა ლეთოდიანსაც** პროკურორის „სავარძელი“ ერგო. იყო ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილე. მერე შიდა ქართლში ბოგინობდა...

**გივი პაპუაშვილი** დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად. წარსულში აჭარის პროკურორი ბრძანდებოდა და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად იქაურ მოსახლეობას არბევდა და აწიოკებდა!“

**„ზემოთ ჩამოთვლილი პირები სააკაშვილის დროს უკანონობას აკანონებდნენ! მათი სანქციით ხალხს აშანტაჟებდნენ, შუაღამისას სახლებში უვარდებოდნენ, იჭერდნენ ადამიანებს; ხელს აფარებდნენ ზურა ვაზაგაშვილის, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის მკვლელებს!“**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიხეილ სააკაშვილს არ აქვს არც სიმამაცე, არც სხვა სერიოზული რესურსი იმისთვის, რომ კლასიკური, ანტიკონსტიტუციური პუტჩი მოაწყოს და აღმოჩნდეს სახიფათო სიტუაციაში, როდესაც მის პირად უსაფრთხოებას თუნდაც ჰიპოთეტური საფრთხე დაემუქრება.**

# სააკაშვილი გადატრიალებისთვის ემზადება?

**„ჩვენი ქვეყანა არის განსაცდელში და მე, რა თქმა უნდა, ჩემს ხალხს არ მივატოვებ არც განსაცდელში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 23 ნოემბერს. ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა ამ „განსაცდელში“; შესაძლოა იმას, რაც „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს დღეს ყველაზე მეტად აწუხებთ და რაზეც სააკაშვილმა შედარებით ვრცლად „ახალგაზრდული პარლამენტის“ წევრებთან შეხვედრაზე 20 ნოემბერს ისაუბრა.**



**„საჯარო და პირად საუბრებში რამდენიმე ისეთი გზავნილი დაფიქსირდა, რომლებიც ცალსახად სანერვიულო და შემაშფოთებელია. გვესმის მხოლოდ ერთი ფრაზა „ყველა დასაჭერია“. მთავარი პროკურორი გამოვიდა და გამოაცხადა, რომ არ არსებობს ძველი მთავრობის არც ერთი წევრი, რომელიც არ გადის დასაჭერების სიაში. შეიძლება ზუსტი შედარება არაა, მაგრამ გამახსენდა საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი — რობესპიერი. მისი გადაწყვეტილებით დღეში რამდენიმე ადამიანს ჭრიდნენ თავს. მერე შეკრიბა დეპუტატები და უთხრა, რომ ყველანი დასაჭერები იყვნენ. პარლამენტმა რა ქნა? მას გამოუტანეს სიკვდილით დასჯა“,** — განაცხადა სააკაშვილმა. ყველა, ვინც საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში ოდნავ მაინც ერკვევა, სავარაუდოდ, მივა დასკვნამდე, რომ **ეს უკანასკნელი პასაჟი ფრიად ავისმომასწავებელ სიგნალს შეიცავს** და შეეცდება დაადგინოს, რა დგას მის უკან: მხოლოდ უძლური მუქარა, სააკაშვილის ჩვეულ სტილში, თუ თანამოაზრეების პროვოცირება მოქმედებისთვის გარკვეული სცენარის კალაპოტში, რამაც „ნაციონალებს“ (თეორიულად) შეიძლება ხელისუფლება დაუბრუნოს?

**ხშირად, როდესაც ამა თუ იმ ისტორიულ ეპიზოდს აღწერს, სააკაშვილი ისეთ შეცდომებს უშვებს, რომლებიც მიანიშნებენ, რომ წაკითხულ წიგნს კი არა, ახლობლის მონაყოლს ეყრდნობა და მისი მოკლე შინაარსის გადმოცემას ცდილობს** (საინტერესოა, ვინ დაინტერესდა 1794 წლის მოვლენებით მის გარემოცვაში? თუ ეს ისტორია რაფაელ ანდრეევიჩ გლუქსმანმა უამბო?). მაგალითად, იმ დღეებში, რომელზეც სააკაშვილი საუბრობს, თავს ჭრიდნენ არა „რამდენიმე“, არამედ ათეულობით ადამიანს: 1794 წლის 10 ივნისიდან 27 ივლისამდე, მხოლოდ პარიზში სიკვდილით 1351 ადამიანი დასაჯეს (სხვა მონაცემებით 20 ივნისიდან 27 ივლისამდე — 1366 ადამიანი). ფორმულირება **„შეკრიბა დეპუტატები“** სავსებით მიესადაგება სააკაშვილის და მისი ძველი პარლამენტის, მაგრამ არა რობესპიერისა და კონვენტის ურთიერთობის პრაქტიკას. თუ დავწვრილმანდებით, არასწორია ფორმულირებები **„მისი გადაწყვეტილებით“** (საკვანძო პოლიტიკურ ფიგურებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას კოლექტიურად იღებდნენ, ხანდახან აზრთა სხვაობის პირობებში) და **„გამოუტანეს სიკვდილის დასჯა“**-ც, რადგან **კონვენტმა მიიღო ორი გადაწყვეტილება: ჯერ რობესპიერის დაპატიმრების, მოგვიანებით კი კანონგარეშე გამოცხადების შესახებ, რამაც შესაძლებელი გახადა მისი სიკვდილით დასჯა სასამართლოს გარეშე.** თუმცა ეს უმნიშვნელო ნიაუანსებია, მთავარია, რომ მაქსიმილიან რობესპიერს არ უთქვამს დეპუტატებისთვის, რომ **„ყველანი დასაჭერები იყვნენ“** და, გამორიცხული არაა, რებუსის გასაღები სწორედ ამ რეპლიკის ქვეტექსტში ვიპოვოთ.

კაცმა რომ თქვას, **სააკაშვილს რობესპიერთან გაცილებით მეტი აქვს საერთო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქართველ პოლიტიკოსს. ბავშვობიდან მომავალი მძიმე კომპლექსები და ორივეს საყვარელი ყვავილი — ვარდი, გვერდზე რომ გადავდოთ, ვნახავთ, რომ ორივე პრობლემურ სიტუაციებს ერთნაირად წარმოაჩენდა და ერთი და იმავე ალგორითმის მიხედვით მოქმედებდა.** ერთის მხრივ, ამბობდნენ ისინი, არის „რევოლუციის მონაპავარი“, მეორე მხრივ კი, — მტრები, რომლებიც (გარე ძალების სურვილის შესაბამისად) მის განადგურებას ლამობენ. აქედან გამომდინარე, „ნამდვილი პატრიოტები“ უნდა გაერთიანდნენ და ხსენებულ მტრებს მუსრი გაავლონ. მირაბო, ბარნავი, ლაფაიეტი, დანტონი, დემულენი, ჟირონდისტები, ებერტისტები, კომუნის ხელმძღვანელები — მთავარი მტრის როლს რობესპიერი ხან ერთს, ხან მეორეს არგებდა (სააკაშვილი სხვას რას აკეთებდა?). **რობესპიერმა გაანადგურა ყველა ძლიერი მოწინააღმდეგე, რის შემდეგაც, ერთობ მოულოდნელად, შეშინებულმა და ნაკლებად ორგანიზებულმა სადეპუტატო „ჭაობმა“ ბოლო მოუღო და ეს არა იმდენად პოლიტიკურმა, რამდენადაც ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა განაპირობა.**

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის პროცედურა მაქსიმალურად გამარტივებული იყო, გილიოტინა შეუჩერებლად მუშაობდა. ამ დროს რობესპიერის მოწინააღმდეგეებმა, ჩვენ დროში რომ იტყვიან, მეტად ეფექტური ტექნოლოგია გამოიყენეს და დაიწყეს ამ საშინელი რეპრესიების და რობესპიერის სამომავლო გეგმების წარმოჩენა კიდევ უფრო საშინლად ვიდრე სინამდვილეში იყო. საბოლოოდ, თითოეულ დეპუტატს ჩამოუყალიბდა განცდა, რომ მას „აი ახლა, ამ წუთს“ უშუალო საფრთხე ემუქრება; პასიური დაცვითი რეაქცია „მე არ შემეხებიან“ დაიძლია. 9 ტერმიდორის (1794 წლის 27 ივლისის) გადატრიალების წარმატება დეპუტატების შიშით მანიპულირებამ უზრუნველყო.

**თუ ჩვენ ყურადღებით გავეცნობით რობესპიერის უკანასკნელ, 8 ტერმიდორის გამოსვლას კონვენტში, ვნახავთ, რომ დასაწყისში ის თითქოსდა ცდილობს, დაამშვიდოს დეპუტატები და ის კი არ უთხრას, რომ „ყველანი დასაჭერები არიან“, როგორც სააკაშვილი მოგვითხრობს, არამედ პირიქით, რომ საფრთხე ყველას კი არა, ცალკეულ მტრებს ემუქრება.** მაგრამ მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა, **მტრებზე საუბრისას ბუნდოვანი ფორმულირებები გამოიყენა, არ დაასახელა კონკრეტული გვარები და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ თითოეულმა დეპუტატმა ჩათვალა, რომ საფრთხე მას ემუქრება.** მათ ამოიკითხეს რობესპიერის გამოსვლის ქვეტექსტში ის, რაც ყველაზე მეტად აშინებდა და შეესაბამებოდა მათ მშფოთვარე მდგომარეობას, თორემ „ყველანი დასაჭერები ხართ“ ნამდვილად არავის უთქვამს, პირიქით, რობესპიერმა შესაბამისი განწყობის განეიტრალება (ერთობ მოუქნელად) სცადა.

**ტერმიდორის სულისჩამდგმელების მიერ მართებულად შერჩეული სტრატეგია, უნივერსალურ ხასიათს ატარებს და უძველესი დროიდან გამოიყენება. მისი მსხვერპლი, გარკვეულწილად, სააკაშვილიც გახდა.** მისი რეჟიმის რეპრესიული მოქმედება ხისტი და მასშტაბური იყო (და ისევე როგორც რობესპიერის შემთხვევაში, მათ უკან, ხშირად, ძნელად გასაშიფრი, სუბიექტური მოტივები იდგა), მაგრამ ოპონენტები მათ კიდევ უფრო მასშტაბურად და ალოგიკურად წარმოაჩენდნენ და, საბოლოოდ, მიაღწიეს იმას, რომ **ბევრმა პოლიტიკოსმა თუ უბრალო ამომრჩეველმა ჩათვალა, რომ „გიჟი გილიოტინით“ მისი ბინის კარებთან დგას და მისი შეჩერება, არა პოლიტიკის, არამედ ყოფნა-არყოფნის საკითხია.** არაფერი ზებუნებრივი ამაში არ არის, ეს ფსიქოლოგიური ოპერაციების კლასიკაა, თუმცა თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ რობესპიერის ან სააკაშვილის რეჟიმი რამდენადმე ნორმალური და მისაღები იყო. **ახლა სააკაშვილი, როგორც ჩანს, იმავეს გამეორებას და იმავე ალგორითმით „ნაციონალების“ შიშით მანიპულირებას ცდილობს. შესაძლოა, იმიტომ, რომ თვითონ ბოლო დაპატიმრებების კვალობაზე ძალიან შეშინდა.**

სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის მისი სპეკულაციები თემაზე „ყველას დაიჭერენ“. **მათი საბოლოო მიზანი, შესაძლოა, ისაა, რომ „ნაციონალებმა“ თავი კუთხეში მიმწყვდეულებად იგრძნონ და მოწინააღმდეგეს გააფთრებით ეკვეთონ.**

**მიხეილ სააკაშვილს არ აქვს არც სიმამაცე, არც სხვა სერიოზული რესურსი იმისთვის, რომ კლასიკური, ანტიკონსტიტუციური პუტჩი მოაწყოს და აღმოჩნდეს სახიფათო სიტუაციაში, როდესა მის პირად უსაფრთხოებას თუნდაც ჰიპოთეტური საფრთხე დაემუქრება.** თუმცა კონსტიტუციის მრავალჯერადმა გაუპატიურებამ შექმნა წინაპირობები იმისთვის, რომ მან, ამომრჩეველთა ნების საწინააღმდეგოდ, სცადოს ფაქტობრივი გადატრიალების მოხდენა და ხელისუფლების დაბრუნება ისე, რომ, ფორმალური თვალსაზრისით, კანონი არ დაარღვიოს და, შესაბამისად, ნამოქმედარისთვის არ დაისაჯოს.

კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად, **სააკაშვილი უფლებამოსილია „საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები“,** ხოლო თუ პარლამენტი სამჯერ არ დაამტკიცებს მის მიერ წარდგენილ ახალ მთავრობას, მისი დათხოვნის შესაძლებლობა მიეცემა. ეს შეიძლება მოხდეს აპრილში (პარლამენტის არჩევიდან 6 თვე უნდა იყოს გასული, ხოლო სააკაშვილის თანამდებობიდან წასვლამდე 6 თვეზე მეტი უნდა რჩებოდეს). მთავრობისთვის ნდობის სამჯერ არგამოცხადებას პროცედურულად არცთუ მცირე დრო სჭირდება. **ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 20 იანვარს იწურება სააკაშვილის თანამდებობაზე ყოფნის ხუთწლიანი ვადა და მისი მდგომარეობა, იურიდიული თვალსაზრისით, ერთობ ორაზროვანი გახდება** (კონსტიტუციის 70-ე მუხლი თანამდებობაზე ყოფნის ხუთწლიანი ვადის შესახებ), **მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში უნდა გაიმართოს.** ამ და რიგი სხვა ნიუანსების გათვალისწინებით, „ფანჯარა“, რომელშიც სააკაშვილმა შეიძლება მთავრობა (ან დასაწყისისთვის, კრიზისის პროვოცირებისთვის რამდენიმე მინისტრი) გადააყენოს პარლამენტის დათხოვნაზე დამიზნებით, იანვრის მეორე დეკადაში მცირე დროით „გაიხსნება“.

**როდესაც კომენტატორები ყოველივე ამასთან დაკავშირებულ სცენარებს განიხილავენ, ძირითადად, პარლამენტის შესაძლო დათხოვნაზე მსჯელობენ. არადა, მთავარი, ალბათ, მთავრობაზე, ძალოვან სამინისტროებზე კონტროლია. თუ სააკაშვილის ჯგუფი მის მოპოვებას თუნდაც რამდენიმე დღით მოახერხებს** (ამის დაშვება „ქართული ოცნებას“ უდიდეს პრობლემებს შეუქმნის), **ის, სავარაუდოდ, დაიწყებს „ოცნების“ ლიდერების დაპატიმრებას, ტერორს მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ და ძალადობით შეეცდება ახალი მთავრობის დამტკიცება გაიტანოს და(ან) რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოიგოს.**

როგორც „მესამე სამყაროს“ გამოცდილება გვიჩვენებს, მსგავს სიტუაციებში საბაბად მთავრობის დათხოვნისთვის (ან სხვა, ხელისუფლების შეცვლაზე მიმართული მკვეთრი ნაბიჯებისთვის), როგორც წესი, გამოიყენება ტერორისტული შეტევების ტალღა, თავდასხმა მაღალი რანგის პოლიტიკოსებზე, ამბოხი რომელიმე ნაწილში, მასობრივი არეულობა სისხლისღვრით და ა. შ. მოკლედ, მასშტაბური ინციდენტი, რომლის პროვოცირებას ხშირად თავად გადატრიალების მომწყობნი ახდენენ.

## რა გზას აირჩევს „ქართული ოცნება“ ამ საფრთხის გათვალისწინებით?

ყველაზე „უწყინარი“ ვარიანტი პარლამენტის მიერ ისეთი გადაწყვეტილების მოძებნაა, რომელიც სააკაშვილს ყოველივე ამის გაკეთების შესაძლებლობას წაართმევს. უკიდურესი შემთხვევისთვის არსებობს კონსტიტუციის 76-ე მუხლის 1 პუნქტი „პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის“ შესახებ და 2003 წლის 22 ნოემბრის პრეცენდენტი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ, განაცხადა, რომ მასზე დაყრდნობით, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას იწყებს, მაშინ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ თანამდებობაზე იმყოფებოდა და სავსებით ქმედუნარიანი იყო. არის ერთობ „მაკიაველისტური“ (და არასასურველი) ვარიანტიც — მიუშვა სააკაშვილის ჯგუფი ყოველივე ამის გაკეთებამდე და პირველ კანონდარღვევამდე, შემდეგ კი დაუპირისპირო ხალხის მასა და „საველე მართლმსაჯულების“ ძალით, როგორც პუტჩისტებს, გაუსწორდე. ვარიანტი, ზოგადად, ბევრია, მაგრამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, დიდი ზარალი არ განიცადოს, ხოლო კანონი და სამართლიანობა სრულად დაცული იყოს.

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი „ნაციონალების“ შეშინებით დაკავდა, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ გამოუვალი სიტუაციის შეგრძნება შეუქმნას და თვითგადარჩენისთვის (სინამდვილეში კი — მისი გადარჩენისთვის) თავგანწირული ბრძოლა აიძულოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზამ მისი თანამოაზრეები შეიძლება პირდაპირ (პოლიტიკურ) გილიოტინამდე მიიყვანოს.**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს, როგორც არასდროს, საქართველოში ოპოზიცია, ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიციაა აუცილებელი. ამ ფუნქციას „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ და არ შეასრულებს. კაცმა რომ თქვას, თავმოყვარე ქვეყანაში მას ამის უფლებას არც მისცემდნენ! ორი, თითქმის ერთი იდეოლოგიის ძალის დაპირისპირება ქვეყნისთვის არაფრის მომტანია. მათი მთავარი საპროგრამო დებულებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივენი ნატოს ეტრფიან, ორივენი ევროკავშირის დროშებს აფრიალებენ, ორივე ლიბერალური დემოკრატიის ხიბლშია, მეტ-ნაკლები ლიბერტარიანელობით.**

# იძებნება ოპოზიცია!

**1990 წლიდან დღემდე ყველა მმართველი პარტია, რომლებიც ძალაუფლებას თმობდნენ ან კარგავდნენ, არსებობას წყვეტდა. კომუნისტურ პარტიას, რომელმაც „მრგვალ მაგიდასთან“ არჩევნები წააგო, სულ მცირე ხნით მოუწია საპარლამენტო ოპოზიციის როლში ყოფნა. უზენაესმა საბჭომ მის დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყვიტა. ავთანდილ მარგიანმა მაშინ ზვიად გამსახურდიას მიმართა: „ბატონო ზვიად, ჩვენ კი წავალთ, მაგრამ თქვენ ვისთან დარჩებით“?**

წასვლა-დარჩენის თემა იმ დღიდან მეტად აქტუალური გახდა ქართულ პოლიტიკაში. პარლამენტს გარეთ დატოვებულმა კომპარტიამ თანდათან მარგინალიზება განიცადა და, მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოს სათავეში კვლავ რესპუბლიკის კპ ცკ-ს ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა, კომუნისტური რევანში არ შემდგარა. მართალია, **ერთხანს ცდილობდნენ, ამ მოვლენისთვის „ნომენკლატურული რევანში“ შეერქმიათ, მაგრამ რეალურად ყოფილ ნომენკლატურას მხოლოდ პრივატიზაციისა და საბანკო კრედიტების სიკეთით სარგებლობის საშუალება მიეცა, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების მემკვიდრეებად ახალგაზრდა, ევროპულ და ზოგადად დასავლურ სტრუქტურებთან დამეგობრებული ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი იქცნენ.**

ეს გუნდი იმთავითვე შემტევ პოზიციებს იკავებს და ცდილობს, გზიდან ჩამოიშოროს პარტნომენკლატურის ის მცირედი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ახლოს არის ძალაუფლების სადავეებთან. ახალი, საპარლამენტო დემოკრატიის დამკვიდრების მამად აღიარებული ზურაბ ჟვანია ოსტატურად ეუფლება პოლიტიკური ვაჭრობისა თუ გარიგებების რთულ ჩვევებს და ხშირად ფაქტის წინაშეც აყენებს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ისე საპარლამენტო უმრავლესობას. ამით **აღშფოთებულმა გიგა ლორთქიფანიძემ იმჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ სხდომაზე შევარდნაძეს მიმართა: „ფრთხილად იყავით, თორემ, როგორც შექსპირის მეფე ლირი, ყველაფერს დაკარგავთო“.**

**რვა წლის შემდეგ მართლაც ასე მოხდება და ლირის სამი ქალიშვილის როლს ტრიუმვირატი – სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე შეასრულებენ. შევარდნაძეს არ აღმოაჩნდება მისი ერთგული შვილი – კორდელია, რომლის როლშიც იგი ზურაბ ჟვანიას ხედავდა. უფრო სწორად, მასაც კორდელიას ბედი ხვდა და მისი უეცარი გარდაცვალების საკითხს ახლა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოსული „ქართული ოცნება“ იძიებს.**

შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ 2003 წლის „რევოლუციური“ არჩევნების შემდეგ წაიშალა ქართული პოლიტიკური ლანდშაფტიდან. ექსპარტიული პარლამენტის გარეკვამ ახალ მმართველ ძალას — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ძალაუფლების სრული მონოპოლია მოაპოვებინა და „ბურჯანაძე-დემოკრატები“ თანდათან შეიწოვა. ისინი, ვინც ახალი მოცემულობა არ მიიღო, სისტემამ გამოდევნა. **ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები წააგო, მაგრამ ოპოზიციის 40-პროცენტიანი ნიშა დაიკავა. 2003 წლისგან განსხვავებით, როდესაც იგივე პოლიტიკოსები იმჟამინდელი მმართველი პარტიის მიერ მიღებულ 21,28 პროცენტს აპროტესტებდნენ, მეტისმეტად იოლად შეეგუენ „დამნაშავე პარტიის“** (როგორც ხშირად უწოდებენ „ნაციონალურ მოძრაობას“) **40 პროცენტს.**

**„ნაციონალური მოძრაობა“ არ კმაყოფილდება საპარლამენტო ოპოზიციის როლით. იგი ხაზგასმით ცდილობს, შეინარჩუნოს ძალაუფლება ადგილებზე და მკვეთრად მიჯნავს, თუ რა ეკუთვნის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ ძალას და რა — საკუთრივ მას.** ორხელისუფლებიანობა, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმაც ილაპარაკა ევროპაში მაღალი ტრიბუნიდან, რეალობაა, ხოლო ოპოზიციაში გადასული პარტიის ლიდერი, რომელიც კიდევ ერთი წელი აპირებს საპრეზიდენტო პოსტზე ყოფნას, ძალას და ენერგიას არ იშურებს ახალი მმართველი ძალის დისკრედიტაციისთვის.

დაზეპირებული გზავნილები, რომელთაც ქართველი ამომრჩეველი დასავლეთის მაღალი ემისრებისგან ისმენს, მისი მოთმინების გამოცდად იქცა. ის პირები, რომლებიც საზოგადოებისთვის ძალადობასთან და სისასტიკესთან არიან გაიგივებულნი, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებად ირაცხებიან. **„შერჩევით სამართალზე“ ლაპარაკობენ ნატოს, ევროსაბჭოსა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომელთაც შფოთი არ დაუფლებიათ ზუსტად ასეთი სამართლის ზეობისას უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში.**

საზოგადოება ვერ ხსნის ასეთი თვალსაჩინო ორმაგი



## იძებნება ოპოზიცია, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად სამშობლო ეყვარება და რომელიც საქართველოს სიყვარულისთვის ბოდიშს არ მოიხდის

სტანდარტის მიზეზებს. არადა, ყველაფერი მარტივია. გეგმის პირველი ნაწილი — გადარეცხილიყო ყველა, ორი პოლიტიკური ძალის გარდა, სანაქებოდ შესრულდა. „შუა გაიკრიფა“. დარჩა ორი, ნატოზე და ევროკავშირზე ცალსახად ორიენტირებული ძალა.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ თითქოს პირობა მისცეს, რომ ძალაუფლების დროებით დათმობის ხარჯზე ოპოზიციაში დარჩებოდნენ და პასუხი არ მოეთხოვებოდათ. ხალხი სამართალს ითხოვს, მაგრამ ეს სულაც არ შედის დასავლეთის ინტერესებში. „პირველად საქართველოს ისტორიაში“, როგორც სააკაშვილს უყვარს თქმა, ყოფილი მმართველი პარტია კვლავაც პოლიტიკურ არენაზე უნდა დარჩეს.**

ამ ხელოვნური ორპარტიული სისტემის ხიბლი მისი მონაწილეებისა და დასავლეთის ინტერესებშია. ან ერთი იქნება, ან მეორე. ორივენი კი სწორედ დასავლეთისკენ იყურებიან! **არ უნდა იყოს სხვა ოპოზიცია, რომელიც პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს ატარებს. ისტორიის მოუსავლეთში გასტუმრებული ყველა სხვა მმართველი პარტიისგან განსხვავებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ აქ უნდა იყოს, ამჟამად სათადარიგო სკამზე.**

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, მოირგოს ოპოზიციის მანტია, იგი კვლავაც მმართველი ძალის პრეტენზიითა და რიხით სთხოვს პასუხს „ქართულ ოცნებას“ იმაზე, თუ რატომ ვერ გადაწყვიტა ცხრა წლის განმავლობაში მის მიერვე შექმნილი პრობლემები ორ თვეში! „ოცნება“ კი ხელოვნურად არის ჩაყენებული თავის მართლების პოზიციაში, პოლიტიკაში კი თავის მართლება უმადური საქმეა; რაც მეტს იმართლებ თავს, მით მეტად რწმუნდება მავანი, რომ რაღაც დააშავე.

როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება“ იქმნებოდა, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საკუთრივ ბიძინა ივანიშვილის პარტიის შექმნა სულაც არ წარმოადგენდა კოალიციაში შემავალი პარტიების ინტერესს. ეს პოლიტიკაა: შიდა კონკურენციის კანონი მოქმედებს და პოლიტიკურ სუბიექტებს ნებისმიერ კოალიციაში საკუთარი გავლენის შენარჩუნება ურჩევნიათ. არადა, პარტიული სტრუქტურების გარეშე ადგილებზე სიტუაციის კონტროლი შეუძლებელია, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც ჯერაც ნახევრად ხელისუფლებაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ გააფთრებით იბრძვის ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების შენარჩუნებისთვის და, შესაბამისად, 2014 წლის არჩევნებში გამარჯვებისთვის.

**დღეს, როგორც არასდროს, საქართველოში ოპოზიცია, ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიციაა აუცილებელი. ამ ფუნქციას „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ და არ შეასრულებს. კაცმა რომ თქვას, თავმოყვარე ქვეყანაში მას ამის უფლებას არც მისცემდნენ!**

ორი, თითქმის ერთი იდეოლოგიის ძალის დაპირისპირება ქვეყნისთვის არაფრის მომტანია. მათი მთავარი საპროგრამო დებულებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივენი ნატოს ეტრფიან, ორივენი ევროკავშირის დროშებს აფრიალებენ, ორივე ლიბერალური დემოკრატიის ხიბლშია, მეტნაკლები ლიბერტარიანელობით.

ამ იდეოლოგიურ ველზე კი უპირატესობა სწორედ „ნაცმოძრაობას“ აქვს. მან გასული წლების განმავლობაში პარტნიორებიც გაიჩინა დასავლეთში და ლობისტებიც შეიძინა. დასავლეთში „ოცნების“ დისკრედიტაციისთვის დაქირავებული „მეგობრების“ მთელი არმია მუშაობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უფლებადამცველი, ადვოკატი და აწ უკვე პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პირდაპირ დაადანაშაულეს შეუწყნარებლობაში.

ქვეყნის შიგნით ასეთივე „მუშაობაა“ გაჩაღებული; წინასაარჩევნო დაპირება ტარიფების შემცირების შესახებ ივანიშვილს საბოდიშო გაუხდა. არადა, **ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელი დემურ გიორხელიძე პირდაპირ ამბობს, რომ კვალიფიციური ენერგეტიკოსების გაანგარიშებით, ელექტროენერგიის ტარიფი 10 თეთრის ფარგლებში უნდა იყოს:**

„სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებაშიც გაჩნდა ხალხი, რომელთაც მუქთა ფულის ხელიდან გაშვება არ უნდათ და ამიტომ პრემიერ-მინისტრს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება არ შეიძლება“.

„ნაციონალების“ ტაქტიკის ამოცნობას გულთმისნობა არ სჭირდება. ისინი წინსწრებით საუბრობენ „შეუსრულებელ დაპირებებზე“. თუ არც სამართლიანობა აღდგება და არც საგადასახადო კაბალისგან ხალხის განთავისუფლება მოხერხდება, რისი მომტანია ხელისუფლების ცვლილება? **შემდეგი ეტაპი ამომრჩევლის სრული ნიჰილიზმია, რომლის პირობებშიც ორად გაყოფილი პოლიტიკური სპექტრი მორიგეობით ჩაიბარებს ძალაუფლებას და, დასავლეთის გასახარად, „სტაბილურობის ოაზისს“ შექმნის. მერე რა, რომ ამ ოაზისში პლასტმასის პალმები დგას! მთავარი ის არის, რომ „სტრატეგიულ პარტნიორებს“ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების სრული კარტბლანში ექნებათ, ქართველი ამომრჩეველი კი კვლავაც იმის მოლოდინში იქნება, თუ როდის გაიყიდება მანჰეტენზე ქართული აჯიკა.**

**იძებნება ოპოზიცია!**

იგი ჰაერივით სჭირდება ქართულ სახელმწიფოებრიობას, მის მომავალს, მის ეროვნულ ინტერესებს. იძებნება ოპოზიცია, რომელსაც უყვარს საქართველო მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერი ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით; სუფთა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით; ერით, ბერით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადები მოხუცებით. დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

**იძებნება ოპოზიცია, რომელსაც უყვარს საქართველო ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე; იძებნება ოპოზიცია, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად სამშობლო ეყვარება და რომელიც საქართველოს სიყვარულისთვის ბოდიშს არ მოიხდის.**

## ორხელისუფლებიანობა, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმაც ილაპარაკა ევროპაში მაღალი ტრიბუნიდან, რეალობაა, ხოლო ოპოზიციაში გადასული პარტიის ლიდერი, რომელიც კიდევ ერთი წელი აპირებს საპრეზიდენტო პოსტზე ყოფნას, ძალას და ენერგიას არ იშურებს ახალი მმართველი ძალის დისკრედიტაციისთვის

ძალად მაცხონე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნანა კაკაბაძე:**
**არაფრით გამორჩეული, წარუმატებელი და უნიჭო ადამიანების გაპიარება მიმდინარეობს მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია აქვთ**

# გვერდზე საკუთარი აზრის გამოხატვის გამო ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი სამსახურიდან დაითხოვეს

**ჰომოსექსუალიზმის თემა საქართველოში, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. ბოლო პერიოდში კი ჰომოსექსუალიზმი ლამის ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად იქცა. რატომღაც მიჩნეულია, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები საქართველოში დაჩაგრულები არიან და თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ვერ გრძნობენ. ალბათ, რთულია, განყენებულად ისაუბრო ჰომოსექსუალთა ჩაგვრაზე ქვეყანაში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ირღვეოდა და ადამიანებს ელემენტარულად ტელეფონზე საუბრის ეშინოდათ.**




## «დიდ არას გეუბნებით, ბიჭებო!»

და მაინც, იჩაგრებიან თუ არა რეალურად ჰომოსექსუალები საქართველოში, როგორც ამას გვკიჟინებენ მთელი რიგი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები? საინტერესოა ისიც, რომ, თუ ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ჰომოსექსუათა დამცველი ორგანიზაციების მისწრაფება მხოლოდ ჰუმანურობამ და მაღალი იდეალებისკენ სწრაფვამ განაპირობა და არა, „როგორც ბოროტი ხმები ამტკიცებენ“, გრანტების სიყვარულმა, რატომ არ იბრძვიან იგივე უფლებადამცველები ჰეტეროსექსუალთა უფლებებისთვისაც ასე გააფთრებით?

აღნიშნულ თემაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, ამიტომ შევეცდებით, ამჯერად ცოტა სხვა მიმართულებით მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ხშირად განვიხილავთ, თუ როგორ დაჩაგრულად გრძნობენ თავს ჰომოსექსუალები საქართველოში, მაგრამ ამავე დროს ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება რატომღაც ეზღუდებათ.

**ირაკლი ღლონტი** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სამმართველოს უფროსად მუშაობდა. მისი სამსახურიდან გათავისუფლება „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერილმა, ერთი შეხედვით უწყინარმა ფრაზამ გამოიწვია. ფოტოზე, რომელზეც ორი გეი კოცნის ერთმანეთს, გაკეთებულმა წარწერამ **„დიდ არას გეუბნებით, ბიჭებო!“,** როგორც ჩანს, ყოფილ ხელისუფლებაში ვიღაცები სერიოზულად გააღიზიანა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ირაკლი ღლონტს შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, თუმცა მხოლოდ საკუთარი პოზიციის გამოხატვა, რომ შუა თბილისში, რუსთაველის მრავალჭირნახულ გამზირზე, სადაც ქართველობისთვის სისხლი იღვრებოდა, ნებისმიერი სექსუალური აქტივობა მისთვის მიუღებელია, საკმარისი აღმოჩნდა, რომ სამსახურის გარეშე დარჩენილიყო. **„მე იურისტი ვარ და ვაღიარებ მათ კონსტიტუციურ უფლებებს, მაგრამ ვცდილობ დავიცვა ჩემი და ჩემი მომავლის უფლებებიც. ეს არამარტო ჩემი აზრია, ეს ქართული საზოგადოების უმრავლეობის აზრია“,** — ამბობდა ღლონტი. მის ნათქვამს რეაგირება სამინისტროში მეორე დღესვე მოჰყვა და მას სამსახურის დატოვება მოუწია.

დღეს ირაკლი ღლონტს ამ ფაქტის შესახებ საჯაროდ საუბარი არ სურს და იმ უსიამოვნების გახსენებას თავს არიდებს, როდესაც ერთმა უვნებელმა, სოციალურ ქსელში დაწერილმა ფრაზამ ის სამსახურისა და თანამდებობის გარეშე დატოვა.

მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა **უფლებადამცველი ნანა კაკაბაძეც,** რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში გაკეთებული განცხადების გამო, ჰომოფობად შერაცხეს და ერთ-ერთმა უცხოურმა ორგანიზაციამ მას დაფინანსებაც შეუწყვიტა. **ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სერიოზული პრობლემაა ქვეყანაში:**

„ამ ადამიანების უფლებები უნდა იყოს დაცული, თუ მათ ვინმე ავიწროებს, შეურაცხყოფას აყენებს, მე დღესაც ვიცავ ერთ-ერთი ჰომოსექსუალის უფლებებს, მაგრამ ვის რა უფლება აქვს, საკუთარი პოზიციის გამოხატვა ამიკრძალოს?! არ მაქვს უფლება, არ მომწონდეს ჰომოსექსუალიზმი? ეს არის აზრის გამოხატვის თავისუფლება და ტოლერანტობა? **არაფრით გამორჩეული, წარუმატებელი და უნიჭო ადამიანების გაპიარება მიმდინარეობს მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია აქვთ“.**

ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ დღეს ჰომოსექსუალიზმის თემის განხილვა, უბრალოდ, მოდაშია. **„ჰომოსექსუალიზმი პრობლემური კი არა, მოდურია. ხალხს ხოცავდნენ, ციხეებში აწამებდნენ, სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ, ბიზნესს ართმევდნენ და 24 საათი მასმედიის საშუალებებით შუქდებოდა თითიდან გამოწოვილი თემა, რომელიც არავითარ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენდა.**

**თუმცა, სამწუხაროდ, ის ადამიანები რომლებიც ვერ არჩევენ, რა არის გამოხატვის თავისუფლება და რა — ადამიანის უფლებების შეზღუდვა, საქართველოში ხშირად უფლებადამცველობას იჩემებენ“,** — ამბობს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.

ქვეყანაში სიტუაცია კომიკურად მაშინ იქცა, როდესაც სახალხო დამცველობის კანდიდატების შერჩევა-დაწუნების პროცესი, ძირითადად, იმ ნიშნით წარიმართა, რამდენად უყვარდათ ჰომოსექსუალები სახალხო დამცველობის კანდიდატებს. **განსაკუთრებული კრიტიკის ქარცეცხლში სახალხო დამცველობის ერთ-ერთი კანდიდატი, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე აღმოჩნდა.**

რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო სექტორის აღშფოთება ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ დაბეჭდილმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ფრაზამაც გამოიწვია. **მანანა კობახიძე** უკიდურეს ჰომოფობად და კაცთმოძულედ შერაცხეს. სავარაუდოდ, ვიცე-სპიკერს ამ ფრაზას, როგორც მისი „ჩამორჩენილობის ურყევ მტკიცებულებას“, კიდევ კარგა ხანს წამოაძახებენ.

თუმცა, გაუგებარია, რატომ და როდის დამკვიდრდა ცივილიზებულობისა და ევროპელობის გაგებასთან ჰომოსექსუალიზმი, მაშინ, როცა ევროპის მოსახლეობისთვისაც კი ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი და მისაღები მოვლენა არ არის. ბოლო გამოკითხვების თანახმად, გერმანიაში მოსახლეობის სერიოზული ნაწილი ჰომოსექსუალიზმს კვლავ ანომალიად მიიჩნევს. **2005-2006 წლების გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით, ვესტფალიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 21% ჰომოსექსუალებზე ბინის გაქირავების წინააღმდეგიც კი იყო. სერიოზული აღშფოთება და საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის კანონპროექტის განხილვას. პროტესტის ნიშნად, პარიზის ქუჩებში 70 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა.**

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ერთსქესიანთა ქორწინებას მხარი დაუჭირა, რესპუბლიკელმა ჯეი-დი ჰეიოურტმა განაცხადა, რომ ჰომოსექსუალიზმის დაკანონება მომავალში ადამიანებისა და ცხენების ქორწინებამდე მიგვიყვანს.

არასამთავრობო სექტორი მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებსაც ხშირად ადანაშაულებს ხოლმე ჰომოსექსუალთა უფლებების დარღვევაში, თუმცა, ნებისმიერი რელიგიური მიმდინარეობის დამოკიდებულება ჰომოსექსუალებისადმი უარყოფითი და ძალიან მკაცრია. მაგალითად, **საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის კანონპროექტის განხილვისას, პარიზის კათოლიკური ეკლესიის ეპარქიის არქიეპისკოპოსმა ანდრე არმან ვენ-ტურამ მრევლს პროტესტის გამოხატვისკენ მოუწოდა, 2010 წელს კი საქართველოს საპატრიარქომ და საქართველოში არსებულმა ტრადიციული რელიგიის წარმომადგენლებმა ერთად გააპროტესტეს სტრასბურგში, ევსოსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე განსახილველი კანონპროექტი, რომელიც ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და სხვა სექსუალური გადახრების ლეგალიზებას გულისხმობდა.**

მიუხედავად ასეთი მკაცრი პოზიციისა, **როგორია ეკლესიის დამოკიდებულება თითოეულ ჰომოსექსუალთან მიმართებაში, ისინიც ხომ ღვთის შვილები არიან?** — ამ კითხვით მივმართეთ **წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარს, დეკანოზ მამა დავითს (ისაკაძე). მამა დავითი მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალთა უფლებები ქვეყანაში არ ილახება.**

— ეს თემა ინსპირირებულია იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც განზრახული აქვთ, ებრძოლონ რწმენას და ზნეობას. მეტსაც გეტყვით, მათი მიზანია, საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს გენოციდი მოუწყონ.

თუ ადამიანი არის ასეთი ცოდვისადმი მიდრეკილი, ჩვენ ვიზიარებთ მის ამ ტრაგედიას და ვაძლევთ საშუალებას, მოვიდნენ ეკლესიაში, აღსარება თქვან, მოინანიონ და გარკვეული ეპიტემიის, სულიერი სასჯელის შემდეგ ეკლესიის წევრებიც კი გახდნენ, მაგრამ თუ ისინი პირიქით, აქციებსა და მსვლელობებს გამართავენ და ცოდვას რეკლამირებას გაუწევენ, ბუნებრივია, ჩვენ მათ ვამხელთ.

**— მამაო, თქვენს ორგანიზაციას — „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ ხშირად ადანაშაულებენ ჰომოსექსუალთა უფლებების დარღვევასა და მათ მიმართ აგრესიულ მოპყრობაში...**

— ეს მტკნარი სიცრუეა. **ჩვენი მიზანია, რწმენისა და ეროვნულობის დაცვა, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსი ორგანიზაციები იდეოლოგიურად ებრძვიან მართლმადიდებლობას და ეროვნულ ცნობიერებას.** სამწუხაროდ, დღეს მათ ხელშია მასმედიის საშუალებები და ამიტომ ისინი ახერხებენ ჩვენი ორგანიზაციისა და საერთოდ, მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო ფონის შექმნას. ერთი ფაქტიც არ არსებობს, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ ვინმეს მიმართ დანაშაული ჩაიდინა. მათ აგრესიულ ქმედებებს კი უამრავს ჩამოგითვლით.

განსხვავებულად ფიქრობს, **ლგბტ აქტივისტი, გენდერული თანასწორობისა და ლგბტ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ჟურნალ „იდენტობის“ ყოფილი რედაქტორი მაგდა კალანდაძე,** რომელსაც მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალთა უფლებები ძალიან ხშირად ირღვევა.

— ჰომოსექსუალთა უფლებებს ხშირად არღვევენ სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, როდესაც ისინი სიძულვილის ენით საუბრობენ. ასე მოხდა 17 მაისს, როდესაც ჩვენ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს აღვნიშნავდით. მე თავად რამდენიმეჯერ მივმართე პოლიციას საჩივრით, მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურატურა მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმით შემოიფარგლა და ეს მაშინ, როდესაც სახეზე იყო სისხლის სამართლის დანაშაული, დამამძიმებელი გარემოებებით.

**— მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლებაზე და რომ საქართველოში ადამიანებს მხოლოდ იმიტომ ათავისუფლებენ სამსახურებიდან, ჰომოსექსუალების მიმართ რაიმე შენიშვნა გამოთქვეს ან არ მოეწონათ მათი საქციელი, ეს არ არის ადამიანების უფლებების დარღვევა?**

— პრინციპში, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთან სიძულვილის ენა არ ისჯება, კანონით, ამ ადამიანმა რომ უჩივლოს კონკრეტულ ორგანიზაციას, ალბათ, პროცესს მოიგებს კიდეც, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ასეთ ადამიანებს მე გავათავისუფლებდი სამსახურიდან. რადგან **ადამიანების მოძულება, გარიყვა, იმის გამო, რომ სხვა ადამიანი არ არის შენნაირი, აუცილებლად მოითხოვს „ჭკუის სწავლებას“.**

თუ საქართველოში, ქუჩებში იმართება სასულიერო პირების მსვლელობა, მაშინ, როცა საქართველოს ბევრი მოქალაქე არ არის ქრისტიანი და ამას არავინ აპროტესტებს, რატომ არ აქვთ ადამიანებს გეი-აღლუმების ჩატარების უფლება? კანონში არსად წერია, რომ უმრავლესობის უფლება უნდა იყოს დაცული და უმცირესობის არა. ყველას აქვს შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების უფლება. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ჰომოფობია ეს არის სიძულვილი ერთი ადამიანისა მეორის მიმართ ძალიან მცირე განსხვავების გამო“, — ამბობს მაგდა კალანდაძე.

**სულ რაღაც ერთი წლის წინ ამერიკელი და კანადელი ფსიქოლოგები, მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორი უბერტ ვან გიჯსერჰემი და დოქტორი ვერნონ კუინსი, პედოფილიის ლეგალიზაციის მოთხოვნითაც გამოვიდნენ. ისინი შეეცადნენ, დაერწმუნებინათ ხელისუფლება, რომ პედოფილია ავადმყოფობა კი არა, ნორმა და სექსუალური ორიენტაციის განსაკუთრებული სახეობაა. საბედნიეროდ, მათ წინადადებას, კანადის პარლამენტის მხოლოდ ერთმა წევრმა დაუჭირა მხარი, თუმცა ამერიკაში უკვე არსებობს ორგანზაცია B4U-ACT, რომელიც პედოფილიის ლეგალიზაციაზე მუშაობს.**

ასე რომ, შესაძლოა, დიდი დრო აღარაა დარჩენილი, როცა მსოფლიო პედოფილების უფლებებსაც აღიარებს, ამიტომ გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ მიმბაძველობამ, რაც ხშირად გვახასიათებს ქართველებს, შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს. უნდა გავითავისოთ, რომ **ჰომოსექსუალიზმის უარყოფა და მიუღებლობა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების დევნასა და შეურაცხყოფას არ ნიშნავს.**

**შორენა ციცქარაშვილი**

**თუნდაც საკუთარი ჯიბიდან გაელო საჭირო სახსრები, პრემიერს უნდა მოეხერხებინა ის, რომ პირობა „ოცნებას“ უკან არ წაელო და „ნაცებისთვის“ სალაყბო არ მიეცა. არადა, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი გვპირდებოდა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საკუთარი ხარჯებით 18 თვით არა თუ განახევრებას, არამედ კომუნალური ხარჯებისგან მოსახლეობის საერთოდ განთავისუფლებას. დღეს ძალიან ბევრს მიაჩნია, პატარკაციშვილს რომ დასცლოდა, აუცილებლად მოახერხებდა მოცემული სიტყვის შესრულებასო...**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაგებით შეხვდით, სამართალი მოდის...

**გასული კვირის მთავარი მოვლენა უთუოდ ბიძინა ივანიშვილის ბრიფინგი იყო. რა თქმა უნდა, ივანიშვილის ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის ყველაზე უფრო მტკივნეული და მიუღებელი იმის შეტყობა იყო, რომ ენერგეტიკულ სფეროში გაცემული დაპირებები, ანუ გაზსა და შუქზე ტარიფების განახევრება, რბილად თუ ვიტყვით, არარეალისტური, ხოლო თუ ნამდვილ სახელს დავარქმევთ, მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა.**



იგივე ან თითქმის იგივე შეიძლება ითქვას პენსიებსა და საარსებო მინიმუმთან დაკავშირებითაც — პენსია მხოლოდ მეტ-ნაკლებად მიუახლოვდება საარსებო ზღვარს და ისიც მხოლოდ მომავალი წლის სექტემბრიდან გახდება 150 ლარი.

**ამ ყველაფერმა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან, „კუჭის ფილოსოფიით“ მოაზროვნე ნაწილში უკვე გამოიწვია აშკარა უკმაყოფილება, რაც აისახა კიდეც სხვადასხვა მედიაინტერაქტივში, სადაც უკიდურესად შეჭირვებული ხალხი ისეთ გამოთქმებსაც აღარ ერიდება, როგორიცაა: ბიძინამაც მოგვატყუა, ეგენიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ, მაგათ ისევ „ნაცები“ ყოფილიყვნენ ჯობდა და ა. შ., რაც სამწუხაროა, მაგრამ სავსებით გასაგები...**

აგრეთვე, სრულიად უსუსური იყო ბიძინას კომენტარი ამნისტიასთან დაკავშირებით — შეიძლება კრიმინალმა მოიმატოს, მაგრამ საზოგადოება გაგებით უნდა შეხვდეს ამასო(?!).

ვფიქრობ, საკამათო არ არის, რომ ე. წ. სოციალური პაკეტის ნაწილზე, შუქისა და გაზის ტარიფების განახევრებაზე საერთოდ უარი და მეორე, პენსიების საკითხის სექტემბრისთვის გადატანა, სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო!

როგორც ბიძინას მშობლიურ იმერეთში იტყოდნენ, „ღვინჭიპაზე რომც გამსკდარიყო“, პრემიერს უნდა გამოენახა სახსრები და ტარიფები უნდა გაენახევრებინა, რათა ახალი ხელისუფლების სიკეთეები, ამ ზამთარშივე ეგრძნო მოსახლეობას.

ასევე პენსიების ზრდაც, თუნდაც ეტაპობრივად, გინდაც თვეში 5-10 ლარით, ახალი წლიდანვე უნდა დაწყებულიყო, რასაც შედარებით გაგებით მიიღებდა საზოგადოება, მომავალი წლის სექტემბერში გადატანისგან განსხვავებით — საჭირო ფინანსების გამონახვა ბიუჯეტში, სურვილის შემთხვევაში, შეუძლებელი არ იქნებოდა.

**თუნდაც საკუთარი ჯიბიდან გაელო საჭირო სახსრები, პრემიერს უნდა მოეხერხებინა ის, რომ პირობა „ოცნებას“ უკან არ წაელო და „ნაცებისთვის“ სალაყბო არ მიეცა. არადა, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი გვპირდებოდა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საკუთარი ხარჯებით 18 თვით არა თუ განახევრებას, არამედ კომუნალური ხარჯებისგან მოსახლეობის საერთოდ განთავისუფლებას. დღეს ძალიან ბევრს მიაჩნია, პატარკაციშვილს რომ დასცლოდა, აუცილებლად მოახერხებდა მოცემული სიტყვის შესრულებასო...**

რაც შეეხება ამნისტიას, აქ პრემიერს ყოველგვარი „გაგებით მოკიდების“ გარეშე შეეძლო ეთქვა, რომ ჯობს, ათასი დამნაშავე გარეთ გამოუშვა, ვიდრე ერთი უდანაშაულო ციხეში იჯდეს... ამის თქმით ბიძინა ივანიშვილი იმ უხერხულობის მნიშვნელოვან ნაწილს აიცილებდა.

**აქედან გამომდინარე მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ყველაფრის გამო, ოპოზიციადქცეულ მიშნაცების ბანდას პირველად მიეცათ არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ კრიტიკის მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი საბაბი!..**

ეს, რაც შეეხება ბატონ ბიძინას ბრიფინგის სოციალურ (თუ ასე შეიძლება ითქვას) ლაფსუსებს, ისიც არასრულს. ახლა, რაც შეეხება მთავარს, ანუ იმას, რაზეც საყვედური ჯერ არ დასცდენიათ თვით „ნაცებსაც“ კი და, ალბათ, არც დასცდებათ, რადგანაც, როგორც ჩანს, იმაში, რასაც ქვემოთ ვიტყვით, მნიშვნელოვანწილად ერთსულ და ერთხორც ბრძანდებიან „ქართულ ოცნებასთან“...

**როგორც ამ ბრიფინგიდან გაირკვა, ბატონი ბიძინა მოსკოვში ჩასვლას კიდევ ასი წელი არ აპირებს...** რუსეთთან დაკავშირებით ივანიშვილმა განაცხადა: მოსკოვში როგორ ჩავალ, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოებია გახსნილიო, ამიტომ რუსებს ჯერჯერობით სადმე სხვაგან, ევროპაში თუ შევხვდებიო(?!).

თუ ეს „ჯერჯერობით“ იმას ნიშნავს, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, მაშინ ეს „ჯერჯერობით“, ასი წელი თუ არა (უბრალოდ, გამოთქმაა ასეთი), კიდევ დიდხანს გაგრძელდება და როგორ აპირებენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, მხოლოდ „ჩერეზ“ შვეიცარიის საელჩოთი?

თუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ საქართველოს მომავალი კეთილდღეობა ნატო-ევროკავშირშია, კარგი იქნებოდა, ამასწინათ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ საქართველოში მოწვეული ბალტიის ქვეყნების საპარლამენტო, პოლიტოლოგთა, ექსპერტთა თუ ჟურნალისტური წრეების ავტორიტეტული წარმომადგენლებისთვის მოესმინათ.

თუნდაც დელეგაციის ერთ-ერთ წევრთან, ლიტვის სეიმის დეპუტატ, იულიუს ვესელკასთან ვრცელი ინტერვიუ წაიკითხონ, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა და თავადაც დაინახავენ, რომ ნატოს წევრობა ჩვენისთანა პატარა, მითუმეტეს პოსტსაბჭოთა, გნებავთ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების გარანტია მხოლოდ მითია.

**თუმცა ეგეც იქით იყოს და ბალტიის ქვეყნების შემდეგ, ნატოში კიდევ ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის გაწევრიანებას რუსეთი აღარ დაუშვებს. რუსეთი, რომელიც ახლა ბევრად უფრო ძლიერია და ხვალ კიდევ უფრო გაძლიერდება!**

იულიუს ვესელკა არც კრემლის აგენტია და მითუმეტეს არც კახა კუკავას პარტიის წევრი, მაგრამ საკუთარ ხელისუფლებას ნატოსა და აშშ-ის ვასალს უწოდებს, „ნატოს სურს, დაძაბოს რუსეთის გარშემო სიტუაცია თავისი ვასალების მეშვეობით და დროდადრო ისინი ამ მიზნით გამოიყენოს“!..

ნაცნობი სურათია — აშშ-ის ნაცმოელმა ვასალებმაც დაძაბეს სიტუაცია და ბოლოს, როდესაც რუსეთი შეწუხდა საქართველოს სახით სკამზე დადებული ჭიკარტით, 2008 წლის აგვისტოში პანღური გვითავაზა, რის გამოც დასავლეთი „მაგრად აღშფოთდა“, ხოლო ფოთსა და ბათუმს პამპერსებით დატვირთული აშშ-ის კრეისერები მოადგნენ — ბალტიელი მეგობრების თუ არ გვჯერა, საკუთარი წარსული მაინც არ გვახსოვს?

რაც შეეხება კიდევ ერთ, ამჯერად ევროკავშირის ზღაპარს, ნატოსგან განსხვავებით, იქნებ ოდესმე მიგვიღონ კიდეც, მაგრამ მერე რა, როო? ბალტიელმა მეგობრებმა ევროკავშირის კისელის მდინარეებზე და შოკოლადის ნაპირებზეც გვიამბეს — როგორ დაახურინეს ევროკავშირის მოთხოვნით შაქრის ქარხანა და ორმაგად ძვირად, როგორ ყიდულობენ იმავე შაქარს დანიისგან; როგორ დაახურინეს ატომური ელსადგური, რადგან მათი იაფი ენერგია კონკურენციას უწევდა ევროკავშირის მონოპოლისტ საფრანგეთს ატომურ ენერგეტიკაში, ან როგორ უხდიან მცირე კომპენსაციას საბერძნეთს, რათა მან ზეთის ხილის ტრადიციული კულტურა აღარ აწარმოოს იტალიის სასარგებლოდ.

**და რაც მთავარია: იმის გამო, რომ ბალტიის ქვეყნებში ღირსეული სამუშაო ადგილების დიდი დეფიციტია, შეინიშნება ახალგაზრდობის არნახული მიგრაცია, აქედან გამომდინარე, ნაციისთვის დამღუპველი ფილოსოფიით — ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც კარგად ვარ — ბალტიის ქვეყნების მოსახლეობა განახევრდა!..**

ადრე თუ მოსკოვში დავრბოდით რაიმეს გამოსარჩენად, ახლა გერმანიაში ან საფრანგეთში გვიწევს წანწალი, რადგან ევროკავშირის მთავარი ფიგურანტები ეს დიდი ქვეყნები და ეკონომიკები არიან. ჩვენ, ბალტიელებმა, ბერლინი ვარჩიეთ. არადა, ისევ მოსკოვი ჯობდა, იქ უფრო ბევრს და ადვილად ვშოულობდით (ტამ ლეგჩე პრობივალი), ნოსტალგიით გამოგვიტყდნენ ბალტიელები...

**„ევროკავშირისა და ნატოს გარდა, საქართველო არც ერთ გაერთიანებაში შესვლას არ აპირებს და სხვას ნურავინ ნურაფერს შემოგვთავაზებს!“ — აი ასე, როგორც იტყვიან, წერტილი და მძიმე, კატეგორიულად განაცხადა საგარეო მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ!**

დავიწყოთ იქიდან, რომ ნათქვამია: „არასოდეს თქვა არასოდეს“, მითუმეტეს დიპლომატისგან არ ეგების ასე საუბარი. ეგეც არ იყოს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საით გვექაჩება „ქართული ოცნება“, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროებს დაინანებენ, რათა, საბერძნეთის არ იყოს, ჩვენც, ქართველებსაც, გადაგვიხადონ „კომპენსაცია“, ტრადიციულ მევენახეობაზე უარი გვათქმევინონ და მამა-პაპათა მიერ შვილივით ნაზარდი ვაზი საკუთარი ხელით აგვაჩეხინონ?

## საკამათო არ არის, რომ ე. წ. სოციალური პაკეტის ნაწილზე, შუქისა და გაზის ტარიფების განახევრებაზე საერთოდ უარი და პენსიების საკითხის სექტემბრისთვის გადატანა სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო!

დიახ, ევროკავშირში ჭარბი პროდუქციის პრობლემაა და არა პირიქით — იქ არავის სჭირდება ქართული, თუნდაც ღვინო, რადგანაც ბაზარი გაჯერებულია ესპანური, იტალიური, ფრანგული და ა.შ. ღვინოებით. იმავე ბალტიელების გარეშეც კარგად ვიცით, რომ ჭარბ პროდუქციას, უბრალოდ, ანადგურებენ (რამდენად ზნეობრივია, როცა ნახევარი მსოფლიო შიმშილობს?).

**და ყველაზე მთავარი — საიდან, რის საფუძველზე გაიძახიან (სხვათა შორის ნაცბანდასთან შეხმატკბილებულად), რომ ნატო თუ ევროპა საქართველოს არჩევანია — თუ 2008 წლის არჩევნები გაყალბებული იყო, ესე იგი ავტომატურად გაყალბებული იყო ის გამოკითხვა თუ პლებისციტი, რომელიც ამავე არჩევნების ფორმატში ჩატარდა და რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ თითქოს ნატოს მისცა ხმა.**

ეგეც იქით იყოს და იმ პლებისციტის შემდეგ აგვისტოს ომი მოხდა, რომლის მერეც, იმათაც კი, ვისაც ნატოსი სჯეროდა, რწმენა შეერყათ!

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ახალი გამოკითხვის ჩატარება, რომელიც მართლაც ობიექტურად დააფიქსირებს საქართველოს მოსახლეობის ნამდვილ არჩევანს.

**მანამდე კი ერთ, ჩემის აზრით, რიტორიკულ კითხვას დავსვამ — სად სჯობს: ევროკავშირში, სადაც ტორტი დიდი ხნის გაჭრილი და დანაწილებულია, სადაც, უკეთეს შემთხვევაში, ბალტიელების მსგავსად, „ღარიბი ნათესავის“ სტატუსით მიგვიღებენ და, როგორც იტყვიან, ძაღლადაც არავინ ჩაგვაგდებს, თუ ე. წ. ევრაზიულ კავშირში ერთ-ერთი დამფუძნებლის სტატუსით, სადაც მენტალურად ნაცნობი გარემო, დიდი ეკონომიკური პოტენციალი გველოდება, სადაც ჩვენი პურღვინის გემოც ახსოვთ და ენატრებათ კიდეც, ერთი სიტყვით, სადაც ტორტი ჯერ კიდევ არ გამომცხვარა და მისი დაჭრა-განაწილების მონაწილენი შეიძლება გავხდეთ კიდეც?..**

ან ნატო თუ ე. წ. СКБ, სადაც უსაფრთხოებაც დაცული იქნება და, რაც მთავარია, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაც?

**ხატოვნად თუ ვიტყვით, რა გვირჩევნია, ხალხო: ევროკავშირის დარბაზში სადღაც „გალიორკაზე“ „კონტრამარკით“ ფეხზე დგომა თუ ევრაზიულ კავშირში ბენუარის ლოჟაში პერსონალური მოსაწვევი ბარათით ჯდომა?**

**ბოლო, ბოლო, სანაცვლოდ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებასა და პედერასტების გაჯეჯილებას მაინც არ მოგვთხოვენ, რაზეც, სხვათა შორის, ევროკავშირ-ნატოს წევრი ჩვენი ბალტიელი მეგობრებიც ჩიოდნენ...**

**დავით მხეიძე**

**P.S. ერთადერთი, რაც ბიძინა ივანიშვილის ბრიფინგიდან საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უკრიტიკოდ მიიღო, ის იყო, რომ ცალსახად გაცხადდა სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაგრძელება, თვით ნაც-ფაშისტური ბანდის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელების დაპატიმრებებითაც კი. იქვე დასავლეთის მიმართაც ითქვა, რომ მათი შეშფოთების მიზეზი ნაკლებად ინფორმირებულობის ბრალი იყო და ივანიშვილის ვიზიტის შემდეგ ევროპაში ეს პრობლემა მოგვარდაო.**

**მაგრამ რად გინდა, აგერ ჩამობრძანდა ქალბატონი ქეთრინ ეშტონი და ჯერ დახურულ კარს მიღმა (ნეტავ, რას გვიმალავენ?) შეხვდა პრეზიდენტსა და პრემიერს, ხოლო შემდეგ ღიად გამოხატა მორიგი შეშფოთება ამჯერად ვანო მერაბიშვილის შესაძლო დაკითხვის გამო!**

**აშკარაა, რომ დასავლეთის „შეშფოთება“ გამოწვეულია იმის შიშით, რომ „პოლიტიკური დაჭერებით“ შეიძლება დაირღვეს ის 60X40-ზე პროპორცია, რომელიც დასავლეთმა „ხელების ამოგრეხვით“ მოგვახვია თავს 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თორემ რეალურად ნაცების 20-30 კაციანი დეპუტაციის მეტი არ უნდა ყოფილიყო პარლამენტში.**

**მაგრამ ამაზე მომავალში ვისაუბროთ...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ „ქართული ოცნება“ (ან ვინმე სხვა, მაგრამ არა უშუალოდ მთავრობა) არ იმოქმედებს უცხო ქვეყნების ლობისტურ და მედიასივრცეში ისევე აქტიურად, როგორც ამას არჩევნებამდე აკეთებდა, ეს უდავოდ აისახება საქართველოსა და მისი პარტნიორი სახელმწიფოების ურთიერთობაზე და არა მხოლოდ (და არა იმდენად) იმიტომ, რომ უცხოელები ჩვენი ქვეყნის შესახებ ცუდ ინფორმაციას წაიკითხავენ ან ეს პოტენციურ ინვესტორებს დააფრთხობს.**



## მედვედევი პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებას არ გამორიცხავს

**რუსეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი 2018 წელს პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებას არ გამორიცხავს.** ამის შესახებ მედვედევმა Le Figaro-სთან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული როგორც მის ჯანმრთელობაზე, ასევე სხვა ფაქტორებზე.

**„არასოდეს თქვა არასოდეს. მით უმეტეს, რომ მე ერთხელ უკვე შევედი ამ მდინარეში. რატომაც არ უნდა შევიდე კიდევ ერთხელ“, — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ამჟამინდელ პოსტზე თავს კომფორტულად გრძნობს. „თუ არსებობს ადამიანი, რომელთანაც ჩემთვის მუშაობა კომფორტულია, ეს ადამიანია ვლადიმერ პუტინი“,** — განაცხადა მედვედევმა.



## ირანული იარაღი ღაზას სექტორში

**ღაზაში განვითარებული მოვლენების დროს პალესტინის ისლამური ჯიჰადისა და ჰამასის უმაღლესმა ოფიციალურმა პირებმა პირველად აღიარეს, რომ მათ ხელთარსებული იარაღი ირანული წარმოშობისაა.** ამ განცხადებების ფონზე ოფიციალური ირანისთვის უარყოფის პოზიციის დაკავება რთულია. ჰამასის პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარემ ხალედ მაშალმა 21 ნოემბერს ირანს ჰამასის მიერ მართული ღაზას სექტორის შეიარაღებისა და ფინანსირებისთვის მადლობა გადაუხადა. მაშალმა მადლიერება გამოხატა ღაზას სექტორში ირანის როლისთვის მიუხედავად იმისა, რომ სირიის საკითხთან დაკავშირებით ისინი შეთანხმებას კვლავინდებურად ვერ ახერხებენ.

# ერთიანი ნაციონალური საცოდაობა

**საქართველოს ახალი უცნაური პრობლემა შეექმნა. დისკუსია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელიც ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელია, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს. სააკაშვილის მოწინააღმდეგეები არასოდეს მოუსმენენ „ნაციონალურ მოძრაობას“, მისი წარსულიდან და დღევანდელი მოქმედებიდან გამომდინარე, და მისგან ახალი მთავრობის კრიტიკას არ მიიღებენ, ხოლო სხვა ოპოზიციური პარტიები თავს იკავებენ მთავრობასთან სერიოზულ პოლემიკაში შესვლისგან, რათა უნებლიეთ წყალი „ნაციონალების“ წისქვილზე არ დაასხან. ეს ძნელად შესამჩნევი, თუმცა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელმაც შეიძლება ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. საზოგადოებასა და ოპოზიციას („ნაციონალების“ გამოკლებით), მთავრობასთან სასაუბრო ბევრი აქვს და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ ეტაპზე, ცვლილებების პროცესში, როდესაც ახალი სისტემა „ჩაბეტონებული“ ჯერ არ არის, მაგრამ ყოფილი მმართველი პარტიის მიზეზით, ეს დისკუსია სათანადო ფორმებს ვერ პოულობს, მეტიც, რეალურად არც მიმდინარეობს, რაც არაჯანსაღ, დემოკრატიისთვის საზიანო ვითარებას ქმნის.**



### როდის დასრულდება გარდამავალი პერიოდი?

**„ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელ ტაქტიკას პირობითად შეიძლება „ვაი უშველებელი“ ეწოდოს. მისი წარმომადგენლები ცდილობენ სახელმწიფოს ტოტალური ნგრევის აპოკალიფტური სურათი დახატონ.** სოციალურ ქსელებში ჩამოყალიბდა „პროფესიონალი მოვიშვიშეების“ კასტა, რომელიც, ნეგატიური ფაქტების შეგროვება-ინერპრეტაცია-გავრცელების გარდა, სხვას არაფერს აკეთებს; მეტიც, ცდილობს, საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ ყოველივე ცუდი მათ თვალწინ ხდება. **ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ მათგანს დღეში ხუთჯერ აყაჩაღებენ, სამჯერ კლავენ და მინიმუმ ერთხელ აუპატიურებენ; თანაც ყოველივე ეს, როგორც წესი, უწყლობისა და უშუქობის ფონზე „ემართებათ“. იმავეს, ცხადია, უფრო დახვეწილი ფორმით „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალი რანგის წარმომადგენლები და მათ კონტროლქვეშ დარჩენილი მედიასაშუალებები აკეთებენ.** რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ ილაპარაკონ ის, რაც მოესურვებათ, ჩვენთან (იდეაში) დემოკრატიაა, მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ოპონენტები დასცინიან მათ და, პოლემიკაში შესვლის გარეშე, თავიდან იცილებენ. ამას, ერთის მხრივ, სავსებით გასაგები, ლოგიკური ახსნა აქვს, თუმცა მეორე მხრივ, ამ პრაქტიკის გამოყენება რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კარგს არაფერს მოიტანს. **ოპონენტის იგნორირება ჩვევაში არ უნდა გადავიდეს; ხვალ, როდესაც ხელისუფლებას დასაბუთებული კრიტიკით, ახალი („არანაციონალი“) ოპონენტები მიადგებიან, ის ადეკვატურად უნდა გაესაუბროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ნაცმოძრაობის“ მთავარ შეცდომას გაიმეორებს.**

**პენსია, დაზღვევა, სოციალური დახმარება, განათლების დაფინანსება, ენერგეტიკა და ტარიფების შემცირების საკითხი, სოფლის მეურნეობასთან და ინვესტორების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები, საგარეო და საკადრო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება და ა. შ. — რაც მალე დავიწყებთ საუბარს ყოველივე ამაზე, მით უკეთესი.** მთავრობას ასეთი გეგმა აქვს? კი, ბატონო, მაგრამ იქნებ სხვანაირად, აი ასე გავაკეთოთ? იქნებ მთავრობა ცდება? მოდით, პრობლემის მოგვარების სხვა სტრატეგია ავირჩიოთ. არ გვეთანხმებიან? ვეკამათოთ, გავაკრიტიკოთ და დავარწმუნოთ! დაახლოებით ასე, რეპლიკებად თუ დავშლით, გამოიყურება საზოგადოების ხელისუფლებასთან ურთიერთობის ნორმალური პრაქტიკა, მაგრამ დღეს ჯერ კიდევ გრძელდება პოლიტიკური ომი სააკაშვილის რეჟიმთან (უფრო სწორად, იმასთან, რაც მისგან დარჩა), ხოლო სანგრებში, როგორც ცნობილია, მსგავსი დისკუსიების გამართვა მიღებული არ არის. **ვითარება 1945 წლის აპრილს მოგვაგონებს — ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ მოწინააღმდეგეს კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და, შესაბამისად, ომი გრძელდება. აქედან გამომდინარე, მთელი კრიტიკა და აზრთა სხვაობა ბრძოლის წარმოების ნიუანსებამდე დადის: „ნაღმსატყორცნები არ კმარა, ჰაუბიცები აამოქმედე და ბარემ ავიაცია გამოიძახე!“**

**ფაქტია, საზოგადოების დიდი ნაწილი „ნაცმოძრაობას“ წარსულისა და დღევანდელი დესტრუქციული პოზიციის გამო, სრულუფლებიანი ოპოზიციური ძალის სტატუსზე უარს ეუბნება, მთელ რიგ ეპიზოდებში აშკარა საბოტაჟში ადანაშაულებს და არ უსმენს მას.** ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნიკალურ ვითარებას ქმნის: ერთის მხრივ — ხელისუფლება, მეორე მხრივ (ჯერაც მოლოდინის რეჟიმში მყოფი) — ოპოზიცია, „მესამე მხრივ“ კი — „ნაციონალური მოძრაობა“, არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, მოკლედ, კაცმა არ იცის რა. ცხადია, დიდხანს ასე არ გაგრძელდება, ადრე თუ გვიან სისტემა ბუნებრივ, გაწონასწორებულ მდგომარეობამდე მივა (სახეცვლილი „ნაცმოძრაობის“ ინტეგრირების თუ პოლიტიკისგან მისი იზოლირების შედეგად, ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; თუ ამ მომენტისთვის გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით ვიმსჯელებთ, უფრო სავარაუდო მეორე ვარიანტი ჩანს). **მთავარია, ეს გარდამავალი პერიოდი, მალე და შეძლებისდაგვარად უმტკივნეულოდ დასრულდეს, რაც მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ საბოლოო სტატუსისა და როლის** (ან მათი არარსებობის) **დაფიქსირების შემდეგ მოხდება.**

ჯერჯერობით კი ისევ იმ პრობლემებზე საუბარი მოგვიწევს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია ახალი და ძველი ხელისუფლების ბრძოლის და არა ქვეყნის განვითარების კონტექსტში, მათ შორის იმიტომ, რომ ყველაზე მეტად დღეს საზოგადოებას ეს აინტერესებს.

**დღეს ჯერ კიდევ გრძელდება პოლიტიკური ომი სააკაშვილის რეჟიმთან (უფრო სწორად, იმასთან, რაც მისგან დარჩა), ხოლო სანგრებში, როგორც ცნობილია, მსგავსი დისკუსიების გამართვა მიღებული არ არის**

### კარგ გამგონს კარგი მთქმელი უნდა

ახალი მთავრობა ცოტა ხნის წინ დამტკიცდა, თუმცა უკვე აშკარაა, რომ, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, გარკვეული სირთულეები აქვს. საუბარია საზოგადოებამდე ძირითადი გზავნილების მიტანაზე — **იქ, სადაც სიცხადე უნდა სუფევდეს, ხშირად სრული ბუნდოვანებაა.**

მაგალითად, გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების დაფინანსების გაორმაგების შესახებ, აუდიტორიამდე ისე მიიტანეს, რომ მისმა ნაწილმა ჩათვალა, რომ სწავლის საფასური გაორმაგდება. ამ გაურკვევლობის წარმოქმნას ხელი „ნაციონალების“ პროპაგანდისტულმა მანქანამაც შეუწყო, თუმცა ეს ხელისუფლების შეცდომას არ ამართლებს, **მან მოკლე და კონკრეტული საუბარი, ძირითადის და მეორეხარისხოვანის ერთმანეთისგან გამიჯვნა** ▶

მსოფლიო



## მექსიკას სახელს უცვლიან

**მექსიკის პრეზიდენტი ფილიპე კალდერონი ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებიდან „მექსიკის შეერთებული შტატები“ „შეერთებული შტატების“ ამოღების ინიციატივით გამოვიდა.** კანონპროექტი პრეზიდენტმა პარლამენტში 22 ნოემბერს შეიტანა. **„მოვიდა დრო, ქვეყანამ საკუთარი ლამაზი და მარტივი სახელი — მექსიკა დაიბრუნოს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ქვეყნის სახელი „სხვა სახელმწიფოების მიბაძვით“ მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა. მექსიკის შეერთებული შტატები ქვეყანას 1824 წელს ეწოდა, მას შემდეგ, რაც მან ესპანეთიდან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყნის ოფიციალური სახელს ძირითადად ოფიციალურ დოკუმენტებსა და ვალუტის კუპიურებზე იყენებენ. იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის არ გამოიყენება. **„მაპატიეთ კალამბურისთვის, მაგრამ მექსიკის სახელი მექსიკაა“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვერც ივანიშვილი, ვერც მამაზეციერი ვერაფერს გახდება, თუ საზოგადოება საკუთარ თავზე არ აიღებს იმ მისიას, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია, და მისი თითოეული წევრი, როგორც ინსპექტორი, ყურადღებით არ დააკვირდება იმ ჩინოვნიკების ქცევას, რომლებიც მისი თვალთახედვის არეში მოხვდებიან. გადაიქცევიან „ახალი კადრები" მეტ-ნაკლებად (იდეალური ამქვეყნად არაფერია) კარგ ჩინოვნიკებად თუ ბანალურად გაღორდებიან, უპირველესად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომთხოვნი და (კარგი გაგებით) დაუნდობლები ვიქნებით მათთან ურთიერთობაში.**



# რაც უფრო იშვიათად იტყვიან პრემიერი და მინისტრები «არ ვიცი»-ს, მით უკეთესი

◀ **უნდა ისწავლოს** (ყველაზე მეტად თქმული, ალბათ, ნოდარ ხადურსა და გიორგი მარგველაშვილს ეხება; ორივე კარგი ლექტორი და მოსაუბრეა, თუმცა ამჯერად მათ წინაშე ცოტა სხვა სახის ამოცანები დგას). ამასთანავე, **რაც უფრო იშვიათად იტყვიან პრემიერი და მინისტრები „არ ვიცი"-ს, მით უკეთესი;** აქ საუბარი იმაზე როდია, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებივით ყოვლისმცოდნეობაზე უსაფუძვლო პრეტენზია ჰქონდეთ, მაგრამ **გაურკვევლობის დოზა, სასურველია, შემცირდეს. ეს, როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების ინტერესებში შედის.**

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მომიჯნავე სფეროს ეხება, სალომე ზურაბიშვილმა („ფეისბუკზე") აღწერა, მას შემდეგ ფრანგულ პრესაში რამდენიმე ახალი ხელისუფლების იმიჯისთვის საზიანო წერილი გამოქვეყნდა: **„ალბათ, დროა მიხედვისა... „ნაცებს" სხვა საქმე არ აქვთ და ამ საქმეს გულმოდგინებით ეკიდებიან — ახლახან ახალი ლობისტური ფირმა შექმნეს თუ დაიქირავეს... ამაზე, ცხადია, საელჩო არც რეაქციას იძლევა, არც თბილისს ატყობინებს... შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, რომ ეს უმნიშვნელოა, მაგრამ ეს უარყოფითი სურათის შექმნაა, რომელიც საქართველოსთვის უფრო საყურადღებოა, ვიდრე სტრასბურგში ცეკვა-თამაში... ანუ ჩვენი ქვეყნისა და ახალი მთავრობის დემოკრატიულობის ეჭვის ქვეშ დაყენება... იგივე მიმდინარეობს ყველგან. სააკაშვილს ემსახურებიან ადგილზე დღეს კიდევ მყოფი ელჩები და ახალი თუ ძველი ლობისტები და ახალ ხელისუფლებას კი არავინ არც იცავს...**

უცხო პრესას ყურადღებასაც არ ვაქცევთ, ვითომც არ არსებობდეს, როცა ესენი (ნაცები) მთელ ენერგიას აქეთ ხარჯავენ... **რატომ არავინ უხსნის ივანიშვილს, რომ ძველი ელჩები ახლავე მოსაშორებელია და უცხოეთში მისი პიროვნება და პოლიტიკა წარმოსაჩენია?**

ეს უცოდინარობაა თუ დივერსია?"

**თუ დიპლომატები მართლაც „ნაციონალური მოძრაობის" დაკვეთას ასრულებენ და უცხოეთში საკუთარი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ, ეს შეუწყნარებელი სიტუაციაა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს**, თუმცა ყოფილი მინისტრის განცხადებას კიდევ ერთ ნაკლებად შესამჩნევ პრობლემამდე მივყავართ. ცხადია, ვერავინ აუკრძალავს სააკაშვილს, დაიქირავოს ლობისტები და ბეჭდოს უცხოურ მედიაში ის, რაც მოეხასიათება (იმ შემთხვევაში, თუ ამას ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე არ გააკეთებს), მაგრამ, **თუ „ქართული ოცნება" (ან ვინმე სხვა, მაგრამ არა უშუალოდ მთავრობა) არ იმოქმედებს უცხო ქვეყნების ლობისტურ და მედიასივრცეში ისევე აქტიურად, როგორც ამას არჩევნებამდე აკეთებდა, ეს უდავოდ აისახება საქართველოსა და მისი პარტნიორი სახელმწიფოების ურთიერთობაზე და არა მხოლოდ (და არა იმდენად) იმიტომ, რომ უცხოელები ჩვენი ქვეყნის შესახებ ცუდ ინფორმაციას წაიკითხავენ ან ეს პოტენციურ ინვესტორებს დააფრთხობს**.

მთავარი პრობლემა ქართული საზოგადოების განწყობასა და მოსალოდნელ რეაქციაშია. საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უცხოელ პარტნიორებს ლაქიასავით ესაუბრებოდა და ეს (სხვა ყველაფერთან ერთად) მის ოპონენტებს აღიზიანებდა. ამ სტილიდან გამომდინარე, ზოგიერთი უცხოელი ვერ გრძნობდა ზღვარს, სადაც მთავრდება რჩევა და იწყება საშინაო საქმეებში ჩარევა, და საკუთარი დიდაქტიკური მონოლოგებით ქართველებს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა, რომელიც დაახლოებით ასეთი ფორმით გამოიხატებოდა: „საკუთარ თავს და მსუბუქი ყოფაქცევის მამიდას მიხედონ". თუ ასე გაგრძელდა (და „ნაციონალების" საინფორმაციო კამპანია უცხოეთში ამას ხელს უწყობს), საქმე სრულ გაუცხოებამდე და, საბოლოოდ, ურთიერთობების გაფუჭებამდე მივა, რის ფუფუნებაც საქართველოს, როგორც სუსტ სახელმწიფოს, არ აქვს. **ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაში გაცილებით ღირსეული ტონალობა აირჩია, ვიდრე სააკაშვილმა თავის დროზე, მისი მხარდამჭერები და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამას, სავარაუდოდ, მიესალმება, მაგრამ უცხო ქვეყნებში ლობისტებთან და მედიასთან იმ მუშაობის გარეშე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ურთიერთობებში უცხოელ პარტნიორებთან დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი სირთულე გაჩნდება.** ისე, რა კარგია, რომ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ, თორემ ხელისუფლების დასაბრუნებლად მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, არა ფრანგულ გაზეთებს, არამედ მონღოლურ ურდოებს გამოიყენებდა.

არის სხვა მსგავსი სირთულეებიც, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა კომუნიკაციისა და პრეზენტაციის პრობლემებამდე დაიყვანება.

## კადრები ყველაფერს როდი წყვეტენ

საზოგადოებაში გაჩნდა რიგი ეჭვნარევი კითხვები ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ამ თემაზე საუბარს კი საინტერესო კითხვამდე მივყავართ: ვის უნდა შევადაროთ ეს კადრები? ცხვირმოუხოცავ უვიც სადისტებს, რომელთაც საკვანძო თანამდებობებზე „ნაციონალები" ნიშნავდნენ, შევარდნაძის, გამსახურდიას თუ კომუნისტების დროინდელ ჩინოვნიკებს უარყოფითი თვისებების მთელი ბუკეტით, თუ ვიღაც იდეალურ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც მეტწილად ჩვენს წარმოსახვაში არსებობენ. რა მივიღოთ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, ბიოგრაფია, ცალკეული გამონათქვამები („ნაციონალები", პრინციპში, ამ გზით წასვლას გვთავაზობენ) თუ საქმე, რომლის კეთება სულ ახლახან დაიწყეს? ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ **დღევანდელი საკადრო გადაწყვეტილებების არცთუ მცირე ნაწილი ნაკარნახევია არა მშვიდი აღმშენებლობის, არამედ გააფთრებული ბრძოლის ლოგიკით, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის ჯერ კიდევ გრძელდება.**

ცუდი ჩინოვნიკის პრობლემა საქართველოში იარსებებს მანამ, სანამ საზოგადოება მათ გაწვრთნას არ დაიწყებს ისეთივე ხისტი მეთოდებით, როგორითაც ცირკში ძნელად მოსათვინიერებელ მტაცებელ ცხოველებს წვრთნიან. **ვერც ივანიშვილი, ვერც მამაზეციერი ვერაფერს გახდება, თუ საზოგადოება საკუთარ თავზე არ აიღებს იმ მისიას, რომლის შესრულება მხოლოდ მას შეუძლია, და მისი თითოეული წევრი, როგორც ინსპექტორი, ყურადღებით არ დააკვირდება იმ ჩინოვნიკების ქცევას, რომლებიც მისი თვალთახედვის არეში მოხვდებიან. გადაიქცევიან „ახალი კადრები" მეტ-ნაკლებად (იდეალური ამქვეყნად არაფერია) კარგ ჩინოვნიკებად თუ ბანალურად გაღორდებიან, უპირველესად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომთხოვნი და (კარგი გაგებით) დაუნდობლები ვიქნებით მათთან ურთიერთობაში.** ახლა კარგი მომენტია იმისთვის, რომ პროცესი „სუფთა ფურცლიდან" დაიწყოს.

საკადრო საკითხის კონტექსტში დგება სააკაშვილის დროინდელი (მეტწილად საშუალო რგოლის) ჩინოვნიკების პრობლემაც. მთავარია არა მათი კვალიფიკაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფრიად ფარდობითია, არამედ ის, რომ მათ გამოცდილება იმ პირობებში დააგროვეს, როდესაც სახელმწიფო მანქანა უსიტყვოდ ასრულებდა მმართველი ჯგუფის პოლიტიკურ დაკვეთებს, რაც ხშირ შემთხვევაში კანონის მიჯნაზე, მეტის მის მიღმა მოქმედებას უკავშირდებოდა. ხომ არ გადაიქცნენ ამ პერიოდში ეს ადამიანები „მონობის ვირუსის" მატარებლებად და მოახდენენ თუ არა უარყოფით გავლენას მთელ სისტემაზე, ზემდგომებთან ბატონყმური, ხოლო მოსახლეობასთან მონათმფლობელური ურთიერთობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით? ფაქტია, პრობლემა არსებობს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ **ადამიანების მასობრივი გამოყრა სახელმწიფო სამსახურიდან, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იქ სააკაშვილის მმართველობის წლებში მუშაობდნენ, არ შეიძლება.** ალბათ, მათ უნდა მიეცეთ გარკვეული დრო იმისთვის, რომ ახალ რეალობაში ცხოვრება და მუშაობა ისწავლონ, ეს არა მხოლოდ ჰუმანური, არამედ რაციონალური გადაწყვეტილება იქნება, რომელიც, ცხადია, მათ, ისევე როგორც სხვა ჩინოვნიკების, მოქმედებაზე საზოგადოებრივი კონტროლის შერბილებას სულაც არ გულისხმობს.

**ადამიანების მასობრივი გამოყრა სახელმწიფო სამსახურიდან, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იქ სააკაშვილის მმართველობის წლებში მუშაობდნენ, არ შეიძლება**

**დიმიტრი მონიავა**



## საუდის არაბეთში ქალებს უთვალთვალებენ

**საუდის არაბეთმა ქალების ელექტრონული კონტროლის სისტემა შემოიღო. სისტემა მათ მიერ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის აღსაკვეთად შეიქმნა. ამიერიდან ქალის მეურვეები (მამები, ქმრები ან ძმები) საკუთარ ტელეფონზე SMS-ს მიიღებენ ინფორმაციით, რომ მათი ნათესავები ქვეყანას ტოვებენ.** ქვეყნის მთავრობამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ერთ-ერთი საუდელი ქალი ოჯახური დავის გამო შვედეთში გაიქცა. მას მამისგან გამგზავრებაზე ნებართვა არ მიუღია, საუდის არაბეთში მოქმედი კანონებით კი, ქალს მეურვის წერილობითი ნებართვის გარეშე მოგზაურობა არ შეუძლია. მამაკაცი, რომელიც მას გაქცევაში დაეხმარა, დააპატიმრეს. საუდის არაბეთში ქალებს აკრძალული აქვთ ავტომობილის მართვა და თანმხლები მამაკაცის გარეშე მოგზაურობა. ოლიმპიურ თამაშებზე ამ ქვეყნის წარმომადგენელი ქალბატონები მხოლოდ 2012 წელს დაუშვეს.

## ბანგლადეშში 121 ადამიანი დაიღუპა

**ბანგლადეშის დედაქალაქ დაკას გარეუბანში სამკერვალო ფაბრიკა დაიწვა. ბოლო მონაცემებით, დაღუპულია 121 ადამიანი.** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მსხვერპლთა რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ამ დროისთვის უცნობია. თვითმხილველთა განცხადებით, ხანძარი ფაბრიკის პირველ სართულზე გაჩნდა და ძალიან სწრაფად მოედო მთელ ფაბრიკას. ფაბრიკაში დასაქმებული ადამიანები იძულებულნი გახდნენ, ხანძრისგან თავის დაღწევის მიზნით, ფანჯრებიდან გადმომხტარიყვნენ. სამართალდამცავების განცხადებით, უმეტესობა სწორედ მაღალი სიმაღლიდან გადმოხტომის შედეგად დაიღუპა. მეხანძრეებს ხანძრის ბოლომდე ჩასაქრობად ხუთი საათი დასჭირდათ.

## წელს მსოფლიოში ჟურნალისტების რეკორდული რაოდენობა დაიღუპა

**საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში 2012 წელს მოვალეობების შესრულებისას 119 ჟურნალისტი დაიღუპა. ეს რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც 1997 წელს ინსტიტუტმა ჟურნალისტთა შორის ყოველწლიური მსხვერპლის აღრიცხვა დაიწყო. „წელს დაღუპულ ჟურნალისტთა უმრავლესობა მიზანმიმართული მკვლელობის მსხვერპლი გახდა", — ნათქვამია ანგარიშში.**

ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნების სიაში ლიდერობს სირია, სადაც მიმდინარე სამოქალაქო ომს წელს 36 ჟურნალისტისა და ათეულობით მედიააქტივისტის სიცოცხლე შეეწირა. 16 ჟურნალისტი დაიღუპა სომალიში. ნიშანდობლივია, რომ ამ მკვლელობებისთვის არავინ დაუსჯიათ, რაც ხელს უწყობს ამ პროფესიის ადამიანების მიმართ ძალადობას. ჟურნალისტებისთვის ერთობ სახიფათო ქვეყნებად მიიჩნევა ასევე მექსიკა, პაკისტანი და ფილიპინები.

**„მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებისა, შეაჩერონ თავდასხმები ჟურნალისტებზე, წელს მსხვერპლთა რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა. ჟურნალისტის მკვლელობა არის ცენზურის უკიდურესი, ყველაზე ულმობელი და შემაძრწუნებელი ფორმა. თუ ვერ შევძლებთ, აღმოვფხვრათ დაუსჯელობის სინდრომი, ეს მკვლელობები კვლავ გაგრძელდება"**, — განაცხადა ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტმა ენტონი მილსმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვეტერანებს თითქმის ყველა შეღავათი მოგვისპეს და ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს ერთიანობისთვის სისხლს ღვრიდნენ, „ნაციონალებმა“, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დატოვეს! რომელ „ნათელ მომავალზე“, ბოდიში და, ყროყინებდნენ სააკაშვილი და მისი მორჩილი ტელევიზიები, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც თავის დამსახურებულ მოქალაქეებს უპატივცემულოდ ექცევა, მეტიც, შიმშილისთვის იმეტებს, მომავალი არ აქვს!“**



# გია ბერძენიძე: თუ არჩილ კბილაშვილი არ გააძევებს პროკურატურიდან სააკაშვილ-მერაბიშვილის ჯალათებს, «ვეტერანთა ლიგა» მის ოფისთან მწვავე საპროტესტო აქციებს მოაწყობს!

**50 წლის გია ბერძენიძე სათავეში უდგას „ძალოვან ვეტერანთა ეროვნულ ლიგას“, რომელიც ათი ათას წევრს აერთიანებს. გია ბერძენიძემ 15 წლის განმავლობაში ყველა ძალოვან სტრუქტურაში იმუშავა თავდაცვის სამინისტროს გარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში 1990-95 წლებში იყო გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე. უშიშროების სამინისტროში ხელმძღვანელობდა პირადი შემადგენლობის ინსპექციას, შემდეგ გადავიდა გენერალურ პროკურატურაში. აქაც დააფასეს ახალგაზრდა გონებამახვილი დისციპლინირებული პროფესიონალი — დანიშნეს გენერალური პროკურორის აპარატის უფროსად; იყო მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე და ავადსახსენებელი „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი გახლდათ. გია ბერძენიძე მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში, აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც. თუმცა, მან კიდევ ერთ ომში მიიღო მონაწილეობა.**

— 2008 წლის აგვისტოში, ჩვენი „ლიგის“ ასი წევრი, მოხალისეებად ჩავედით სამაჩაბლოში და კარალეთის საგუშაგოსთან განვთავსდით. იქ დაგვხვდნენ ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენლები და ჩვენი სია დააფიქსირეს. გადმოგვცეს ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები, ოღონდ, ნაღმების გარეშე, რითაც უნდა მოგვეგერიებინა მტერი. ასეთი „შეიარაღებით“ დაგვაყენეს ცხინვალის შესასვლელთან. ჩვენ კარგად ვიცოდით რასთან და ვისთან გვქონდა საქმე. ამიტომ, კატეგორიულად მოვითხოვეთ მოეცათ ჩვენთვის ავტომატური იარაღი და შევეშვიეთ წინა ხაზზე. ჩვენ გვერჩივნა, შევწირულიყავით ქვეყანას და არა ის ახალგაზრდა ბიჭები, რომლებმაც არც კი იცოდნენ ჯეროვნად იარაღის გამოყენება. რატომღაც, ჩვენ არ გვენდნენ და სულ ტყუილუბრალოდ ბიჭები ჩახოცეს...

**— ბატონო გია, სააკაშვილის რეჟიმს თქვენ დახვდით საქართველოს პროკურატურის გენინსპექციის უფროსად. როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები?**

— როცა ეს ანტიხალხური ძალა ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ ხელშეწყობით ხელისუფლების სათავეში მოვიდა და დაიწყო ადამიანების „სატელევიზიო დაპატიმრებები“, ნიღბებით შევარდნა მოქალაქეების სახლებში, კარის შემტვრევა, ქონების ჩამორთმევა და ა. შ., ორი თვის განმავლობაში მე დავწერე, ზუსტად არ მახსოვს, სამი თუ ოთხი განცხადება; მოვითხოვდი სამსახურიდან წასვლას, რადგან „ნაცმოძრაობის“ უმსგავსოებები ჩემთვის მიუღებელი იყო! **გენერალურ პროკურატურაში გავაკეთე საჯარო განცხადება (და ამაზე მთელი პროკურატურა დამემოწმება), რომ სააკაშვილი და ოქრუაშვილი იყვნენ კრიმინალები და თავად არიან დასაპატიმრებლები! ამის შემდეგ კოლეგები ჩემთან ურთიერთობას ერიდებოდნენ...** როგორც იქნა, გამათავისუფლეს. მერე ირაკლი ბათიაშვილთან, თემურ შაშიაშვილთან, ნუკრი ქანთარიასთან, მამუკა არეშიძესთან, გია კობახიძესთან, სოსო ჯაჭვლიანთან და სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ორგანიზაცია „წინ საქართველო“, რომელმაც თავიდანვე შეუქმნა სააკაშვილსა და მის ხროვას დიდი პრობლემები! ეს იყო სამედიცინო კოლეჯისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქციები; შემდეგ **პირადად ჩვენი, ვეტერანების, ინიციატივით გავაპროტესტეთ დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა რესპუბლიკის მოედნიდან დიღმის მასივში. ვათენებდით და ვაღამებდით ძეგლთან და 15 დღის განმავლობაში „ნაცებმა“ ვერ მოახერხეს დიდი მეფის ძეგლის კვარცხლბეკიდან მოხსნა. მხოლოდ ვერაგობით, მოტყუებით შეძლეს ამ სამარცხვინო ქმედების ჩადენა, როცა დაიფიცეს, რომ ძეგლს ხელს არ ახლებენ და ჩვენც დავუჯერეთ...**

ამის შემდეგ, 2007 წელს, გავმართეთ ათიათასიანი აქცია პარლამენტის წინ, ვაპროტესტებდით ვეტერანთა შეღავათების გაუქმებას.

**— რომელი შეღავათები გააუქმა სააკაშვილის ხელისუფლებამ?**

— პენსიის დანიშვნის ნორმები ვეტერანებისთვის სამჯერ და ოთხჯერ შემცირდა. „ვარდოსნებმა“ გააუქმეს კანონის 45-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პენსიის გადაანგარიშებას ცხოვრების დონისა და შრომის ანაზღაურების ცვლილებასთან დაკავშირებით. ხალხის ამ „მეგობრებმა“ გააუქმეს გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახისთვის ხუთი თვის ოდენობის პენსიის გაცემის ნორმა, გაუქმდა პენსიის გადაანგარიშება სტაჟის, წოდების, დამსახურებისა და თანამდებობის მიხედვით; გაუქმდა მე-14 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ინვალიდ ომის მონაწილეთა პენსიის გაზრდას. გაუქმდა 41-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პენსიების 25-50%-ით გაზრდას ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებასთან დაკავშირებით. ვეტერანებს პროტეზირებაც ხელმიუწვდომელი გაუხადეს. მოკლედ, **თითქმის ყველა შეღავათი მოგვისპეს და ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს ერთიანობისთვის სისხლს ღვრიდნენ, „ნაციონალებმა“, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დატოვეს! რომელ „ნათელ მომავალზე“, ბოდიში და, ყროყინებდნენ სააკაშვილი და მისი მორჩილი ტელევიზიები, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც თავის დამსახურებულ მოქალაქეებს უპატივცემულოდ ექცევა, მეტიც, შიმშილისთვის იმეტებს, მომავალი არ აქვს!**

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან ასეთი დაუფარავი დისკრიმინაცია ვეტერანებისადმი?**

— სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ბანდის მოსვლის პირველივე დღიდან, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიდან დაითხოვეს თანამშრომლები, რომელთა უმრავლესობა, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, იყო ღირსეული ადამიანი. ნაციონალმა ნაძირლებმა მათ ცილი დასწამეს კორუფციაში, სამშობლოს ღალატში და ა.შ., რაც სიცრუეა. ეს იყო დაცინვა, შეურაცხყოფა მათი პატივისა, ღირსების აყრა!.. ჩვენ ეს ვერ ავიტანეთ და ხმა ამოვიღეთ. გარდა ამისა, ვაპროტესტებდით იმას, რაც, საერთოდ, ქვეყანაში ხდებოდა. **სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ ხალხს არაფრად აგდებდა, მათი ინტერესების იგნორირებას ახდენდა; იტაცებდნენ, ცემდნენ, კლავდნენ, არბევდნენ, ქონებას ართმევდნენ ადამიანებს, ხოლო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდნენ აბსოლუტურად არაკომპეტენტურ, 22-23 წლის ნაბიჭვრებს, რის გამოც ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანეს.** ჩვენ ამას ყველაფერს აქტიურად ვეწინააღმდეგებოდით და ვაპროტესტებდით; ვაცხადებდით, რომ ეს ხელისუფლება ანტიეროვნულია და კრიმინალებისგან შედგება. რა თქმა უნდა, ამან გამოიწვია სააკაშვილის გულისწყრომა და, როგორც ყველა სულმდაბალი არსება, ჩვენზე აი, ასე, არაკაცურად, შეღავათების გაუქმებით, შურს იძიებდა.

ჩვენ არასოდეს მოგვითხოვია სააკაშვილთან შეხვედრა, რადგან ვითხოვდით იმას, რაც კანონით ეკუთვნოდათ ვეტერანებს.

**ჩემს „დაშოშმინებასაც“ ცდილობდნენ იმით, რომ არაერთხელ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში, ბოლო წუთამდეც კი, მთავაზობდნენ სამსახურში დაბრუნებას დიდ თანამდებობებზე; „ლიგის“ დაფინანსებითაც „მხიბლავდნენ“, მაგრამ ამაოდ!**

**— როგორც ვიცი, თქვენ დაპატიმრებულიც იყავით. რა ბრალდებით?**

— უაზრო ბრალდებით, თითქოს, უკანონოდ ვინახავდი რაღაც გადაკეთებულ ცეცხლსასროლ იარაღს; არადა, მე მქონდა შენახვის უფლებით გაფორმებული, „ჰაი-პაუერის“ სისტემის იარაღი... თავს დამესხნენ, 7 თუ 8 მანქანიდან გადმოცვივდნენ ავტომატებით შეიარაღებული ზონდერები და დაკავების შემდეგ ცინიკურად „ამომიღეს“ ჯიბიდან „სამხილი“ იარაღი... ამ არაკაცობას ხელმძღვანელობდა იმ პერიოდში მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსი ირაკლი ყიფშიძე, რომელიც მერე დაინიშნა თბილისის პოლიციის ხელმძღვანელად და ამ თანამდებობაზე ამა წლის 1 ოქტომბრამდე ბრძანდებოდა. ამჟამად ყიფშიძე, რამდენადაც ვიცი, გაქცეულია და იმალება...

**როცა ჩემი „საქმის“ გამოძიება მიმდინარეობდა, პატიოსანმა გამომძიებელმა ელბერტ ტუხაშვილმა გაარკვია, რომ „ჩემი“ ცეცხლსასროლი იარაღი ფიგურირებდა სამ სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულში. არადა, როცა ერთი ეპიზოდიდან ხდება იარაღის ამოღება, შს სამინისტრო ვალდებულია, იგი გაანადგუროს და შეადგინოს ამ იარაღის უტილიზაციის აქტი! შეუძლებელია, ასეთი იარაღი ვიღაცის ჯიბეში აღმოჩნდეს. ამისთვის ელბერტ ტუხაშვილი დააპატიმრეს რაღაც აბსურდული ბრალდებით, ხოლო მისი შვილი სამსახურიდან დაითხოვეს!** ▶




**«შს მინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილისა და გენერალური პროკურორის — არჩილ კბილაშვილის დანიშვნებთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ მათ მიერ შერჩეული კადრების რა მოგახსენოთ — გაოცებულები, მეტიც, აღშფოთებულნი ვართ!»**

**«დავით მჭედლიშვილი, თეიმურაზ მიქაბერიძე, ზაქარია დარჩიაშვილი, გოჩა ფარულავა, დავით კოჭლამაზაშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ლაშა ლეთოდიანი, გივი პაპუაშვილი — ეს ხალხი პირადად ბიძინა ივანიშვილსაც ებრძოდა, თანაც ბინძური მეთოდებით!»**

**თავის დროზე პრეზიდენტის დანიშნული ხალხი ნელ-ნელა ისევ ბრუნდება აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობებზე და „ოცნება“, რომელმაც „შუა გაკრიფა“, სულ უფრო ემსგავსება „სააკაშვილის ყოფილი მეგობრების კლუბს.“ გაგებით როგორ არ მოვეკიდებით, მაგრამ ძალოვან სტრუქტურებში არჩევნებამდე თავად ივანიშვილთან ბინძური მეთოდებით მებრძოლი ადამიანების დანიშვნის „გაგება“ უკვე მეტისმეტია!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ამ ფაქტმა — „იარაღის უჩვეულო თავგადასავალმა“ — გამოძიებას გადაულახავი სირთულე გაუჩინა. გადაწყვიტეს ჩემი გირაოთი გათავისუფლება, რითაც თავიანთი მოკლე ჭკუით ცდილობდნენ დავეშანტაჟებინე. მიუხედავად ასეთი ზეწოლისა, არც ერთი მიტინგი, არც ერთი საპროტესტო აქცია არ გამომიტოვებია!

**— „ლიგის“ წევრებზეც იყო, ალბათ, ზეწოლა...**

— ეს ბუნებრივია! იყო ჩიორა წიკლაურისა და თამაზ თევდორაშვილის გვემა; ნიკა მახაშვილის გატაცება და სასტიკი ცემა... იყო გია კრიალაშვილის, სერგო თეთრაძისა და რონინ შავაძის მკვლელობები!.. და მრავალი სხვა დანაშაული!

**— დაახლოებით ორი კვირის წინ თქვენ გქონდათ შეკრება „კინოს სახლში“, რასთან დაკავშირებით?**

— ვეტერანები თვითორგანიზებული ძალაა; მათ არ სჭირდებათ საგანგებო მოწოდებები გაერთიანებისკენ. ჩვენთან მოვიდნენ სხვა ვეტერანთა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებსაც საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი აქვთ. გადავწყვიტეთ გაერთიანება და უახლოეს მომავალში, ალბათ, სპორტის სასახლეში ისევ შევიკრიბებით. ამის შემდეგ **ჩვენ სერიოზულ ძალად ვიქცევით, რომელიც მხარში ამოუდგება ხელისუფლებას!**

**— მაგრამ, ბატონო გია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე „ვეტერანთა ლიგის“ წევრმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა იმ დანიშვნებზე, რომლებიც სულ ახლახან განხორციელდა შს სამინისტროში და გენპროკურატურაში. მაინტერესებს თქვენი აზრი.**

— ბატონმა ლადო ჩერქეზიშვილმა გააჟღერა ჩვენი „ლიგის“ პროტესტი! ის საკადრო პოლიტიკა, რომელიც ახალი ხელისუფლების მიერ ხორციელდება, ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა **შს მინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილისა და გენერალური პროკურორის — არჩილ კბილაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ მათ მიერ შერჩეული კადრების რა მოგახსენოთ — გაოცებულები, მეტიც, აღშფოთებულნი ვართ!** ჩვენ შევუთვალეთ შს მინისტრს და გენერალურ პროკურორს, რომ ასეთი კადრების დატოვება მათდამი დაქვემდებარებულ უწყებებში გამოიწვევს ხალხის უკმაყოფილებას. მაგრამ მათი მხრიდან ჯერჯერობით არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. მიკვირს, ღარიბაშვილისა და კბილაშვილის მხრიდან ასეთი დუმილი!

**— გადავიდეთ კონკრეტულად თქვენთვის მიუღებელ პერსონებზე. მათი გვარი, სახელი, რით იყვნენ დაკავებულები უწინ — „ნაცხელისუფლების“ მმართველობის დროს. მითუმეტეს ბატონმა ივანიშვილმა 22 ნოემბერს ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა: თუ ასეთ ადამიანებზე გაქვთ რაიმე ინფორმაცია, მოგვაწოდეთო.**

— კი, ბატონო. აი, ახლა მოგაწვდით ინფორმაციას, თუ ვინ, სად დაინიშნა. ეს ინფორმაცია ამოვიღე პროკურატურის საიტიდან, რაც ოფიციალური საბუთია.

მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ დაინიშნა **დავით მჭედლიშვილი.**

სააკაშვილის „მეფობისას“ იყო საოლქო პროკურორის მოადგილე, ასევე, საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახურის უფროსი...

**თეიმურაზ მიქაბერიძე** დაინიშნა ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსად. ეს პირი ადრე მუშაობდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორად და სამცხე-ჯავახეთის პროკურორად. აგერ, კიდევ სააკაშვილ-ადეიშვილის უკანონო ბრძანებებისა და მითითებების უყოყმანოდ შემსრულებელი — **ზაქარია დარჩიაშვილი.** ეს ვაჟბატონი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გადადგა ქალაქ რუსთავის მერის პოსტიდან. დღეს ზედამხედველობს კრიმინალური და საპატრულო პოლიციების დეპარტამენტებს!..

**გოჩა ფარულავა,** რომელიც აჭარაში პროკურორობდა, როდესაც იქ საშინელებები ხდებოდა, ახლა სერიოზულ დეპარტამენტს თავკაცობს.

თბილისის პროკურორად დაინიშნა **დავით კოჭლამაზაშვილი** — ადეიშვილის „მარჯვენა ხელი“, თავის შეფთან ერთად ჩადიოდა იმ უკანონობას, რასაც კახეთის გაძარცვა, მისი წიაღისეულის უკანონო გატანა ჰქვია!

**ალექსანდრე იმედაშვილი** კი თბილისის პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშნეს. ადეიშვილის ზეობისას მართავდა იმერეთის საოლქო პროკურატურას...

**ლაშა ლეთოდიანსაც** პროკურორის „სავარძელი“ ერგო. იყო ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილე. მერე შიდა ქართლში ბოგინობდა...

**გივი პაპუაშვილი** დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად. წარსულში აჭარის პროკურორი ბრძანდებოდა და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად იქაურ მოსახლეობას არბევდა და აწიოკებდა!

ეს მხოლოდ დასაწყისია! **ბატონმა კბილაშვილმა უნდა გადახედოს თავის საკადრო პოლიტიკას და გაითვალისწინოს ვეტერანთა იმ დიდი არმიის აზრი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პირები სააკაშვილის დროს უკანონობას აკანონებდნენ! მათი სანქციით ხალხს აშანტაჟებდნენ, შუაღამისას სახლებში უვარდებოდნენ, იჭერდნენ ადამიანებს; ხელს აფარებდნენ ზურა ვაზაგაშვილის, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის მკვლელებს!** მათი მკვლელები დღესაც სისტემაში მუშაობენ და არ დასჯილან! ვეტერანთა სახელით ვთხოვ ბატონ არჩილ კბილაშვილს, გააძევოს ეს პირები პროკურატურიდან. ეს ხალხი პირადად ბიძინა ივანიშვილსაც ებრძოდა, თანაც ბინძური მეთოდებით! ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება, ასეთი კადრები კანონის სადარაჯოზე იდგნენ! ჩვენ არ გვინდა იმედგაცრუებულები დავრჩეთ! ცოტა ხნით ვაცლით ბატონ კბილაშვილს, რომ კარგად გაერკვეს საქმეში და, თუ ის სწორ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, იძულებულნი გავხდებით, მას საპროტესტო აქციებით დავუპირისპირდეთ!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# ხუთი მანქანა, ერთი ქოლგა და... ჯერ სადა ხარ, ბატონო ბიძინა!

**ქართველი ხალხი ყველაფერს გაგებით ეკიდება. ყველაფერს და ყოველთვის. ვერ მოასწრო ბიძინა ივანიშვილმა იმის თქმა, რომ მოსახლეობა გაგებით უნდა მოეკიდოს განახევრების ნაცვლად ტარიფების მცირედით შემცირებას, რომ ქართველმა ხალხმა ჩვეულად, ანეკდოტით უპასუხა: 90 წლის დედაბერს მანიაკი აუპატიურებს, ის კი ჩუმადაა. მანიაკმა შეუძახა: — რას გაჩუმებულხარ, იკივლე მაინცო! დედაბერმა ამოიოხრა და უპასუხა: — გაგებით ვეკიდები, შვილოო!**



არადა, ტარიფის სერიოზული კლება, დემურ გიორხელიძის განცხადებით, სრულიად რეალური ყოფილა: „ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი სრულად ინფორმირებული არ იყო ან მიზანმიმართულად იყო ინფორმირებული. წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე თემატურ ჯგუფში ამ თემაზე სერიოზული კონსულტაციები ჩატარდა საუკეთესო ენერგეტიკოსებთან. მათ დაასაბუთეს, რომ ელექტროენერგიის ტარიფი 10 თეთრის ფარგლებში, უფრო სწორად, ზამთრის სეზონზე 10,8 თეთრი და ზაფხულში 9,4 და 9, 5 თეთრი სრულიად შესაძლებელია. ტარიფის შემცირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და მე ამაზე არაერთხელ მისაუბრია. ჩვენ არავის ბრალდებებს არ ვუყენებთ. უბრალოდ, ჩვენ არ გვინდა, დავრჩეთ უჭკუო და ბოთე ხალხის როლში, რომელსაც გათავხედებული ჯგუფები, ამდენი წელია, ათამაშებს. სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებაშიც გაჩნდა ხალხი, რომელსაც მუქთა ფულის ხელიდან გაშვება არ უნდა და ამიტომ პრემიერ-მინისტრს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება არ შეიძლება“.

პრემიერ-მინისტრს რომ სწორ ინფორმაციას არ აწვდიან, ეს საქართველოდან შორს მყოფმა **სალომე ზურაბიშვილმაც** დაინახა. **„მიხეილ სააკაშვილს ემსახურებიან ადგილზე დღეს კიდევ მყოფი ელჩები და ახალი თუ ძველი ლობისტები, ახალ ხელისუფლებას კი არავინ იცავს, რატომ არავინ უხსნის ივანიშვილს, რომ ძველი ელჩები ახლავე მოსაშორებელია და უცხოეთში მისი პიროვნება და პოლიტიკა წარმოსაჩენი? ეს უცოდინარობაა თუ დივერსია?“** — წერს ფეისბუქზე საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი. ამჟამინდელი მისი კოლეგა კი თავს იმით იმშვიდებს, რომ „ელჩები დისკომფორტს იგრძნობენ და თვითონ წავლენ“.

მისი წინამორბედის ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, „ქაჯები კი არ მიდიან, — მოდიან“; მაგალითად, „თელასის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებას დევი კანდელაკი შეუდგა. ეს ის დევი კანდელაკია, რომელიც მანამდე „მტკვარი ენერგეტიკის“, „ხრამჰესი 1-ის“ და „ხრამჰესი 2-ის“ გენერალური დირექტორი იყო. მოკლედ, „ნაცები“ მიდიან თუ მოდიან, ქართველმა ამომრჩეველმა ვეღარ გაარკვია, ისევე, როგორც ახალი მთავარი პროკურორის ამბავი. ჟურნალისტმა დარეჯან მეფარიშვილმა სოციალური ქსელით მიმართა არჩილ კბილაშვილს:

**„ჩემო პროკურორო! ბატონო არჩილ! ტკბილეული, სეზონური ხილი და შავი ქოლგა (დიმი წვიმიანი ადგილია, კი...) ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან კი არა, თქვენი პატივცემული ჯიბიდან უნდა იყიდოთ! ჰოდა, ის „საცოდავი“ ზოდელავა, ერთი მანქანით რომ დადიოდა და თქვენ ხუთი (მაინც რა კაი ციფრია ეს ხუთი) მანქანით დაბრძანდებით, რავა, სამი არ გეყოფოდა, ერთი წინ და ერთი უკან, შუაში კიდევ შენააა?... არა, მესმის უსაფრთხოება (ძალიან ცუდი რამეა დაცვის წესები, ჰიჰი... ) მაგრამ... ამფერი? რავა, მოგდევს ვინმეეე? გჩაგრავენ, ნენააა... ცნობისთვის: ახლა კბილებმილეწილი ადეიშვილი, რუხი კარდინალი ქე რო იყო, იმ დროსაც კი ორი მანქანით დაიარებოდა... ჩემო პროკურორო, დარჩა ვინმე კიდევ საქართველოში (არადა, ყველა გაქცეულია ან ციხეშია), ვინც შენს სიცოცხლეს ხელყოფს? წაილე ჩემი, გაჩუქებ... შენ ბევრი საქმე გაქვს გასაკეთებელი... ეჰ, არადა, არავის დაუწყია ბიუჯეტის ფულით ნაყიდი ქოლგით სიარული... მარა რაცხა ხომ უნდა მოხდეს პირველად“...**

ხუთი მანქანით მოსიარულე მთავარ პროკურორს სოციალურ ქსელში ბევრი გამოესარჩლა და ჟურნალისტს მოუწოდა, ვაცადოთო, ანუ „გაგებით მოვეკიდოთო“! გაგებით როგორ არ მოვეკიდებით, მაგრამ არც ახალ მთავრობას აღმოაჩნდა ნაკლები მადა, რაც, პიარის ნაკლებობასთან ერთად, ფეთქებად ნივთიერებას წარმოქმნის. „ნაციონალები“ კი ამასობაში ფიგურების გადაჯგუფებით არიან დაკავებულნი და მისხალი გავლენის დათმობასაც არ ფიქრობენ. აკი უშიშროების საბჭოს ჯერ კიდევ მდივნის პირველმა ნახევარმა, თამარ ჩერგოლეიშვილმა, სალომე ზურაბიშვილს ფეისბუქზევე შეუთვალა: „ვინმემ აუხსნას ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ელჩებს პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებსო“!

**თავის დროზე პრეზიდენტის დანიშნული ხალხი ნელ-ნელა ისევ ბრუნდება აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობებზე და „ოცნება“, რომელმაც „შუა გაკრიფა“, სულ უფრო ემსგავსება „სააკაშვილის ყოფილი მეგობრების კლუბს.“ გაგებით როგორ არ მოვეკიდებით, მაგრამ ძალოვან სტრუქტურებში არჩევნებამდე თავად ივანიშვილთან ბინძური მეთოდებით მებრძოლი ადამიანების დანიშვნის „გაგება“ უკვე მეტისმეტია!**

**თამარ დავითულიანი**

## «ოცნება», რომელმაც «შუა გაკრიფა», სულ უფრო ემსგავსება «სააკაშვილის ყოფილი მეგობრების კლუბს»

## ისრაელი და ჰამასი დაზავდნენ

**ეგვიპტის შუამდგომლობით, ისრაელი და პალესტინური დაჯგუფება ჰამასი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. 8-დღიანი ორმხრივი ცეცხლის შემდეგ, რომლის დროსაც 140-ზე მეტი პალესტინელი და ისრაელის 5 მოქალაქე დაიღუპა, ეგვიპტისა და დასავლეთის ჩარევის შედეგად მხარეებმა საერთო ენა გამონახეს.**

რაც შეეხება თავად დაპირისპირებულ მხარეებს, ჰამასმა ზავის დადება 8-დღიან კონფლიქტში საკუთარ გამარჯვებად გამოაცხადა, ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნათანიაჰუმ კი განაცხადა, რომ, თუ ჰამასის მხრიდან ზავის პირობები დაირღვევა, ისრაელი ახალი ძალით და უფრო მკაცრად უპასუხებს პალესტინურ აგრესიას.

**თავის მხრივ, ჰამასის ლიდერმა ხალედ მეშალმა ისრაელის შეტევას „მოღალატური აგრესია“ უწოდა და ასევე გააფრთხილა ისრაელი, რომ ჰამასი მხოლოდ მაშინ დაემორჩილება ზავის პირობებს, თუკი ისრაელიც იმავეს გააკეთებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მეომრებს „თითი ჩახმახზე აქვთ“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ჩვენმა თაობამ თუ არ დაალაგა, შემდეგ მოდის გლობალიზაციის პირმშო თაობა, რომელიც უკვე ვერაფერს გამოასწორებს, რადგან მოკლებულია იმ ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვრჩა, არ გააჩნია არავითარი პირდაპირი და პირადი ურთიერთობა, კავშირი რუსეთის ინტელიგენციასთან, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს და დატვირთულია საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის ტრადიციით.“**



## თედო ჯაფარიძე:

# ეს არის ისეთი «სტაბილურობა», რომელიც ნატოს აინტერესებს, თუნდაც ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნას პრობლემები რომ არ შეექმნას

**საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ეს-ესაა დაბრუნდა ბრიუსელიდან და პირველ ინტერვიუს „საქართველო და მსოფლიოს“ აძლევს.**

**— გიორგობა დღეს სააკაშვილმა ბაგრატის ტაძრის ეზოდან გვაუწყა, რომ „საქართველო განსაცდელშია“ და რომ იგი არ მიატოვებს ქართველ ხალხს გასაჭირში. იგულისხმებოდა, რომ განსაცდელში ჩამგდები ახალი ხელისუფლებაა და პრეზიდენტი მზადაა, ებრძოლოს ამ ხელისუფლებას.**

**ცოტა ხნის წინათ ქეთრინ მარგარეტ ეშტონმა, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში, დაგვმოძღვრა, რომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს მიშასთან და საპარლამენტო უმცირესობასთან, მაშასადამე, იმ ძალასთან, რომელსაც უმრავლესობის წინააღმდეგ იარაღი აქვს ასხმული (!).**

**ასეთია ბარონესა ოფ აპჰოლანდის ლოგიკა!**

**უფრო ადრე ნატოს გენერალური მდივნის — ანდერს ფოგ რასმუსენის, სააკაშვილიზმები მოვისმინეთ.**

**რა ხდება, ბატონო თედო? ვერ გააცნობიერა ევროპამ, რომ ხალხის ნებით საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და ყოფილების მხარდაჭერა მათი რეინკარნაციული სურვილებისთვის მოძახილის თქმას ნიშნავს?**

— თანაარსებობაზე მსგავსი გზავნილები სხვადასხვა დედაქალაქიდანაც იყო.

მე მგონი, ქალბატონი ეშტონიც და ბატონი რასმუსენიც არაადეკვატურად აღიქვამენ იმას, რაც საქართველოში ხდება, ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი რაღაც ილუზიებში იმყოფება.

სტრასბურგში რომ ვიყავით, მე და ქალბატონი თინა ხიდაშელი ბევრ ევროპარლამენტარს შევხვდით, მათ შორის ჩემს ძველ მეგობრებს — მაღალი რანგის პარლამენტარებს, ველაპარაკეთ, კერძოდ, ივანიშვილისა და სააკაშვილის ბრიუსელში კაზუსურ (დავარქვათ ასე) პარალელურ ვიზიტებზე. მათ მითხრეს, რომ დილით, ლანჩზე იყვნენ ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც გულწრფელად გველაპარაკა საქართველოს პრობლემებზე, ჩვენ სრულად აღვიქვით მისი რეალისტური პოზიცია და გვაქვს სურვილი, დავეხმაროთ ამ ქვეყანას. იმავე საღამოს შევხვდით სააკაშვილს მისი ლობისტების მიერ ორგანიზებულ სადილზე და მოვისმინეთ საუბარი ისეთ ქვეყანაზე, რომელიც არ არსებობს, მაგრამ ამ არარსებული ქვეყნის პრეზიდენტად მას კვლავ თავისი პერსონა მიაჩნია.

**— თქვენ აუხილეთ თვალები?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ზუსტი, ოპერატიული, ამასთან, ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებას ევროპისთვის. ქვეყნის გარეთ ლობისტების მეშვეობით სააკაშვილი კვლავ ცდილობს, შექმნას ისეთი ილუზია...

**— როგორსაც აქამდე ქმნიდა?**

— დიახ, და რომელიც კვლავ მის „ამბიციურობის წისქვილზე“ დაასხამს წყალს.

ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ არც ეშტონი, არც რასმუსენი, არც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, არც, მით უფრო, პრეზიდენტი ობამა ყოველდღიურად დაკავებულნი არ არიან საქართველოს პრობლემებით. მათ უამრავი არხი აქვთ საქართველოდან ინფორმაციის მიღების და მარტო ლობისტების მიწოდებული ცნობებით არ „იკვებებიან“, მაგრამ საქმე ისე არ არის, რომ, მაგალითად, ნატოს გენმდივანმა ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე იკითხოს: — აბა, საქართველოში რამე ხომ არ მოხდა?

**ჩვენდამი ინტერესი პერიფერიულია. დღეს საქართველო, როგორც პრობლემა, არც ევროპის, არც ამერიკის წინაშე არ დგას.**

ნიშანდობლივია, რომ ეშტონმაც და რასმუსენმაც ორიოდ დღის განმავლობაში ორი განსხვავებული განცხადება გააკეთეს ერთსა და იმავე ქვეყანაზე. მაგალითად, რასმუსენი სააკაშვილთან შეხვედრის დროს გაცილებით კატეგორიული იყო. ივანიშვილთან შეხვედრის დროს უკვე დაშვების სტილში ილაპარაკა: **თუ** საქართველოში ადგილი არ ექნება დევნას, **თუ** სასამართლო პროცესი არ იქნება პოლიტიზებული, **თუ, თუ...** ჰიპოთეზის დონეზე ჰქონდა აგებული.

**— ესე იგი, პრემიერმა დაამიწა მისი წარმოდგენები, ღრუბლებიდან მიწაზე ჩამოიყვანა, რადგან ღრუბლებში მიშას ადგილია?**

— *(დიპლომატიურად ეღიმება)* მე კვლავ გავიმეორებ, რომ საქართველოს შესახებ ინფორმაცია ადეკვატურად ჩვენ უნდა მივაწოდოთ გარესამყაროს — პარლამენტარები ვიქნებით თუ მთავრობის წევრები. სტრასბურგში ვიზიტი ამ მხრივ საინტერესო იყო.



ქეთრინ ეშტონი | ანდერს ფოგ რასმუსენი

**— ბიძინა ივანიშვილის ვიზიტს გულისხმობთ?**

— უწინარეს ყოვლისა, მის ვიზიტს, რომელიც ძალიან წარმატებული იყო. ჩვენი ვიზიტი პარლამენტის მიერ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კვალზე გადადგმული ნაბიჯი იყო, სამუშაო ხასიათის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რამდენად ეფექტიანია ინფორმაციის დროულად, ადეკვატურად და ხარისხიანად მიტანის პრაქტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება ინფორმაციული ვაკუუმი, რომელსაც თავისი პოზიციით ავსებს სხვა.

ამ მხრივ ჩვენს საქმიანობასაც კრიტიკულად უნდა შევხედოთ.

ამასთან, ბარონესა ეშტონის გასულ ორშაბათს თბილისში შემდგარმა ვიზიტმა, ამ ვიზიტის მისეულმა შეფასებამ დაადასტურა, რომ არც სამსაათიანი ვიზიტი (გზად ყირგიზეთისკენ), ან ერთი თუგინდ კარგი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან საკმარისი არ არის იმისთვის, რომ გაერკვე, რა პროცესები ვითარდება საქართველოში, აქვს თუ არა რაიმე პერსპექტივა თანაარსებობას და თანამშრომლობას, რასაც ასე დაჟინებით გვიმეორებენ.

იმასაც ვიტყვი, რომ შენიშვნა სასამართლო პროცესების ღიად და ტრანსპარენტულად ჩატარების თაობაზე „ცოტა“ ნაადრევია — ჯერ დანაშაულში ბრალდებულთა საქმეების გამოძიება მიმდინარეობს, ხოლო გამოძიების ღიად და ტრანსპარენტულად წარმოება საერთოდ არც ერთი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში არ დაფიქსირებულა.

**„სტაბილურობა“ საქართველოში ჩვენს უცხოელ კოლეგებს ხელს აძლევთ, მაგრამ რა სახის სტაბილურობა იქნება, ეს მათ არ აწუხებთ: ზედმეტად თავს არ იტკიებენ, რადგან თავიანთი პრობლემებით არიან დაკავებულნი.**

დაამატეთ ამას ჩაბეტონებული სტერეოტიპები, კლიშეები საქართველოზე, რომლებიც სააკაშვილის პროპაგანდისტულმა მანქანამ შექმნა, კარგად დაფინანსებული სააკაშვილის ლობისტების საქმიანობა, რომლებმაც ჩვენზე უკეთ იმუშავეს (ჩვენზე ახლა აღარავინ მუშაობს) და ამ ქოლგის ქვეშ თავადაც მშვიდად და „სტაბილურად“ გრძნობენ თავს.

ეს არის ისეთი „სტაბილურობა“, რომელიც ნატოს აინტერესებს, თუნდაც ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნას პრობლემები რომ არ შეექმნას. პრაგმატულია, ვიტყოდი, ცოტა ცინიკურიც.

**— ცოტა „პატივნაცემიცაა“ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ ბატონი რასმუსენი, პატივდებული.**

— ალბათ, ეს მომენტიცაა, ეს ფაქტორიც მუშაობს.

ამასწინათ „ნიუ იორკ ტაიმსს“ მივეცი ინტერვიუ, რომლიდანაც, როგორც ჟურნალისტებს სჩვევიათ, ამოიღეს და გამოაქვეყნეს ერთი აბზაცი, რომელმაც ჩვენი ამერიკელი კოლეგების უკმაყოფილება გამოიწვია. მე ვამბობდი, რომ ძნელია ამერიკელი პარტნიორებისთვის საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი იმ ადამიანების გაკრიტიკება, რომლებიც დღეს კრიმინალები აღმოჩნდნენ, დღეს საქმე აქვთ კანონთან და მიმდინარეობს მათი დაკითხვა-დაპატიმრება, რადგან ირკვევა, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ქვეყნის სათავეში მყოფ რაღაც კრიმინალურ დაჯგუფებას. ყველა არა, მაგრამ ვისითაც ჩვენი უცხოელი მეგობრები ამაყობდნენ, როგორც დემოკრატიის ავანგარდით, შეიძლება აღმოჩნდნენ ციხეში სისხლის სამართლის დამნაშავის „სტატუსით“.

ამიტომ ის, რაც საქართველოში მოხდა, მათ თავმოყვარეობასაც შეეხო. ეტყობა, თვითონაც გაოცებულები არიან, როგორ გააცურეს ისე, რომ დემოკრატიის შუქურად გამოაცხადეს ასეთი ქვეყანა თავისი პრეზიდენტით.

**პოლიტიკაში, განსაკუთრებით, მაღალ დონეზე, ძნელია ასეთი შეცდომის აღიარება, რაღაც ფსიქო-ლოგიკურ ტურბულენციაში არიან მოხვედრილი, აღქმა-გადახარშვის პროცესში იმყოფებიან.**

**— სააკაშვილის ბოლო გამოსვლების შეფარულ რევანშიზმზე თუ ელაპარაკეთ ბრიუსელში პარლამენტარებს?**

— სერიოზულ მოღვაწეებს, რომელთაც საქართველოსთან დიდი ხნის კავშირი აქვთ და კარგად იცნობენ ჩვენს რეალობას, სააკაშვილის ამგვარი განცხადებები, თუნდაც ბოლოდროინდელი — ბრიუსელიდან, მანამდელიც და შემდგომი, ეს რევანშიც, თანაარსებობა თუ ორხელისუფლებიანობა ფუჭსიტყვაობად მიაჩნიათ, რომელიც თეორიულად, ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს, რადგან რეალობა სულ სხვაგვარია.

21 ოქტომბრიდან ქუთაისში ვარ და ფიზიკურად ვგრძნობ ზიზღს უმცირესობის ზოგიერთი წევრისგან. პირველ რიგში ვსხედვართ მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, მე, სხვები; მეორე მხარეს — ჩვენი ოპონენტები. ზოგიერთის გამოსვლას რომ ვუსმენ, ვუყურებ მათი ლაპარაკის მანერას, სახის გამომეტყველებას, მიმიკას, შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს შეიძლება ფიზიკურად შეეხო იმ ნეგატიურ ფლუიდებს, რომლებიც მათგან მოდის.

რა თანამშრომლობაზე შეიძლება ლაპარაკი ოპოზიციის ასეთ წარმომადგენლებთან?!

როცა ასეთ დეტალებზე ელაპარაკები ევროპელ კოლეგებს, ისინი ხვდებიან, რომ ეს დილემა — ორხელისუფლებიანობა თუ თანაარსებობა — მარტივად გადასაწყვეტი არ არის, რომ მოწოდებები, ბრიუსელიდან, ვაშინგტონიდან იქნება თუ სხვა პოლიტიკური ცენტრებიდან, რეალურ საფუძველს არ ემყარება.

ამ სპეციფიკაზე ველაპარაკეთ, გაგვიგეს, ესმით ჩვენი და მზად არიან, დაგვეხმარონ ამ კვანძის გახსნაში.

**— უმცირესობას რა ასისინებს: თავდაცვის ინსტინქტი თუ ვალდებულება სიუზერენის წინაშე?**

— ერთიც, მეორეც და შეიძლება მესამე მიზეზიც იყოს. ჩემთვის გაუგებარია, როცა ზოგიერთმა დეპუტატმა *(გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ, რათა მეც და თქვენს გაზეთსაც პოლიტიკური დევნა არ დაგვწამონ)* შეიძლება ისე ჩაგიაროს, გამარჯობაც არ თქვას.

**— სალამი ღვთისაარო.**

— ჰოდა, რომელ დემოკრატიულ ურთიერთობაზე შეიძლება ამ დროს ლაპარაკი?! ამას რომ ვეუბნებოდი დასავლელ კოლეგებს, უკვირდათ, ნუთუ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ცივილიზებულ საზოგადოებაშიო.

რომ გითხრათ, პეტრეს ან პავლეს უცხვირპირობით შეწუხებული ვარ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ მისალმების კულტურაც ხომ დემოკრატიის ერთ-ერთი მაჩვენებელია?!

**— ეს იმასაც ხომ ნიშნავს, რა დღეში აღმოჩნდებოდით დღევანდელი უმრავლესობის წევრებიც და მთელი ქართული საზოგადოებრიობაც, ძველ ხელისუფლებას რომ გაემარჯვა არჩევნებში?**

— მეეჭვება, რომ მაშინ ჩვენი საუბარი საერთოდ შემდგარიყო.

**— დავუბრუნდეთ ნატოს პრობლემას.**

**სააკაშვილი და ნატო, ივანიშვილი და ნატო. არის განსხვავება თქვენს საგარეო პოლიტიკაში თუ წინამორბედის გზას მიჰყვებით?** ▶

**მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა და საზღვარგარეთ გადახვეწილი თანამემამულეების რაოდენობა ქვეყნის შიგნით დასაქმებულთა რაოდენობას აღემატება.**

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— პრინციპული განსხვავებაა, თუმცა გარეგნული ნიშნებით შეუმჩნეველი. **სააკაშვილი ნატოსკენ ისწრაფოდა თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. ბიძინა ივანიშვილს ნატო საქართველოსთვის სჭირდება. ნატოში გაწევრიანება საქართველოს უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობაა.** განვასხვავებ გაწევრიანებას და ინტეგრაციას, რომელიც პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდება, როგორც გაცილებით ძნელად მისაღწევი მიზანი.

ეს ერთი მხარეა.

მეორე. დასავლეთს სჭირდება „კონსტრუქციული რუსეთი“. რუსეთსაც სჭირდება დასავლეთთან კონსტრუქციული ურთიერთობა. ორივე მხარისთვის მისაღები კონსესუსი შეიძლება გადაწყდეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოაგვარებს ურთიერთობას უახლოეს სამეზობლოსთან, იმავე სუვერენულ საქართველოსთან, რომელსაც სრული უფლება აქვს, აირჩიოს ნატოსკენ მიმავალი გზა, გახდეს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრი ქვეყანა, **ნატომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტოს ჩვენი მიღების საკითხი და მაშინ გამოჩნდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის, კერძოდ, რუსეთის დაახლოების პერსპექტივაც.**

ამ კუთხით, ყველასთვის სასარგებლო კუთხით, მესახება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი.

**— მაგრამ თუ დადგა საკითხი: საქართველოს მთლიანობა თუ ნატო, რომელს აირჩევდით?**

— ჩემთვის ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე უფრო მაღალი ნატო არ შეიძლება იყოს. ალტერნატივა არ არსებობს! ამის დათმობა ჩემთვის წარმოუდგენელია. დასავლეთი თუ რუსეთი, თუ საქართველოს მთლიანობა — ამ ყველაფრის ერთ სასწორზე შეგდება შეცდომა იქნებოდა.

**— რუსეთი ახსენეთ და მინდა გითხრათ, რომ ზურაბ აბაშიძის დანიშვნამ პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. თქვენი კომენტარი.**

— მეც მივესალმე ამ დანიშვნას. ძნელ საქმეს შეეჭიდება ბატონი ზურაბი, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად იცნობს რუსეთს და რუსეთშიც კარგად იცნობენ მას. რუსეთთან ურთიერთობა რთულია, მით უფრო, როცა ეს თემა შედეგზეა ორიენტირებული.

**— რას გულისხმობთ, ბატონო თედო?**

— რუსეთი რთული პარტნიორია იმიტომ, რომ თვით რუსეთია რთული სახელმწიფო. რუსი პოლიტიკოსებიც და დასავლელი ანალიტიკოსებიც მიიჩნევენ, რომ ეს სახელმწიფო, ფაქტობრივად, დანაწევრებულია უწყებრიობის პრინციპით: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საგარეო უწყება, სპეცსამსახურები, სამხედროები, ბიუროკრატია, რეგიონები... საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სწორედ ამ ლაბირინთში იხლართება. რაგინდ სწორი და გამართლებული წინადადებით მიმართო რუსეთის ხელისუფლებას, მყისიერ რეაქციას არ უნდა ელოდო.

2002 წელს, როცა ვაშინგტონიდან დავბრუნდი, ელჩობას თავი რომ დავანებე და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნად რომ დავინიშნე, ერთი კვირის თავზე სოჭში კავკასიის ქვეყნების უშიშროების საბჭოების მდივნების შეხვედრაში მონაწილეობის მიღება მომიწია. კოლეგები აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და საქართველოდან შევხვდით ვლადიმირ პუტინს. როგორც კი მომეცა საშუალება, რუსეთის პრეზიდენტს ვუთხარი, რომ კონფლიქტების, უწინარესად კი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი უწყებათა შორის არის გახლართული და, თუ თქვენ, პირადად, თქვენი რესურსებით ჩაერევით პრობლემის მოგვარებაში, თქვენ გახდებით კავკასიის გმირი. პუტინმა გადახედა ჩემს კოლეგებს და მათ მიმართა:

— ხედავთ, როგორი გულუბრყვილოები არიან ქართველები: სურთ, რომ ხელი მოვკიდო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და ჯიბეში ჩავუდო.

შემდეგ მომიტრიალდა და მითხრა:

— არ შემიძლია მე ამის გაკეთება! თქვენ გგონიათ, რომ ამის გაკეთება იოლია? რომ რუსეთის პრეზიდენტს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მას სურს?

აი, ამიტომაა რთული რუსეთთან ურთიერთობა. მაგრამ აუცილებელზე აუცილებელია, იცით, რატომ?

**— არ ვიცი, რას გულისხმობთ.**

— ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ჩვენმა თაობამ თუ არ დაალაგა, შემდეგ მოდის გლობალიზაციის პირმშო თაობა, რომელიც უკვე ვერაფერს გამოასწორებს, რადგან მოკლებულია იმ ისტორიულ მეხსიერებას, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვრჩა, არ გააჩნია არავითარი პირდაპირი და პირადი ურთიერთობა, კავშირი რუსეთის ინტელიგენციასთან, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს და დატვირთულია საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის ტრადიციით.

იგივე პრობლემა არსებობს რუსეთის მხრიდანაც.

ამას ვგულისხმობდი.

**— ესე იგი, თაობაა პასუხისმგებელი რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებაზე?**

— პასუხისმგებელიც და ვალდებულიც, რადგან იმ მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელიც დღეს არის, შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

დაბოლოს, თქვენი შეკითხვა — ნატო თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა? ეს დილემა დღეს მხოლოდ თეორიულ ჭრილში შეიძლება დადგეს, პრაქტიკულად პასუხის გაცემა კი დროში გაიწელება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# შრომის კოდექსი მთლიანად შესაცვლელია

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველო მასობრივი გაფიცვის ტალღამ მოიცვა. გაიფიცნენ რკინიგზისა და თელასის თანამშრომლები, მაღაროელები, ექიმები, მძღოლები და ა. შ. მიუხედავად განსხვავებული სფეროებისა, გაფიცულები ხელფასის მომატებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. სპეციალისტების აზრით, აღნიშნულმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქვეყანაში არსებული შრომის კანონმდებლობა ძირეულად შესაცვლელია. აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლება პრიორიტეტად სამუშაო ადგილების შექნას ასახელებდა. ამ მიმართულებით იქმნებოდა სტრატეგიები და ოფიციალური პრეზენტაციები. არსებული სამუშაო ადგილები და დასაქმებულები კი არავის აინტერესებდა. დღესდღეობით კი ქვეყანაში ათასობით დასაქმებული შრომის პირობების გაუმჯობესებას ითხოვს.**




შრომითი ურთიერთობების რეგულირებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ამახვილებენ ყურადღებას. 2011 წელს ბრიუსელში საერთაშორისო პროფკავშირების კონფედერაციის კონფერენციაზე ხაზი გაესვა საქართველოში შრომის უფლებების შეზღუდვასა და პროფესიული კავშირების თანამდებობის პირებზე ზეწოლის ფაქტებს. ICTU-ს აღმასრულებელმა წევრმა ანდრეი ადამჩიკმა განაცხადა, რომ **საქართველოში შრომის კოდექსში შესულმა ცვლილებებმა შეზღუდა შრომის უფლებები. საქართველოში მთავრობა სისტემატურად არღვევს შრომის ყველა უფლებას და საერთაშორისო სტანდარტებს.** ICTU-მ და გაეროს შრომის ორგანიზაციამ ერთხმად განაცხადეს, რომ ზეწოლას განახორციელებდნენ საქართველოს მთავრობაზე, რათა შრომის უფლებების დარღვევის გამოსასწორებლად სერიოზული დამოკიდებულება გასჩენოდათ. **არასამთავრობო ორგანიზაციები თვლიან, რომ საქართველოსთვის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება დელიკატური საკითხია, რადგან რუსეთთან ვაჭრობა პრაქტიკულად არ ხორციელდება, ხოლო ვაჭრობა თუ ევროკავშირთანაც შეწყდება, სიტუაცია გაუარესდება.** გასული წლის იანვარში ვაშინგტონში აშშ-ის პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის ფარგლებში ყოველწლიურ შეხვედრაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და აშშ-მა ყურადღება სამ ძირითად პრობლემაზე გაამახვილეს: დასაქმებული ადამიანის უფლებები დაცული უნდა იყოს; პროფკავშირების მეტი კონკურენტუნარიანობისა და ავტონომიურობისთვის დადგინდეს საწევროს შეგროვების წესი; შრომითი კანონმდებლობის აღსრულებისთვის შეიქმნას ე. წ. შრომითი ინსპექცია — ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც კანონმდებლობის აღსრულებას გააკონტროლებს.

## დაბალი ანაზღაურების გამო საქართველო არაერთმა კვალიფიციურმა ექიმმა და მეცნიერმა დატოვა

**„საქსტატის“ მონაცემებით, 2012 წლის მეორე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშუალო თვიური ხელფასის დონე სამეწარმეო სფეროში 741,8 ლარს, არასამეწარმეო სფეროში კი 695,7 ლარს შეადგენს. 2007 წლის პირველი კვარტლიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წლის მეორე კვარტალში 806,9 ლარს შეადგენდა, ხოლო არასამეწარმეო სფეროში იმავე პერიოდიდან ანალოგიურ პერიოდში 704 ლარი დაფიქსირდა. სამეწარმეო სფეროში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიებია: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა. საშუალო თვიური ხელფასი 882,9 ლარია. ყველაზე დაბალანაზღაურებადია თევზეულის რეწვა, ამ სფეროში დასაქმებულისთვის საშუალო თვიური ხელფასის ოდენობა 300 ლარზე ნაკლებია. არასამეწარმეო სფეროში ყველაზე მაღალანაზღაურებადია ფინანსური საქმიანობა. აქ საშუალო თვიური ხელფასი 1000 ლარს აჭარბებს. ყველაზე დაბალანაზღაურებადი კი განათლება და ჯანდაცვის სფეროა – საშუალო თვიური ხელფასი 308,2 ლარია.**

მიმდინარე წელს დიდი ბრიტანეთის სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა ხელფასების სტატისტიკა გამოაქვეყნა. მძიმე ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ხელფასები მაღალია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კრიზისული საბერძნეთი (29200 ევრო), ესპანეთი (26300 ევრო) და კვიპროსი (24800 ევრო).

**დაბალი ანაზღაურების გამო საქართველო არაერთმა კვალიფიციურმა ექიმმა და მეცნიერმა დატოვა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ექიმები სამუშაოდ გადიან პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, აშშ-ში, ავსტრალიასა და აფრიკაში.** მარტო ევროპასა და აშშ-ში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან 20 ათასზე მეტი ექიმი მუშაობს. ევროსაბჭოში ექიმად მუშაობა მიმზიდველია არა მხოლოდ მაღალი ხელფასის, არამედ ევროპული მოქალაქეობის მიღებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისითაც. ლიბია ევროპა არ არის, მაგრამ კვალიფიციურ ექიმებს იწვევს და კლინიკებში დასაქმებულებს 1000 დოლარამდე, ხოლო სასწავლო ცენტრებში 2000-მდე აქვთ ანაზღაურება.



**სოსო არჩვაძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

— საქართველო მიეკუთვნება იმ იშვიათ სახელმწიფოთა რიგს, რომელსაც ქვეყნის გარეთ დასაქმებული მოქალაქეები გაცილებით მეტი ჰყავს, ვიდრე ქვეყნის შიგნით. **მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა და საზღვარგარეთ გადახვეწილი თანამემამულეების რაოდენობა ქვეყნის შიგნით დასაქმებულთა რაოდენობას აღემატება.** ამიტომ, ასეთ პირობებში, ძალიან ძნელია, ასე ვთქვათ, სოციალური სტანდარტების გამომუშავება და დაცვა, თუმცა ნებისმიერ ვარიანტში მინიმალური ხელფასის ცნება უნდა არსებობდეს. მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია არა მხოლოდ საშუალო თვიური ანაზღაურების ნიშნული, არამედ საშუალო საათობრივი ანაზღაურების მაჩვენებელი. ეს ფართოდ გავრცელებული მცნებაა და მრავალ სფეროში გამოიყენება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დაახლოებით 8 დოლარის ფარგლებშია. სხვა პროფესიებში სხვადასხვა მაჩვენებელია. ჩვენთანაც შეიძლება მუშაობის დაწყება. საარსებო მონიმუმი 150 ლარის ფარგლებშია, თუ უფრო სიღრმისეულად მივუდგებით შეფასებას აღმოვაჩენთ, რომ საარსებო მინიმუმი დაბალია. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი“.

**2010 წელს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა შრომის კოდექს მოქნილი უწოდა: „როდესაც საქართველოში ინვესტორი ჩამოდის და ამ კოდექსს კითხულობს, ქართული მუშახელის დაქირავებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. თუმცა, როდესაც იგივე ინვესტორი სხვა ქვეყანაში ჩადის და იმ ქვეყნის კანონმდებლობას კითხულობს, უარს ამბობს იმ ქვეყნის მუშახელის აყვანაზე, რადგან შემდეგ მათი სამსახურიდან გათავისუფლება გაუჭირდება“.**

ამ განცხადებამ თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სპეციალისტების აზრით, ინვესტორისთვის მისაღები კოდექსი დისკრიმინაციულია დასაქმებულებისთვის, რათა დამსაქმებელს მათი გათავისუფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს შეუძლია.

**ანა ქევხიშვილი**

ჩელიბია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სასულიერო პირს არ ევალებოდა ციხეში მომხდარი ამბების გახმაურება, ეს ევალებოდა იმ საელჩოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც წვრილმანი ფაქტებისა და ერთი ნათქვამი სიტყვის გამო ერთ ამბავს ტეხენ, იმ დროს, როდესაც ქვაბების მოპარვის გამო დაპატიმრებული ადამიანის ციხეში ცემით გარდაცვალება არავის გაუპროტესტებია.“


მეუფე სერაფიმე ქერჩში, ქართველთა სასაფლაოზე

# მეუფე სერაფიმე: ალბათ, ღვთის სასწაული უნდა მოხდეს, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ

**საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, საკმაოდ სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ. როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანის დამოკიდებულება ცოდვასთან და ცოდვილებთან ბრძოლის ჟამს და რატომ აკრიტიკებენ ბოლო პერიოდში ეკლესიის მესვეურებს, ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი, წმინდა სინოდის წევრი, მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა) ესაუბრა.**

**— საზოგადოების დიდი ნაწილი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრებას მიესალმება და ამ ფაქტს სამართლიანობის აღდგენად აფასებს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ დასჯა არ არის გამოსავალი. როგორი უნდა იყოს საზოგადოების დამოკიდებულება დამნაშავეების მიმართ?**

— ვფიქრობ, რომ კანონი უნდა აღსრულდეს, მაგრამ არ უნდა მოხდეს ადამიანების ამა თუ იმ ნიშნით დევნა. არ უნდა ეძებდნენ საბაბს და მიზეზს, რათა ვიღაც პასუხისგებაში მისცენ, დამნაშავეების წინააღმდეგ კონკრეტული და მყარი მტკიცებულებები უნდა იყოს წარმოდგენილი.

ამას გარდა, უნდა გავმიჯნოთ: არსებობს შეცდომა და არსებობს დანაშაული. ვფიქრობ, **როდესაც ხალხი იგრძნობს, რომ ვიღაცას პასუხს სთხოვენ არა შეცდომის, არამედ მყარად არგუმენტირებული დანაშაულის გამო, მაშინ ყველა დამშვიდდება და საზოგადოებაშიც აღარ იქნება ასეთი ორჭოფობა.**

ქრისტიანს არ უნდა უხაროდეს სხვისი დასჯა, უნდა განიცდიდეს, მაგრამ კანონს ყველა უნდა ასრულებდეს. კანონი უნდა აღსრულდეს. როდესაც ქრისტიანი ხედავს, როგორ სჯიან ვინმეს სამართლიანად (უსამართლოზე, ბუნებრივია, პროტესტი უნდა ჰქონდეს), უნდა ილოცოს იმ ადამიანზე, რათა დამნაშავემ გამოისყიდოს თავისი ცოდვა და იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ის ადამიანი ოდესმე მაინც გამოსწორდება. მაგრამ იმის თქმა, რომ ღმერთი ყველას ყველაფერს აპატიებს და, ვისაც რა სურს, იმას ჩაიდენს, რა თქმა უნდა, არასწორია.

**როდესაც საუბარია დანაშაულზე, სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური. მაგალითად, ამას წინათ, მე გავიცანი ქალბატონი, რომლის შვილიც სამი ქვაბის მოპარვის გამო დააპატიმრეს, 3 წელი მიუსაჯეს და ის ციხეში გარდაიცვალა. ეს ხომ არაბუნებრივია?!**

**— ქრისტიანობა მიტევებას ქადაგებს, მაგრამ როგორ მიუტევოს თუნდაც იმავე დედამ, რომელსაც ქვაბების მოპარვის გამო შვილი მოუკლეს?**

— ამიტომ მოსამართლე უნდა იყოს პატიოსანი და კეთილსინდისიერი, რადგან უფალი განსაკუთრებულად მოსთხოვს პასუხს მოსამართლეს. ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლეც, სიკეთეც და სასჯელიც. **ამიტომ, როცა მოსამართლე იქნება ღვთის მოშიში და მოყვარული, როდესაც ეჭვი არავის შეეპარება მის კეთილსინდისიერებაში, მის მიერ გამოტანილ განაჩენს მიიღებს საზოგადოება.**

**— ციხის კადრების გავრცელების შემდეგ სასულიერო პირებიც გააკრიტიკეს, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ და არ ამხელდნენ. როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო სასულიერო პირი იმ ვითარებაში?**

— სასულიერო პირების დადანაშაულება არასწორია. სასულიერო პირებს ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ტელევიზიით გამოსულიყვნენ და ელაპარაკათ ამ ყველაფერზე? დავუშვათ, რომც მოქცეულიყვნენ ასე, სასულიერო პირებს პოლიტიკაში ჩარევაში ისევ იგივე ადამიანები დაადანაშაულებდნენ, რომლებიც დღეს მათ უმოქმედობისთვის კიცხავენ. სიმართლეს იტყვი და საზოგადოების ნაწილი აუცილებლად დაგადანაშაულებს, რომ პოლიტიკაში ერევი, არ იტყვი და მეორე ნაწილი გაგკიცხავს, რატომ არის ჩუმადო.

მეც მსმენოდა ციხეში მომხდარი ფაქტების შესახებ და ვიცოდი, რომ პატიმრებს სცემდნენ.

**— მეუფეო, თავად პატიმრები გიყვებოდნენ ამის შესახებ?**

— პატიმრებიც მიყვებოდნენ, როცა ციხეში შევდიოდი, მაგრამ, უპირველესად, პატიმრების მშობლები მეუბნებოდნენ და სხვათა შორის, ხშირად პატიმრების მშობლები მოდიოდნენ და მთხოვდნენ, დამერეკა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქისთვის ან ვანო მერაბიშვილისთვის და მეთხოვა, რომ მათი შვილები არ ეცემათ.

«პატიმრების მშობლები მოდიოდნენ და მთხოვდნენ, დამერეკა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქისთვის ან ვანო მერაბიშვილისთვის და მეთხოვა, რომ მათი შვილები არ ეცემათ»

ჯერ ერთი, მე ვინ დამიჯერებდა? მეორეც, ამის უფლება არ მქონდა. ჩემი მხრიდან შინაგან საქმეთა მინისტრისთვის შენიშვნის მიცემა არასერიოზული იქნებოდა. თუმცა, სადაც საჭირო იყო, ყველაფერს ვამბობდი და იმიტომაც იყო გარკვეული უკმაყოფილება და მინიშნებები ჩემ მიმართ.

აღსარებაში თქმული საიდუმლო სულ სხვა რამაა, მისი გამხელის უფლება სასულიერო პირს არ აქვს. **ამას გარდა, სასულიერო პირს არ ევალებოდა ციხეში მომხდარი ამბების გახმაურება, ეს ევალებოდა იმ საელჩოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც წვრილმანი ფაქტებისა და ერთი ნათქვამი სიტყვის გამო ერთ ამბავს ტეხენ, იმ დროს, როდესაც ქვაბების მოპარვის გამო დაპატიმრებული ადამიანის ციხეში ცემით გარდაცვალება არავის გაუპროტესტებია.**

**— მოხდა პირიქით, ევროპელმა და ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში მიმდინარე მაღალჩინოსნების დაპატიმრების გამო...**

— ეჭვი გამიჩნდა, რომ ამ ადამიანებს აკმაყოფილებდათ ის მდგომარეობა, რომელიც იყო საქართველოს ციხეებში. დაახლოებით ნახევარი წლის წინ ქალბატონმა ირმა ინაშვილმა მაჩვენა ნაწამები პატიმრების ფოტოები, მითხრა, რომ ამ ფოტოებით დავდიოდი ევროპაში, იქაურ უფლებადამცველებს ვაჩვენებდი, ვუყვებოდი, როგორ ილუპებოდნენ საქართველოს ციხეებში ადამიანები და ყურადღება არავინ მოგვაქციაო. დასკვნა თავად გამოიტანეთ.

ასე რომ, ეს შენიშვნა სასულიერო პირების მიმართ მიუღებელია. სასულიერო პირებს ევალებათ საეკლესიო საქმეებს მიხედონ. სასულიერო პირმა შეიძლება საკუთარი აზრი გამოთქვას მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს და მინისტრებს არ უნდა ურეკოს შენიშვნებით.

**— რამდენიმე ხნის წინ ტელეკომპანია „მაესტრომ“ თქვენი ფარული ჩანაწერი გაავრცელა, რომელშიც თქვენ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების (მათ შორის, გიგი უგულავას) მიერ სინოდის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობთ. რატომ ემორჩილებოდა და არ აპროტესტებდა სინოდი ხელისუფლების ქმედებებს?**

— ეს, ალბათ, უფრო სხვისი სათქმელია. ჩემი გასაიდუმლოებული ჩანაწერის გადაცემა კი ძალიან უხერხული იყო. სხვათა შორის, ამის გამო, ჟურნალისტებმაც ბოდიში მომიხადეს. მთავარია, მსგავსი ფაქტები არც ერთი სასულიერო პირის მიმართ აღარ განმეორდეს. **სასულიერო პირს აქვს მხილების უფლება, მაგრამ არა პოლიტიკაში ჩარევის.**

**— იმიტომ არ საუბრობდით ღიად ამ ყველაფერზე? საზოგადოების ნაწილი ამბობდა, რომ თქვენ უფრო ადრეც და არა მარტო ფარულ ჩანაწერში უნდა გეთქვათ ეს ყველაფერი...**

— როგორ უნდა მეთქვა, როცა, ტაძარში ჩემი მრევლის ნაწილი სააკაშვილის მომხრე იყო, ნაწილი კი ოპოზიციის... რა უნდა მექნა: დამეპირისპირებინა ერთმანეთისთვის? ნებისმიერ ასეთ კრიტიკას მრევლი საკუთარ, პირად შეურაცხყოფად იღებს. მათ გულწრფელად უყვართ სააკაშვილი. **ჩვენთან, ბორჯომში, არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი დავით აღმაშენებელია და ასეთი პრეზიდენტი მსოფლიოს არ ჰყავს, ამიტომ ეკლესია და მოძღვარი ძალიან ფრთხილი უნდა იყოს. ჩვენი მთავარი ამოცანაა ადამიანების სიყვარულით გაერთიანება და არა დაპირისპირება. ამიტომ ასეთი კითხვები, რასაც ჩვენ მიმართ სვამენ, არამართებულია. აშკარად ჩანს, რომ ერის ადამიანები საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას არ იღებენ, როდესაც უჭირთ, მაშინ მიმართავენ ეკლესიას, მაგრამ, როდესაც არ სჭირდებათ ეს მხილება, მაშინ განიკითხავენ ეკლესიას და გაიძახიან, რატომ ერევიან სასულიერო პირები პოლიტიკაშიო. ეს ქართველების დამახასიათებელი თვისებაა.**

**— მეუფეო, თქვენ აფხაზეთიდან ბრძანდებით, ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთის დაბრუნება?**

— ეს ცოტა რთული საკითხია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აფხაზებს ეშინიათ ჩვენი და დარწმუნებულები არიან, რომ ომით ვაპირებთ აფხაზეთის დაბრუნებას. ახლა ყველაზე მთავარია, მათ ირწმუნონ, რომ ეს ასე არ არის. საამისო რესურსები ჯერჯერობით არ ჩანს. ალბათ, მართლა ღვთის სასწაული უნდა მოხდეს, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ.


მეუფე სერაფიმე აფხაზეთში, თავისი სახლის კიბეზე

«როცა მოსამართლე იქნება ღვთის მოშიში და მოყვარული, როდესაც ეჭვი არავის შეეპარება მის კეთილსინდისიერებაში, მის მიერ გამოტანილ განაჩენს მიიღებს საზოგადოება»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**გიგი გოცირიძე თანამშრომლებს „ნაცმოძრაობის“ მოწინააღმდეგე ჯგუფებთან კავშირში ადანაშაულებს და სამსახურიდან ათავისუფლებს. ექიმების თქმით, იგი მათ სისტემატურად აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვილ ნიკოლოზ კუშნერცს მესამე პედიატრიულ კლინიკაში ორი დღით თავისუფლება აღუკვეთეს

**თემქაზე, მიხეილ გურამიშვილის სახელობის მე-3 პედიატრიულ კლინიკაში 3 თვის ნიკოლოზ კუშნერცი 5 ნოემბერს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. წყაროს ინფორმაციით, იმის გამო, რომ ოჯახს თანხის სრულად დაფარვა არ შეეძლო, მკურნალობის დასრულების შემდეგ პაციენტი კლინიკიდან არ გაუშვეს. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით არიან დაკავებულნი, კონფიდენციალური წყაროს მოწოდებული ინფორმაცია 3 თვის ბავშვის შესახებ შოკისმომგვრელად ჟღერდა. კლინიკის რეგისტრატურაში განგვიცხადეს, რომ ნიკოლოზ კუშნერცი 13 ნოემბერს გაწერეს სახლში, დანარჩენი ინფორმაციის მოწოდებაზე კი კონფიდენციალურობის გამო უარი გვითხრეს. „საქართველო და მსოფლიო“ კუშნერცების ოჯახს სახლში ესტუმრა. პატარა ნიკოლოზს ეტლში ეძინა. დედამ, მანანა კუშნერცმა, კი გურამიშვილის სახელობის პედიატრიულ კლინიკაში გადამხდარი ამბავი გვიამბო.**



**«ხელშეკრულება გაგვიფორმეს, რომ 140 ლარი 30 ნოემბრამდე უნდა დაგვეფარა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოგვიშვეს»**

— პირველ პოლიკლინიკაში ვმკურნალობდი ბავშვს. იქ ექიმმა ისეთი წამალი მისცა, რომ ძალიან ცუდად გახდა. შემდეგ როგორც გავიგე, იმ პრეპარატით საერთოდ არ უნდა ემკურნალათ. სასწრაფო გამოვიძახეთ და წაგვიყვანეს მე-3 პედიატრიულ კლინიკაში. სამი დღის შემდეგ რეანიმაციიდან გაგვწერეს, მაგრამ სხვა ოთახში არ გადავუყვანივართ. მინდა გითხრათ, რომ საშინელ პირობებში ვიმყოფებოდით, ოთახში კრაზანები დაფრინავდნენ.

**— სახლში როდის გაგწერეს?**

— ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ გაუმჯობესდა, **ისტორია ოფიციალურად 13 ნოემბერს დახურეს, მაგრამ კლინიკიდან ორი დღე არ გაგვიშვეს.**

**— ვინ არ გაგიშვათ?**

— ბატონმა ავთო გვენეტაძემ მითხრა, სანამ თანხას არ გადავიხდიდით, არ გაგვიშვებდნენ. **მეუღლემ 150 ლარი გადაიხადა. თანხა კიდევ იყო გადასახდელი. დაზღვევა არ გვქონდა, მერე კი გავაკეთეთ, მაგრამ დრო სჭირდებოდა. იძულებული გავხდით, დავრჩენილიყავით.** ორი დღე დედაჩემი უვლიდა ბავშვს, მე სახლში წამოვედი ოჯახისთვის რომ მიმეხედა. რეანიმაციულ განყოფილებაში ბესო ექიმი მკურნალობდა, მისი ძალიან მადლიერი ვარ, ადამიანურად გვედგა გვერდით.

**— კლინიკა როდის დატოვეთ?**

— ისტორიის ოფიციალურად დახურვიდან ორი დღის შემდეგ. ბატონი ავთო თავს გვარიდებდა, მის ოთახში შევედი და ვუთხარი, რომ ამ სიტუაციაში გაჩერება აღარ შემეძლო, 50 ლარი მივუტანეთ. ხელშეკრულება გაგვიფორმეს, რომ 140 ლარი 30 ნოემბრამდე უნდა დაგვეფარა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოგვიშვეს.

**— არ გაგისაჩივრებიათ?**

— სხვათა შორის, ბევრმა მირჩია, მიგვეკითხა, რადგან არსებობდა რაღაც საშუალებები ამდენი რომ არ გადაგვეხადა. მაგრამ არ გამისაჩივრებია, ბავშვი კარგად გამიხდა და არ დავეძებდი. ამას იმიტომ გიყვებით, იქნებ სხვებს დავეხმარო, მსგავს სიტუაციაში რომ არ აღმოჩნდნენ.

**„საქართველო და მსოფლიო“, თავის მხრივ, ამ კლინიკის ისტორიით დაინტერესდა.**

როგორც გაირკვა, მიხეილ გურამიშვილის სახელობის მე-3 პედიატრიული კლინიკა 60-იან წლებში აშენდა. 2007 წლამდე იყო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში. იმავე წელს პროექტ „100 ახალი საავადმყოფოს“ ფარგლებში „ბლოკ ჯორჯიას“ გადაეცა. 2010 წელს ეკონომიკის სამინისტრომ დაიბრუნა. 2011 წლის ივნისში ეკონომიკის სამინისტრომ ელექტრონულ აუქციონზე გაიტანა და შეიძინა შპს „ჯორჯიან მედმა“. აუქციონის პირობა 7 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნება იყო. **შპს „ჯორჯიან მედში“ 70 პროცენტი ელგუჯა (ბუბა) ქებურიას ჰქონდა, ჩახავას ინსტიტუტს — 10 პროცენტი, ხოლო გიგი გოცირიძეს — 20 პროცენტი.**

**ცნობისთვის:**

ელგუჯა ქებურია რუსეთსა და საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია. იგი რესტორან „ამბასადორისა“ და საგამოფენო სახლის მფლობელია. მის სახელს უკავშირდება პარიზში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის აშენება. მას შემდეგ, რაც პარლამენტის შენობის ყიდვა არაბმა ბიზნესმენებმა გადაიფიქრეს, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ შენობის მფლობელი სწორედ ელგუჯა ქებურია უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა წყარო იმასაც ამბობდა, რომ მას შენობაში 25 მილიონი ლარი უკვე გადახდილი ჰქონდა.

ამჟამად „ჯორჯიან მედი“ ლიკვიდირებულია და შერწყმულია ღუდუშაურის ეროვნულ ცენტრთან. გურამიშვილის სახელობის მე-3 პედიატრიული კლინიკის დირექტორ გიგი გოცირიძის მამა — ელგუჯა გოცირიძე ჩახავას სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორია და ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ბიზნესჯგუფშიც ფიგურირებს. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის ექიმები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ **გიგი გოცირიძე თანამშრომლებს „ნაცმოძრაობის“ მოწინააღმდეგე ჯგუფებთან კავშირში ადანაშაულებს და სამსახურიდან ათავისუფლებს. ექიმების თქმით, იგი მათ სისტემატურად აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. გამომუშავებული და მოჭრილი ხელფასები შეუმცირა.**

„ასევე ირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შვებულებაში გასვლისა და ანაზღაურების წესი — პირველი ხელშეკრულებით, თანამშრომელს, რომელიც კლინიკაში 11 თვე იმუშავებდა, ფასიანი შვებულება ეკუთვნოდა. შემდგომ კი ეს წესი შეცვალა და ორორი კვირით უფასო შვებულებებში გვიშვებდა, საიდანაც ნახევარზე მეტი უკან აღარ დააბრუნა. ამდენად, შვებულებაში შიშით ველარ გავდიოდით. მას შემდეგ ხან ერთი თვით დაგვიდებს ხელშეკრულებას და ხან სამი თვით. კატასტროფულად გაზარდა სამედიცინო მომსახურების ფასები, რემონტს კი ჩვენი ხელფასით აკეთებს. ასე ჩვენც ვიყიდდით კლინიკას და გავარემონტებდით,“ — აცხადებენ ექიმები „საქართველო და მსოფლიოსთან“ პირად საუბარში.

ერთ-ერთმა ექიმმა ისიც კი გვითხრა, რომ გიგი გოცირიძე, ეკონომიის მიზნით, პაციენტებისთვის რამდენიმე საათის წინ გახსნილი წამლის გაკეთებას აიძულებს. **„წამალი, რომელიც 8 საათით ადრე იხსნება, არ შეიძლება გაუკეთდეს პაციენტს. გვითხრა, რომ მთავარია შემოვიდეს ფული, პაციენტის ჯანმრთელობა კი საერთოდ არ მაინტერესებსო“.**

**ავთო გვენეტაძე, მიხეილ გურამიშვილის სახელობის ბავშვთა მე-3 პედიატრიული კლინიკის მთავარი ექიმი:**

— თუ ავადმყოფი არის სახელმწიფო პროგრამით 0-დან 6 წლამდე და ჩართულია პროგრამაში, კრიტიკული მდგომარეობის დროს თანხას არ იხდის. თუ რეანიმაციაშია ინტენსიური კოდით, — მაშინ მხოლოდ 20 პროცენტს, თუ, რა თქმა უნდა, ეს პოლისი აქვს. სხვა შემთხვევაში მთლიან საფასურს იხდის.

**— პაციენტ ნიკოლოზ კუშნერცზე მინდა გკითხოთ: იგი 5 ნოემბერს მოათავსეს რეანიმაციულ განყოფილებაში...**

— დიახ, ეს პაციენტი ვიცი, საქმის კურსში ვარ, რადგან მისი თავდები ვიყავი. ამ ბავშვს ჰქონდა ღიად გამოვლენილი სეფსისი, რომლის ბინაზე მკურნალობა შეუძლებელია. ბავშვი იყო ინტენსიურში, კრიტიკულ მდგომარეობაში. საბუთები არ ჰქონდათ წესრიგში, მე, რა თქმა უნდა, დავაწვინე, მამამ კი ფორმალური მხარე მოაგვარა — 80% დაზღვევას უნდა გადაეხადა, 20% კი თავად უნდა დაეფარათ. აქედან თანხის ნაწილი დაფარეს და კიდევ დარჩათ მცირეოდენი გადასახდელი.

**— ბატონო ავთო, ამბობენ, რომ ავადმყოფის ისტორიის ოფიციალურად დახურვის შემდეგ პაციენტი კიდევ ორი დღით დააყოვნეთ კლინიკაში...**

— გეტყვით. ბებია იქნება თუ ბაბუა... ასე არ ვატანთ. ბავშვის მშობლები არ მომეკარნენ. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ... **იმიტომ დავაყოვნეთ, რომ მშობლებს ველოდებოდით, რათა მოსულიყვნენ და ბავშვი წაეყვანათ. თუ ფულის გადაუხდელობის გამო ვაკავებდით, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ დღემდე აქ უნდა ყოფილიყვნენ. მაგათ თუ ჩვენ წინააღმდეგ ენა მოუბრუნდებათ, არ ვიცი!** ბავშვი მძიმე მდგომარეობაში შემოვიდა, ყველაფერი გავუკეთეთ, თავიდან გვითხრეს, რომ ყოველდღიურს გადაიხდიდნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, თანაგადახდისას საერთოდ აღარ გამოჩნდნენ. ორი კვირა მივეცით დრო, ეს დრო რომ ამოეწურებათ, სასამართლოზე რას იტყვიან, ნეტავ? მე უნდა გადავიხადო? ექიმი ვარ, უპირველესად, მარტო დირექტორი კი არა!

**— ბატონო ავთო!**

— ახლა თქვენ ყველაფერს იწერთ, არა? საერთოდ არ უნდა მეთქვა თქვენთვის არაფერი. მაპატიეთ, ქალბატონო ანა, ვხვდები, რაღაცას ისეთს დაწერთ, პატარა ბავშვი კი არა ვარ...

**— ბატონო ავთო, რაც მითხარით, იმას დავწერ და რა პრობლემა უნდა იყოს?**

— რა უნდა დაწეროთ, ის, რომ ბავშვი დაპატიმრებული გვყავდა? ბავშვი ვისთვის უნდა ჩამებარებინა? საკუთარ თავზე ავიღე — თუ არ გადაიხდიან, მაშინ მე უნდა გადავიხადო მათ ნაცვლად. ასე არ უნდა მივუდგეთ საკითხს. ჩვენ, უპირველესად, ავადმყოფს უნდა მივხედოთ, ფიცი გვაქვს დადებული. სამინისტროს ჩვენც დავუკავშირდით, რომ დახმარებოდნენ. მოვახერხეთ, რომ ვიდრე პოლისი მოიძებნებოდა, მანამდე მიეღო შეტყობინება, თორემ მოგვიანებით, პოლისს რომ მიიღებს, შეტყობინება თუ არა აქვს მიღებული, ის პოლისი აღარ მუშაობს. ესეც გავაკეთეთ. **მშობლები უმწეოები არიან, მაგრამ შვილი არ ჰყავთ ბაზაში დარეგისტრირებული, ამიტომ იყო თანაგადახდა და სწორედ ამ დროს მშობლები დაიკარგნენ, ბებიამ გვითხრა, ფულს ვეძებთო. ამიტომ ველოდებოდით მშობელს, თორემ ბავშვი დაპატიმრებული არ გვყოლია. ამ თემით სპეკულირება არ შეიძლება. მომჩივანი განა ყოველთვის მართალია! მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ჟურნალისტებს და იმედი მაქვს, ობიექტურად მიუდგებით საკითხს...**

**— ბატონო ავთო, მაქვს ინფორმაცია, რომ წამალი პაციენტებს მისი გახსნიდან რამდენიმე საათის შემდეგ უკეთდებათ. რამდენად შეეფერება ეს ინფორმაცია სიმართლეს?**

— ანტიბიოტიკზე თუა საუბარი, ყველა ანტიბიოტიკს აქვს ინსტრუქცია, რომელიც არ უნდა დაირღვეს. არის ანტიბიოტიკი, რომელიც გახსნისთანავე უნდა გაკეთდეს, თუ 24-საათიანი ვადა აქვს, მაშინ შეიძლება ეს პრეპარატი სხვა ავადმყოფზეც გამოვიყენოთ. ასე რომ, არასწორი ინფორმაცია მოუწოდებიათ თქვენთვის.

**ანა ქევხიშვილი**

## ევროკავშირში უძილობას უჩივიან

**სამეცნიერო მტკიცებულებების მიუხედავად, უკანასკნელ ხანს ევროკავშირის ლიდერებს ბლოკისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ღამის საათებში უწევთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არა მათი ინდივიდუალური გადაწყვეტილების, არამედ დაძაბული რეჟიმის შედეგია.** ბრიუსელში სულ უფრო ხშირად ისმის უკმაყოფილება და ჩივილი გაჭიანურებული სამუშაო დღის გამო. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ევროზონის კრიზისის მოსაგვარებლად ევროკავშირმა გამართა 25 სამიტი, რომლებზეც გადაწყვეტილებას, როგორც წესი, 8-12 საათიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ იღებდნენ, ან, უარეს შემთხვევაში, კონსენსუსის გამონახვას საერთოდ ვერ ახერხებდნენ. **„როგორ გითხრათ, გუშინ დილის 5-ზე ავდექით და (მოლაპარაკებებს) დღეს დილის 4-ისთვის მოვრჩით“,** — აცხადებს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიკო. **„ეს არის ზოგადი პრინციპი. ასე ვმუშაობთ და შესაბამისად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება წნეხის ქვეშ გვიწევს“,** — დასძინა მან. ძალების ხელახალი დაძაბვა ევროკავშირის ლიდერებს სულ მალე, საერთო ბიუჯეტის განხილვისას მოუწევთ. სამედიცინო და სოციოლოგიის ექსპერტები თვლიან, რომ პასუხისმგებელ პირთა ასეთ დაქანცულობას პირდაპირი შედეგი მოჰყვება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიხეილ სააკაშვილი არის დამნაშავე და მას პირდაპირ ეთერში აქვს დანაშაული აღიარებული. გახსოვთ, აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით რომ თქვა, დაბომბვის ბრძანება პირადად გავეციო? აქ ლაპარაკია მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზე, რომელსაც შეეწირა რამდენიმე ადამიანი. ასე რომ, პასუხისმგებლობაზე როცა ვსაუბრობთ, მარტო ეს ერთი აღიარება ეყოფა მას მინიმუმ 25-წლიანი პატიმრობისთვის.“



# ლაშა ჩხარტიშვილი: გიგი უგულავას მალე ვიხილავთ ბაჩო ახალაიას გვერდით საკანში

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი.**

**— ლაშა, წინა ხელისუფლების დროს წლების მანძილზე აქტიურად იბრძოდით დევნილებისა და გარემოვაჭრეების უფლებების დასაცავად, აპროტესტებდით მერიის მიერ პარკების, ხეივნების უკანონოდ გაჩეხვას და არაერთი საჩივარიც გაქვთ ამის გამო თავის დროზე პროკურატურაში შეტანილი. რეჟიმის პირობებში შედეგს, ბუნებრივია, ვერ აღწევდით, მაგრამ დღეს, როცა საუბარია თავისუფალ სასამართლოზე და გამოძიების ობიექტურად ჩატარების შესაძლებლობაზე, რა ეტაპზეა თქვენი ბრძოლა, როგორ აპირებთ დაუპირისპირდეთ იმ დანაშაულებს, რომლებსაც სჩადიოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“?**

— ჩვენ ვაგრძელებთ, რა თქმა უნდა, ბრძოლას და იმ ადამიანების დაცვას, რომლებსაც ვიცავდით წლების განმავლობაში, იქნებოდნენ ესენი დევნილები, გარემოვაჭრეები თუ პროფესორ-მასწავლებლები. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რა ეტაპზეა ეს ბრძოლა, აქტივობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ახლა მივმართავ, არის საჩივრების შეტანა გენერალურ პროკურატურაში. მინდა, გითხრათ, რომ ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი. ჩვენ მასთან შეხვედრაც გვქონდა კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულ მოქალაქეებთან ერთად და მივაღწიეთ შეთანხმებას კონკრეტულ ვადებთან დაკავშირებით. შეთანხმების თანახმად, **ერთ თვეში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი და დაიწყება იმ სერიოზული კორუფციული გარიგების შესწავლა, რომელიც არის რუსუდან კერვალიშვილისა და რჩეულიშვილის კისერზეა. ამ ადამიანებმა სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მფარველობით მიითვისეს 300 მილიონი ლარი, ჯამში კი 6200 ოჯახი დატოვეს უსახლკაროდ...**

გარდა ამისა, მომზადებული გვაქვს კიდევ რამდენიმე სარჩელი და მინიმალურ დროში ისინი გადაეგზავნება შესაბამის სტრუქტურას. თქვენ იცით, რომ დღესდღეობით გენერალურ პროკურატურაში დევს უამრავი საქმე, საჩივრების რაოდენობა კი სულ უფრო იზრდება. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ხალხმა, როგორც იქნა, დააღწია თავი რეჟიმს და შიშის განცდა აღარ არსებობს, მაგრამ მეორეს მხრივ, გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმასაც, რომ ამ საქმეების განხილვას, მათზე გადაწყვეტილებების გამოტანას სჭირდება გარკვეული დრო. მთავარია, პროცესი დაიწყო, მართლმსაჯულება თავის საქმეს აკეთებს. დაპატიმრება, შეიძლება, გასახარი არავისი არ იყოს, მაგრამ აუცილებელია, დამნაშავემ პასუხი აგოს და, უწინარესად, ესენი უნდა იყვნენ უმაღლესი თანამდებობის პირები...

**— წინა ხელისუფლების სასამართლომ არაერთი უკანონო განაჩენი გამოგიტანათ, პატიმრობაშიც გამყოფათ და ჯარიმებიც არ დაგაკლოთ. აპირებთ თუ არა რაიმე სამართლებრივი პროცესის დაწყებას იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს განაჩენები გამოჰქონდათ?**

— მე წინა პლანზე ვაყენებ საზოგადოების ინტერესებს და, უწინარესად, სწორედ საზოგადოებრივი ზიანის მომტანი ადამიანების წინააღმდეგ მაქვს საჩივრების შეტანა დაწყებული. ესენია: კობა სუბელიანი, კახა ბენდუქიძე, ვანო მერაბიშვილი და სხვები. ასევე ვაპირებ უახლოეს მომავალში გიორგი და ნიკა რურუების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. რაც შეეხება მოსამართლეებსა და პროკურორებს, მინდა შეგახსენოთ, რომ მე მათი გასამართლების პროცესი დავიწყე ჯერ კიდევ მათივე რეჟიმის პირობებში. არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მქონდა სტატიების ციკლი პრესაში, რომელიც ეძღვნებოდა სააკაშვილის ე. წ. მოსამართლეებს, მათ მიერ გამოტანილ უკანონო განაჩენებს სათითაოდ ვაცნობდი მოსახლეობას. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ეს არაა საკმარისი, ვინაიდან საზოგადოება დამნაშავეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ელოდება. მართალია, **სააკაშვილის რეჟიმმა დაახლოებით ორი წლის წინ მიიღო ცვლილება კანონში, რომლის თანახმადაც მოსამართლეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ ვრცელდება, მაგრამ ბევრი მანამდეც უკვე „ღვაწლმოსილი“ ჯალათი იყო. აქედან გამომდინარე, ცხადია, ისინი თავიანთ წილ განაჩენს ვერ ასცდებიან... აქ შურისძიებასა და რევანშზე არ არის საუბარი, ლაპარაკია დანაშაულზე, რომლისთვისაც, ცხადია, ვიღაც უნდა დაისაჯოს...**

**— კონკრეტიკისთვის შეგიძლიათ დაგვისახელოთ რამდენიმე მოსამართლე ან პროკურორი, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ უკანონო განაჩენის გამოტანით?**

— რა თქმა უნდა, იყვნენ თავიანთი ჯალათური თვისებებით გამორჩეული ადამიანები, მაგრამ ვფიქრობ, საერთოდ ვერც ერთი მოსამართლე, ვერც ერთი პროკურორი თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ვერ დარჩებოდა სუფთა და ვერ იმუშავებდა გარკვეული კანონდარღვევების გარეშე, რადგან სისტემა იყო ისეთი. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანს მოეძებნება მომჩივანი, რომლის უფლებებიც მათ შელახეს.

> **«ვიბრძოლებ ბოლომდე, რათა სააკაშვილი ჯერ განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს, შემდეგ კი — ციხეში»**

**კონკრეტული მოსამართლეების დასახელება, ცხადია, შემიძლია, მაგალითად: გიორგი ჩემია, კოპალეიშვილი, გიგიტაშვილი (სახელები არ მახსოვს) და ა. შ. ამ ადამიანებს წლების წინ გამოტანილი აქვთ იმდენი უკანონო განაჩენი, რომ თუნდაც მათი ერთი მესამედის გამო რომ აგონ პასუხი, მინიმუმ, 20-წლიანი თავისუფლების აღკვეთა გარანტირებული აქვთ.**

**— თავის დროზე, როცა წინა ხელისუფლებამ დევნილების გამოსახლება და ძალის გამოყენებით დედაქალაქიდან გაძევება დაიწყო, არაერთი უფლებადამცველი, მათ შორის თქვენც, უკმაყოფილებას გამოთქვამდით იმის გამო, რომ ამ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა აკლდათ. მაშინ ეს, ალბათ, რეჟიმის არსებობით იყო გამოწვეული, მაგრამ დღეს რეალურად წნეხი მოხსნილია, სად არის ახლა ის ხალხი? რატომ ღიად არ საუბრობენ იმ უკანონობაზე, რაც მაშინ მოხდა?**

— სამწუხაროდ, ესაა ის საჭირბოროტო საკითხი, რომელზეც დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ. სოლიდარობის პრობლემა იყო და დღესაც არსებობს. გეთანხმებით, წლების წინ, როცა ჩვენ აქტიურად ვიბრძოდით უკანონობის წინააღმდეგ, იმავე დევნილებსაც, გარემოვაჭრეებსაც და საერთოდ საზოგადოებას აბრკოლებდა რეჟიმის წნეხი. დღეს უკვე ხალხი თავისუფალია ამ ზემოქმედებისგან, ამიტომ იმედია, თანდათანობით გაიზრდება დაზარალებული მოსახლეობის აქტივობისა და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ხარისხი.

**პირობას გაძლევთ, რომ არც ერთი წამით ბრძოლას არ შევწყვეტ, პირიქით, ვაპირებ სათითაოდ წამოვწიო წინ ყველა ის საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც ვერ მოხერხდა სააკაშვილის დიქტატურის პირობებში.** მაგალითად, რამდენიმე დღის წინ კანონპროექტი შევიტანე პარლამენტში, რომელიც ითვალისწინებს გარევაჭრობის მოწესრიგებას, მისთვის ცივილიზებული სახის მიცემას და ამგვარად როგორც გარემოვაჭრეების, ისე მათი პროდუქციის მომხმარებლების ინტერესების დაცვასაც. ასევე **აქტიურად ვდავობთ თავის დროზე ბენდუქიძისთვის აგრარული უნივერსიტეტის გადაცემაზე, რომელიც, მოგეხსენებათ, მას, ფაქტობრივად, აჩუქეს (16 მილიონი გადაახდევინეს 400-მილიონიან ქონებაში) და მოვითხოვთ, ეს უნივერსიტეტი დაუბრუნდეს სახელმწიფოს.**

> **«ერთ თვეში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი და დაიწყება იმ სერიოზული კორუფციული გარიგების შესწავლა, რომელიც რუსუდან კერვალიშვილისა და რჩეულიშვილის კისერზეა»**

**— გასაგებია, რომ, ერთის მხრივ, ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ბენდუქიძეს სოლიდური თანხა აქვს დახარჯული ამ სასწავლებლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში. თქვენი აზრით, ასე იოლად დათმობს?**

— არაფრის მოდერნიზება და რეალურად გაუმჯობესება სასწავლებლის ბაზაზე არ მომხდარა, ეს ადამიანი დღეს იქ დარბის ტრაქტორებით და ანგრევს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შენობებს, ანადგურებს ლაბორატორიებს. ასევე ანადგურებს მწვანე საფარს, მაგალითად, ამასწინათ მოჭრეს თუთის რამდენიმე მრავალწლიანი ხე. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არანაირი კონტროლი ამაზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან არ ხორციელდებოდა, ამიტომ, რაც გაკეთდა, იყო უკანონო.

**— თავის დროზე, მახსოვს, გიგი უგულავაც ამხილეთ და დაადანაშაულეთ ბენდუქიძესთან გარიგებაში...**

— **უგულავას წინააღმდეგ 6 საჩივარი მაქვს შეტანილი სხვადასხვა მიმართულებით. პირველი იყო დედაქალაქის ეკოციდის თაობაზე, რაც უკავშირდებოდა ბაღ-პარკების გასხვისებასა და იქ უკანონო მშენებლობებზე ნებართვის გაცემას. ასევე საჩივარი შევიტანე სატრანსპორტო სისტემის ძარცვის, განადგურებისა და მძღოლების მონურ მდგომარეობაში ჩაყენების გამო... საერთოდ, უგულავა გამორჩეული დამნაშავე იყო „ნაცმოძრაობის“ რიგებში და ბუნებრივია, მის მიმართ მოსახლეობას ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა... იმედია, მალე ვიხილავთ მას ბაჩო ახალაიას გვერდით საკანში...**

**— არსებობს ამისთვის საკმარისი სამხილები, მტკიცებულებები?**

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, რომ უვადო პატიმრობასაც შეიძლება თავისუფლად გამოჰკრას ხელი, თუ მისი გასამართლება მოხდება სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, რომელიც ამათი შემოღებულია.

**— დასავლეთის პოზიცია, მიმდინარე დაპატიმრებებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ „ქართული ოცნება“ საერთაშორისო საზოგადოების უპირობო მხარდაჭერით სარგებლობს, ამ დროს ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაში პოლიტიკური დევნის საფრთხეს ხედავენ. თქვენი აზრით, როგორ აიხსნება ეს ყველაფერი?**

— ვფიქრობ, ნაწილობრივ ნაციონალური მედია ამძაფრებს ამ შეფასებებს და საზოგადოებას ტვინს ურევს; ასევე არაა გამორიცხული, ეს ყველაფერი იყოს ძველი რეჟიმის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის გამოძახილი, ანუ რადგან მათ იცოდნენ, რომ წინა ხელისუფლება წლების მანძილზე უკანონოდ იჭერდა ადამიანებს, შეიძლება ზოგიერთი ფიქრობდეს, რომ ახლაც იგივე ხდება. სხვა საფუძველი მსგავსი ეჭვებისთვის არ არსებობს, ვინაიდან ჯერჯერობით ყველა დაკავება განხორციელდა სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, — კონკრეტული მტკიცებულებებით, სამხილებით, ყოველგვარი ტელეკამერებისა და უარყოფითი პირის გარეშე. ეს არის სამართალაღსრულების ის ფორმა, რომელიც მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში, ამიტომ მსგავსი პროცესი მისასალმებელია.

**— დასაწყისში აღნიშეთ, რომ პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, რეჟიმის სათავეებს უნდა შეეხოს. გასაგებია, ბაჩო ახალაია, როგორც ერთ-ერთი სათავე, ციხეშია, მაგრამ, თუკი სრულ და ძირფესვიან გასამართლებაზეა საუბარი, მართლმსაჯულებას, ალბათ, ქვეყნის პირველ პირზეც უნდა მიუწვდეს ხელი. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ დღეს სააკაშვილის წინააღმდეგ რაიმე სამართლებრივი პროცესის დაწყება?**

— მიხეილ სააკაშვილი არის დამნაშავე და მას პირდაპირ ეთერში აქვს დანაშაული აღიარებული. გახსოვთ, აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით რომ თქვა, დაბომბვის ბრძანება პირადად გავეციო? აქ ლაპარაკია მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზე, რომელსაც შეეწირა რამდენიმე ადამიანი. ასე რომ, პასუხისმგებლობაზე როცა ვსაუბრობთ, მარტო ეს ერთი აღიარება ეყოფა მას მინიმუმ 25-წლიანი პატიმრობისთვის. მე პირადად ვაპირებ, ვიბრძოლო იმისთვის, რომ ეს ადამიანი, ადრე თუ გვიან, აღმოჩნდეს პატიმრობაში. ამის ყველანაირი საფუძველი არსებობს და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის აუცილებლად მოხვდება ჯერ განსასჯელის სკამზე, შემდეგ კი — ციხეში...

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

**„ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილის პროპაგანდა ჯერ კიდევ მუშაობს. ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, მას აქვს გარკვეული რესურსები დასავლეთში, განსაკუთრებით იმ ლობისტური ჯგუფების სახით, რომლებსაც წლების მანძილზე მილიონებს უხდიდნენ. ეს პროპაგანდა, როგორც ჩანს, თავის საქმეს აკეთებს და საბოლოო ჯამში დასავლეთამდე ინფორმაცია მიდის დამახინჯებულად.“**

სამართალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*უჩა ნანუაშვილი:*

# მოქალაქე მიხეილ სააკაშვილმა დანაშაული აღიარა

**მთავრობის დამტკიცებიდან თვეზე მეტი გავიდა. მოლოდინი, რომ „მეოცნებეთა“ წყალობით ცვლილებები მყისიერად დაიწყებოდა, დღეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ხელისუფლებას რიგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უჭირს. წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების ნაწილი კი, თავად პრემიერის შეფასებით, გადაჭარბებული აღმოჩნდა (მაგალითად, ტარიფებთან დაკავშირებით). სახალხო დამცველის არჩევა ერთ-ერთია იმ პროცესებს შორის, რომლებიც ახალ მთავრობას დროში მეტისმეტად გაეწელა. კონკრეტულად რითაა ეს ყველაფერი განპირობებული და ზოგადად, რა შეიცვალა ქვეყანაში არჩევნებიდან ორი თვის თავზე ადამიანის უფლებების კუთხით, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი.**



**— ბატონო უჩა, თითქმის ერთი თვეა, რაც ახალი ხელისუფლება ომბუდსმენის არჩევას ამაოდ ცდილობს. უშედეგოდ დასრულდა ყველა მსჯელობა და დისკუსია. არ გეჩვენებათ, რომ ეს პროცესი დროში მეტისმეტად გაიწელა?**

— რა თქმა უნდა, პროცესი გაიწელა და ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზიც აქვს. ჯერ ერთი, საქმე გააჭიანურა იმან, რომ წინა სახალხო დამცველმა დააგვიანა განცხადების დაწერა, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, და მეორეც, ვაღიაროთ, ახალ მთავრობას დახვდა უმძიმესი მემკვიდრეობა, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია მთელი რიგი შეფერხებებისა. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც ისაა, რომ თვითონ ხელისუფლება ვერ შეთანხმდა ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღებ კანდიდატზე, ანუ რეალურად მმართველი გუნდისა და საზოგადოების შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა, რის გამოც დისკუსიებმა ვერ მოიტანა შედეგი. ვფიქრობ, კომპრომისზე, ამ შემთხვევაში, უფრო მთავრობა უნდა წავიდეს, ვიდრე საზოგადოება, თუმცა ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: **ის, რომ პროცესი წავიდა არასწორი მიმართულებით, დიდწილად სწორედ საზოგადოების ბრალია. სამწუხაროდ, ახლა სიტუაცია ჩიხშია, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ არჩევნებს დაემსგავსა სახალხო დამცველის არჩევნები.**

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— როდესაც პოლიტიკოსები იყენებენ ყველა მეთოდს თავიანთი კანდიდატის გასაყვანად, ეს უკვე ომბუდსმენის არჩევნები არ არის. გარდა ამისა, იყო ერთმანეთის მიმართ ბრალდებები, ცილისწამებები და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები. მოკლედ, ეს ყველაფერი უკვე გასცდა იმ ცივილიზებულ ფორმას, როგორც უნდა ხდებოდეს სახალხო დამცველის არჩევა.

**— დამტკიცდა თუ არა მთავრობა, დაპატიმრებების სერია დაიწყო და დღემდე გრძელდება. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ უყურებთ ამ პროცესს? რამდენად ობიექტურად ხდება ეს ყველაფერი?**

— ჩვენ ამ მასალებს ვიკვლევთ, ვსწავლობთ და ასევე ვაპირებთ სასამართლო პროცესებზე დასწრებას, რათა მონიტორინგი განხორციელდეს. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით გვაქვს კითხვები, მაგალითად, გუნავას დაკავებაზე; გვაინტერესებს, რა მიზეზით მოხდა მისი აყვანა და შემდეგ გათავისუფლება. ასევე კითხვები ჩნდება გიორგი კალანდაძის საქმეზეც. იგი რამდენიმეჯერ დააკავეს და გაათავისუფლეს, რაღაც პინგ-პონგის თამაშივით იყო ეს ყველაფერი...

რაც შეეხება ობიექტურობას ამ პროცესისა, ყველაფრის მიუხედავად, იმის არანაირი რეალური საფუძველი, რომ **მიმდინარე დაპატიმრებები რაიმე პოლიტიკურ ინტერესებს მივაწეროთ, არ არსებობს. იყო დანაშაული, ხდება დასჯა, ეს წმინდა სამართლებრივი პროცესია. სხვა დანარჩენი, დაკავებულების მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ან რამე სხვა სახის ზემოქმედების ფაქტი არ ყოფილა, რომ ყოფილიყო, თვითონვე ახორციელებენ მონიტორინგს და დარწმუნებული ვარ, ეს ცნობილი გახდებოდა.**

**— თუკი მიმდინარე დაპატიმრებები, წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ხდება და პოლიტიკურ კონტექსტს არ შეიცავს, რატომ აღნიშნავენ ხაზგასმით დასავლელი დიპლომატები, პოლიტიკოსები და უფლებადამცველები, რომ პროცესი უფრო მეტ სიფრთხილეს საჭიროებს? მაგალითად, ამასწინათ ქეთრინ ეშტონმა განაცხადა, ყველაფერი, რაც კეთდება მართლმსაჯულების კუთხით, საჭიროა, გაკეთდეს ღიად და გამჭვირვალედ.**

— იგივე ადამიანები, რომლებთანაც აქ მიმდინარე პროცესებზე წინა ხელისუფლების დროს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვსაუბრობდით, ძალიან იშვიათად თუ აკეთებდნენ ისეთ ხმამაღალ განცხადებებს, როგორიც ახლა გვესმის. არადა, არსებობდა კონკრეტული ფაქტები, თუ რა ხდებოდა თუნდაც ციხეებში, როგორ ირღვეოდა და ილახებოდა მსჯავრდებულთა უფლებები... მაშინ ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ გარკვეული დიპლომატიური დემარშებით, რაც, ბუნებრივია, არ იყო საკმარისი რეჟიმის შესაჩერებლად.

**ახლა რა ხდება? ვფიქრობ, დღეს, ერთის მხრივ, მათ უნდათ, თავი დაიზღვიონ, რომ ის პროცესი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო, არ გადაიზარდოს რეალურად პოლიტიკურ დევნაში; მეორე მხრივ კი, მსგავსი განცხადებებით, პრემიერ-მინისტრს მიანიშნებენ პრიორიტეტებზე; იმავე ქეთრინ ეშტონის განცხადება რომ ავიღოთ, მან პირდაპირ თქვა, ბიძინა ივანიშვილმა საგარეო პოლიტიკის გამოწვევებზეც უნდა იფიქროსო.** ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილის პროპაგანდა ჯერ კიდევ მუშაობს. ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, მას აქვს გარკვეული რესურსები დასავლეთში, განსაკუთრებით იმ ლობისტური ჯგუფების სახით, რომლებსაც წლების მანძილზე მილიონებს უხდიდნენ. ეს პროპაგანდა, როგორც ჩანს, თავის საქმეს აკეთებს და საბოლოო ჯამში დასავლეთამდე ინფორმაცია მიდის დამახინჯებულად. სხვა, **აბა, პოლიციელს რომ პოლიტპატიმრად აცხადებ, რეალურად რა გამოდის, პოლიციელები პოლიტიკოსები არიან? თუ ასე მივუდგებით, მაშინ სამართალდამცავები ყოფილან პოლიტიზირებული. ეს, ფაქტობრივად, ამის აღიარებაა წინა ხელისუფლების მხრიდან.**

**— თუ ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, იმავე ქეთრინ ეშტონისა და ფილიპ გორდონის განცხადებები მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდით იყო განპირობებული, მაშინ გამოდის, რომ ისინი ზედაპირულად უდგებიან აქ მიმდინარე პროცესებს.**

— ასეცაა და ჩვენ ამიტომაც ვამბობთ მუდმივად, რომ საჭიროა მათი დეტალურად ინფორმირება. ერთია, როცა რაღაც განცხადებებს აკეთებს პოლიტიკოსი, დიპლომატი, მაგრამ სხვა საკითხია, რა პოზიცია უკავია უფლებადამცველ ორგანიზაციებს. ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია. **დამისახელეთ თუნდაც ერთი ქართული ან, გნებავთ, უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოში პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი. მე ასეთი არ ვიცი.** შესაბამისად, რა გამოდის? რეალურად არსებობს რაღაც პროპაგანდისტული ველი, რომელიც ემსახურება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს და ამ პროპაგანდის მეშვეობით ხდება სინამდვილის დამახინჯება. ჩემი აზრით, **ერთადერთი, რაც შეიძლება ახალმა ხელისუფლებამ ასეთ გამალებულ პროპაგანდას დაუპირისპიროს, არის მეტი ინფორმაცია და მეტი გამჭვირვალობა პროცესის მიმდინარეობაში, რათა დასავლეთმაც და ჩვენმა საზოგადოებამაც უკეთ დაინახოს, რა ხდება აქ რეალურად — არის პოლიტიკური დევნა თუ არა.**

**— მოდი, კონკრეტულ საქმეებზე ვისაუბროთ, თქვენი აზრით, ბაჩანა ახალაია სამართლიანადაა დაკავებული?**

— ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, რა თქმა უნდა, სამართლიანადაა, მაგრამ რეალურად, სასამართლო გასცემს ამ კითხვაზე პასუხს. მე ერთი ვიცი, იყო უამრავი ინფორმაცია, განცხადებები და მათ შორის ჩვენთანაც შემოვიდა უამრავი მასალა პატიმრებისგან, რომლებიც ბრალს სდებენ ახალაიას რიგ დანაშაულებებში. ბუნებრივია, ეს ასე მარტივად არ ჩაივლის, პროცესი იქნება ხანგრძლივი. დანარჩენი, ვნახოთ, რას გადაწყვეტს სასამართლო. ვფიქრობ, წინ ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენები გველოდება...

**— დარწმუნებული ხართ, რომ სასამართლო ბოლომდე ობიექტური იქნება?**

— ეს კითხვა ბუნებრივად ჩნდება, იმიტომ, რომ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. მოსამართლეებად, პროკურორებად ისევ ის ხალხია, რომლებიც წლების მანძილზე რეჟიმის სამსახურში იყვნენ. თუ ისინი ხელისუფლების მხრიდან დაინახავენ ნებას, რომ პროცესი იყოს ობიექტური, მაშინ თვითონაც ადეკვატურად მოიქცევიან, ხოლო ვინც არ იქნება მიუკერძოებელი და არ დაიცავს იმ პრინციპებს, რაც არის წმინდა სამართლებრივი, მის მიმართ უკვე სხვა მექანიზმების ამოქმედება იქნება შესაძლებელი. თუ რომელიმე მოსამართლეს ან პროკურორს დაუდასტურდება, ვინმეს ინტერესებიდან გამომდინარე, არაობიექტური განაჩენის გამოტანის ფაქტი, ცხადია, სასამართლო ამას განიხილავს და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ის აღმოჩნდება ციხეში ან პასუხს აგებს სხვა ფორმით.

**— ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლა წინა ხელისუფლებისთვის მეხის გავარდნასავით იყო. მომჩივანთა რიცხვს კიდევ ერთი ოქროს მოწმე შეემატა. თქვენი აზრით, რას შეცვლის ეს რეალურად?**

— უწინარესად, ველი იმას, რომ პროცესი ძალიან დიდხანს გაგრძელდება და პროკურატურას უამრავი სამუშაო ექნება, მაგრამ, ალბათ, თვითონ ოქრუაშვილსაც მოუწევს საკმაო ხანს ციხეში ჯდომა, ასე მარტივად ვერ გამოვა. ჩვენ ვიცით, რომ მის წინააღმდეგაც იყო რამდენიმე საქმე აღძრული და ის მაინცდამაინც დიდი სიმპატიით არ სარგებლობდა საზოგადოებაში. მართლმსაჯულება ამას გვერდს ვერ აუვლის. **ასე რომ, ერთია, ოქროს მოწმე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ჩვენებების სანაცვლოდ მოხდეს იმ დანაშაულთა იგნორირება, რომლებიც შეიძლება ამ ადამიანს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი ჰქონდეს.** რა თქმა უნდა, მას აქვს თავისი მიზნები და ამოცანები, შემთხვევითი არც ისაა, რომ ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების შესახებ სპეციალურ დადგენილებაზე მსჯელობა გადაწყვიტა, მაგრამ ის არ დაელოდა ამ პროცესის დასრულებას. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, მან იჩქარა. ეტყობა, ჩათვალა, რომ საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდა, რათა სასამართლოს სხვა სიბრტყეში განიხილა მისი საქმე; ვნახოთ, რა ჩვენებას მისცემს. ერთი რამის თქმა ამთავითვე შეიძლება, **თუ მას არ აქვს რაიმე კონკრეტული სამხილები და მტკიცებულებები, მის მონაყოლს დიდი მნიშვნელობა არ ექნება.**

ასეთ შემთხვევაში ის დარჩება ერთ ჩვეულებრივ მოწმედ, რომლის მსგავსიც დღეს უამრავი ჰყავს პროკურატურას.

**— 2009 წლის 2 სექტემბერს, სასტუმრო „რადისონის“ გახსნაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, აფრასიძეების ოჯახის დაბომბვის ბრძანება პირადად გავეციო. ეს რამდენად შეიძლება მის წინააღმდეგ მტკიცებულებად ჩაითვალოს?**

— ეს უკვე მტკიცებულებაა, იმიტომ, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილმა დანაშაული აღიარა, ანუ საქმე დევს და ახლა მთავარია, პროკურატურამ დაიწყოს მისი დეტალურად შესწავლა, თუნდაც ახლადაღმოჩენილი გარემოებების განხილვა. ვფიქრობ, ამის დროში გაწელვა არ შეიძლება და ასეთ მნიშვნელოვან საქმეებზე ახლავე უნდა მოხდეს რეაგირება.

ცხადია, „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ეცდება, ეს ყველაფერი პოლიტიკურ დევნად გამოაცხადოს, ამისთვის თავის რესურსს ბოლომდე გამოიყენებს, მაგრამ ამის გამო ხელისუფლებამ პროცესი არ უნდა შეაფერხოს. არც საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებია, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი და არც იმავე დიპლომატიური კორპუსის პოზიცია, მთავარია საზოგადოების ნება და მმართველი გუნდი ვალდებულია, სწორედ ამ პრინციპით იმოქმედოს. **დღეს, ჩემი აზრით, ხალხი პირველ რიგში ელოდება დამნაშავეების ხილვას საბრალდებო სკამზე, ამიტომ რა კითხვის ნიშნებიც უნდა გააჩინოს მიმდინარე დაპატიმრებებმა მთავრობის საზიანოდ, კომპრომისი მართლმსაჯულების მხრიდან გამართლებული არ იქნება.**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

> **«რა კითხვის ნიშნებიც უნდა გააჩინოს მიმდინარე დაპატიმრებებმა მთავრობის საზიანოდ, კომპრომისი მართლმსაჯულების მხრიდან გამართლებული არ იქნება»**

ტრიბუნალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლამის დამლაგებლები დაადანაშაულეს ციხის კადრების შემდეგ, ხმას რატომ არ იღებდნენო, „ნაცმოძრაობის“ გატრუნული მინისტრ-დეპუტატები კი, აქაოდა, ჩვენ არაფერში ვართ გასვრილიო, უდანაშაულონი არიან? პასუხი მათაც უნდა აგონ დანაშაულის დაფარვისთვის!**

# შეკითხვა მთავარ პროკურორს: რატომ არ არის გამოცხადებული ინტერპოლის ხაზით შაშკინის ძებნა?



## სამხედრომაც და სამოქალაქო პირმაც კარგად ვიცით, რომ არათუ თავდაცვის მინისტრი, არამედ რიგითი ჯარისკაცის თუ მიატოვებს მისთვის მინდობილ პოსტს, პროკურატურა ვალდებულია, დაუყოვნებლივ აღძრას საქმე დეზერტირობის მუხლით

**უამრავი საჩივარი შედის პროკურატურაში, ცხადია, ზღვა სამუშაო აქვთ გამომძიებლებს, ბატონი არჩილ კბილაშვილი და მოკლე დროში დიდი პატივისცემის მომხვეჭი პატარა ქალბატონი, თეა წულუკიანი მაქსიმალურად ცდილობენ, ისე წარმართონ პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში, რომ ჩასაფრებული „ნაცებიდან“ არავის მიეცეს შემოდავების საბაბი. მიუხედავად ამისა, მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც უკმაყოფილოა პროკურატურის მუშაობის ნელი ტემპით, ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურების დაკავებითა და შედარებით მსუბუქი ბრალდებების წაყენებით, გაოცებულია მთავარი დამნაშავეების (ხალხის თვალში!) გარეთ, თავისუფლებაზე ყოფნით (ხელისუფლების ხელში აღებიდან ერთი თვის თავზე!) და განსაკუთრებით აღშფოთებულია ბევრი მათგანის ამორალურ-ცინიკური განცხადებებით, რაც კიდევ უფრო მწვავედ აყენებს დღის წესრიგში მათთვის დროულად თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნას.**



ცხრა წლის მანძილზე უფლებებგათელილი მოსახლეობის სურვილი მართლმსაჯულების სწრაფი აღსრულებისა, ერისა და სახელმწიფოს წინაშე სისხლის სამართლის დამნაშავეების ხმის ჩაგდებისა და მათი გისოსებს მიღმა ხილვისა, სავსებით გასაგებია, თუმცა ჩვენი მომთმენი ერი ამავე დროს იმასაც აცნობიერებს, რომ ძველი ხელისუფლების გამოძიების მეთოდები არ უნდა იქნეს გამოყენებული, რომ წაყენებული ბრალდებები უტყუარ სამხილებს უნდა ეფუძნებოდეს.

ამასთან, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არც გამოძიება სჭირდება, არც მოწმე და არც სამხილი და არც – პროკურატურაში სარჩელის შეტანა, საქმის დაუყოვნებლივ აღძრა თავად პროკურატურის პრეროგატივაა.

**ის, რაც საქართველოში მოხდა 1 ოქტომბრის არჩევნების(!) შემდეგ, მსგავსი დეზერტირობის პრეცენდენტი — სახელმწიფოდან თითქმის ერთდროული გაქცევა თავდაცვის მინისტრისა და მისი მოადგილის, იუსტიციის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და მთავარი პროკურორის (წვრილფეხობას ვინღა თვლის) მსოფლიომ არ იცის! მართალია, ეს „ნაცების“ ხელისუფლების სირცხვილია დიდწილად, მაგრამ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების ოპერატიულად არაღძვრა უკვე ახალი ხელისუფლების სირცხვილია (ოპერატიულობას ვინ ჩივის, საერთოდ არაა აღძრული!).**

კონკრეტულად მე მხოლოდ ერთ შემთხვევაზე შევჩერდები.

ყველამ — სამხედრომაც და სამოქალაქო პირმაც, კარგად ვიცით, რომ, თუ ჯარისკაცი მისთვის მინდობილ პოსტს თვითნებურად მიატოვებს, იგი მკაცრად დაისჯება, ომის დროს კი დაიხვრიტება, ხშირად ადგილზეც, ყოველგვარი სამხედრო ტრიბუნალის გარეშე. თუკი თავდაცვის მინისტრი ან მისი მოადგილე, ან ორივენი ერთად მიატოვებენ(!) მათთვის მინდობილ უაღრესად საპასუხისმგებლო №1 პოსტს, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოება ჰქვია და რომლის შედარებაც(!) კი არ შეიძლება ჯარისკაცის პოსტთან, ასეთ შემთხვევაში, პროკურატურა ვალდებულია(!), დაუყოვნებლივ აღძრას საქმე დეზერტირობის მუხლით.

**რატომ არ არის გამოცხადებული ინტერპოლის ხაზით შაშკინისა და ახალაიას (დათა) ძებნა?!** (ახლახან ახალაიასთვის წაყენებული ბრალდება აბსოლუტურად სხვა კატეგორიისაა!). ძებნაც რა საჭიროა, როცა შაშკინის ზუსტი ადგილსამყოფელი ცნობილია, ჟურნალისტმა ხომ ინტერვიუც აიღო, ამერიკის შტატი და მისამართიც გვამცნო და საცხოვრებელი შენობის ფოტოც მოგვაწოდა! იმიტომ, რომ ამერიკამ შეიფარა? **იქნებ, მხოლოდ მათი ნებაყოფლობით ჩამოსვლის შემთხვევაში (ბაჩო ახალაიას ანალოგიურად) მიიღებს ზომებს პროკურატურა? ისე, ჯერ კიდევ საკითხავია, იყო კი გასული საქართველოდან ბაჩო, თუ სამეგრელოში იმალებოდა თავის ძმასთან ერთად? რატომ არაფერს გვეუბნებიან, თუ სად იყო იგი და საიდან შემოვიდა (თუ შემოვიდა, საერთოდ!) საქართველოში? დავიჯეროთ, გასვლა-შემოსვლის შტამპი არსად არ ჩაურტყეს პასპორტში — არც სარფში და არც სხვაგან? იქნებ დათაც სამეგრელოშია და არც ინტერპოლია საჭირო?** ინფორმაციას ძმების ადგილსამყოფელის თაობაზე ხომ კარგა ხნის წინ გვაწვდიდა კახა მიქაია ზუგდიდიდან?! ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ დათას გარჩევა ბაჩოსგან ჩვენ გვიჭირს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოეთში ბაჩოს საძებნელად ამხედრებულ ჩეჩენქისტ-ქართველს როგორ გაუძნელდებათ მისი ამოცნობა. ადვილი შესაძლებელია, ბაჩოს ნაცვლად დათა გამოასალმონ სიცოცხლეს და, როგორ გგონიათ, ძმები ახალაიები ამ საშიშროებას ვერ აცნობიერებენ?! ნუ ჩავთვლით მათ მთლად უტვინოებად!

სულ ფრთებიანი ანგელოზები რომ იყვნენ შაშკინი და ახალაია (დათა) და არავითარი დანაშაული არ ჰქონდეთ ჩადენილი (რომ არ ჰქონდეთ, არც გაიქცეოდნენ!), დეზერტირობა მათ არაფრით არ ეპატიებათ! მარტო ამისთვის უნდა დაისაჯონ ისინი უმკაცრესად! შაშკინის უსუსური თავის მართლება — ოჯახს ემუქრებოდნენ და იმიტომ წავედიო, 100 %-იანი სიმართლეც რომ იყოს, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. თუ დავუშვათ (თეორიულად, ცხადია!) და ოჯახის დაცვა მართლაც არ ხერხდებოდა არასგზით, ბოლო-ბოლო, ცოლ-შვილი გაეშვა ამერიკაში, თორემ სად გაგონილა, ამ „მიზეზით“ რომელიმე თავდაცვის მინისტრმა პოსტი დატოვოს, ღლონტის ღორივით დაადოს თავი და უკანმოუხედავად ქვეყნიდან გაიქცეს. იმდენი ჭკუაც არა აქვს ყოფილ განათლების(!) მინისტრს, რომ საერთოდ გაჩუმდეს და სისულელეები არ წამოროშოს!

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას შეფარებული ჰყავს დეზერტირი(!) თავდაცვის მინისტრი, ის უხერხულობას კი არ გრძნობს, პირიქით, აქეთ გვამუნათებს „ნატოს“ პირით – კეთილი ინებეთ და მორჩით მინისტრების დაჭერებსო, თუ არ გინდათ, პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ჩაგითვალოთო! „ნატოს“ გენერალური მდივნის — რასმუსენის, ევროპარლამენტის ამჟამინდელი პრეზიდენტის — შულცის, „ნატოს“ საპარლამენტო ასამბლეისა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ფილიპ გორდონის კრიტიკულ გამონათქვამებს — ჩვენს საშინაო საქმეებში დიპლომატიური ენით ჩარევას, უამრავი საპასუხო გამოხმაურება მოჰყვა „ფეისბუქზე“ თუ ჩვენს პრესა–ტელევიზიაში, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდები, სათქმელი ითქვა და შესატყვისი შედარებებიც გაკეთდა (ნიურნბერგის პროცესთან, უოტერგეიტთან).

მე შევჩერდები მხოლოდ გორდონის სიტყვებზე, რადგანაც ჩემი პასუხი საკმაოდ განსხვავებულია ხელისუფლების მიერ გაკეთებულისგან. **გორდონი, როცა იგი „შერჩევითი სამართლის“ დაუშვებლობაზე გვმოძღვრავს, გულისხმობს იმას, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნიშნით შერჩევას,** თუმცა, ცხადია(!), სხვა სიტყვებით, იმასაც გასაგებად გვეუბნება, რომ **არ უნდა მოხდეს დამარცხებული „ნაცმოძრაობის“ ლიდერების დაპატიმრება-გასამართლება.** ახალი ხელისუფლების აუღელვებელი პასუხი, ანუ ამერიკა-ნატო-ევროპარლამენტისთვის მიცემული პირობა იმის თაობაზე, რომ შერჩევით სამართალს ადგილი არ ექნება, ერთი შეხედვით, სავსებით კორექტულია და მისაღები ყველასთვის, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი დაზუსტებას მოითხოვს. **ამერიკა-ევროპას არავინ ეუბნება პირდაპირ, რომ ეს შეუძლებელია, რომ დღევანდელ საქართველოში სწორედ შერჩევითი სამართალი იქნება კარგა ხანს, ეს გარდაუვალია! რატომ?! ახლავე მოგახსენებთ!**

ყველამ, ვინც კი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ვადევნებთ უკანასკნელი ხუთი წელი მაინც, კარგად ვიცით (და ეს არანაკლებად, თუ უკეთესად არა, იციან ამერიკა-ევროპაშიც!), რომ აბსოლუტურად(!) ყველა თანამდებობა საქართველოში, პრეზიდენტიდან დაწყებული სოფლის გამგებლით დამთავრებული, მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ წევრებს, აქტივისტებს და მის აშკარა მხარდამჭერებს ეკავათ (და დღესაც უკავიათ ბევრ რაიონში, მერიაში, სასამართლოებში). ოპოზიციურად მოაზროვნეებს არათუ თანამდებობებზე ნიშნავდნენ, არამედ 100-200-ლარიანი სამსახურებიდანაც ათავისუფლებდნენ, თუკი ისინი „ნაცების“ პოლიტიკის მიმართ თავიანთ უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ ან სულაც თუ ოპოზიციის მიტინგზე დალანდავდნენ მათ! განსაკუთრებით აქტიურებს კი, სამსახურის დაკარგვას ვინ დაეძებს, თავისუფლებასაც აკარგვინებდნენ იარაღ — ნარკოტიკების ჩადებით ან მოგონილი, პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობის ბრალდებით.

რაც შეეხება დადასტურებულად ჩადენილ დანაშაულს, ამისთვისაც, როგორც წესი, ძირითადად, ისჯებოდნენ ოპოზიციაში მყოფნი და არა – „ნაცების“ მხარდამჭერნი და, რაღა თქმა უნდა, არავინ ისჯებოდა „ნაცების“ ელიტიდან. მათი რიგებიდან მხოლოდ მაშინ უსწორდებოდნენ ვინმეს, თუ იგი ოპოზიციაში გადავიდოდა. ერთი სიტყვით, „ნაცებიდან“ ციხეებში არავინ ხვდებოდა და, თუ ხვდებოდა (ასეთი სულ რამდენიმე კაცი იყო ამ ცხრა წლის მანძილზე, ძალიან გახმაურებულ მკვლელობებში მონაწილენი), სამუდამო პატიმრობის ნაცვლად რამდენიმე წელს უსჯიდნენ, თანაც არა „პარაშასთან“, არამედ რესტორნის მენიუს მქონე სპეცკამერებში.

რაც კი რამ გამოუძიებელ-დაუსჯელი(!) დანაშაულია ჩადენილი საქართველოში, ყველა ჩადენილია „ნაცმოძრაობაში“ გაერთიანებული პირების მიერ, ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ამ დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ საქმეები უნდა იქნას გამომზეურებული, სხვა, ფაქტობრივად, არც არსებობს! არ არსებობს უბრალო მიზეზის გამო — ყველა სხვა დამნაშავე გასამართლებული და უმკაცრესად დასჯილია. ამაზე მეტყველებს პატიმართა გაუგონარი რაოდე- ▶

# უნდა მოვითხოვოთ პროკურატურაში შესული აბსოლუტურად ყველა საჩივრის განხილვა, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს, და დამნაშავეების კანონის ძალით დასჯა, ვისაც რა უნდა, თქვას ოკეანის გაღმა თუ გამოღმა!

ტრიბუნალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნობაც ჩვენს ციხეებში და ასევე უზარმაზარი არმია იმ პირებისა, რომლებმაც საპროცესო გარიგებებით დააღწიეს თავი საპყრობილეებში არსებულ ჯოჯოხეთურ პირობებს.

**იქ, სადაც პირველივე(!) დანაშაულზე – ერთი ფიცრის, ქვაბის, მობილურის, საბურავის, ძეხვის, პურის, 15 ლარის ნიგვზის ან 40 ლარის ჯართის მოპარვისთვის რამდენიმე წლიდან 11 წლამდე უსჯიდნენ, როგორ გგონიათ, იქ დაუსჯელი ვინმე დარჩებოდა?! ცხადია, არავინ, თანამდებობებზე თბილად მოკალათებული „ნაცების“ გარდა!**

ასე რომ, გვინდა თუ არა (ძალიანაც გვინდა!), გამოსაძიებელი მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავე „ნაცების“ მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონია“! უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა რომ არ დამწამონ „კანონმორჩილმა“ „ნაცებმა“, ამიტომ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვის — „დამნაშავის“ ნაცვლად, ზუსტ შესატყვის და ფაქტებით დადასტურებულ სახელებს ვიხმარ.

**„ნაცები“, თითქმის ყველანი, უნდა გასამართლდნენ, როგორც მკვლელები** — გასამართლების გარეშე ასობით ადამიანის ჩახოცვისთვის და მოწამვლისთვის (ქუჩებში, ოჯახებში, პოლიციაში, ციხეებში), **სადისტები** — ათასობით ადამიანის წამებისთვის (პოლიცია-ციხეებში მათთვის ჭრილობების, დამწვრობების, მოტეხილობების მიყენებისა და დაუნდობელი ცემისთვის; დადასტურებული მოწმეების ჩვენებით, სხეულზე დარჩენილი წამების წარუშლელი კვალითა და დოკუმენტური ვიდეოკადრებით), **ყაჩაღები** – ათასობით ადამიანის ქონების მიმტაცებლები (ძალით, „ჩუქების“ გზით მიწების, ბიზნესის წამგლეჯები, საპროცესო გარიგებებისა და უკანონო ჯარიმების გზით მილიონების გამომძალველები; დადასტურებული დოკუმენტურად და აღძრული საქმეების რაოდენობით), **ხაზინის ქურდები** (ბიუჯეტის, გალატაკებული ხალხის გადასახადების ხარჯზე მოგზაურობებში, კაზინო-სტრიპტიზკლუბებში მოგრიალენი; ესეც დოკუმენტურად დადასტურებული), **სახელმწიფოსა და ხალხის მოღალატენი** (საომარი მოქმედებების ზონაში ჩატოვებული მშვიდობიანი მოსახლეობის სასიკვდილოდ გაწირვისთვის; ჯარისკაცების, ცოცხალისა და დაღუპულის, მიტოვებისთვის, ორდღიან ომში უამრავი ამოუცნობი ცხედრისთვის, ტერიტორიის 20%-ის დაკარგვისთვის, პატიოსანი სამხედრო თუ სამოქალაქო პირების დასაპატიმრებლად შეთითხნილი ბინძური სცენარებისთვის — ამბოხის, შეთქმულების, ჯაშუშობის, დივერსიული და ტერორისტული აქტების დაბრალებისთვის; იქნებ რომელიმე მათგანია საეჭვო?!), სახელმწიფო ტერორისთვის (მშვიდობიანი მომიტინგეების, მოშიმშილე ვეტერანების უპრეცედენტო სისხლიანი დარბევებისთვის, ქართული „უოტერგეიტებისთვის“, ტოტალური თვალთვალ-მოსმენებისთვის და მოსახლეობაში საყოველთაო შიშის დათესვისთვის; ამას ხომ მტკიცებაც არ უნდა, მთელი საქართველოა მოწმე!).

**ყველაფერი ამის ჩამდენი „ნაცმოძრაობის“ ზუსტი სახელი არის დამნაშავე(!), სასამართლომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე უნდა განსაზღვროს, თანაც არა მარტო ბრძანების გამცემი პირველი პირების (უპირველესად!) და შემსრულებლების, არამედ „ნაცმოძრაობის“ საერთოდ!** დამნაშავეა ყველა — როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტიური ნაწილი, ისე მისი პასიური ფრთაც. **ლამის დამლაგებლები დაადანაშაულეს ციხის კადრების შემდეგ, ხმას რატომ არ იღებდნენო, „ნაცმოძრაობის“ გატრუნული მინისტრ-დეპუტატები კი, აქაოდა, ჩვენ არაფერში ვართ გასვრილიო, უდანაშაულონი არიან? პასუხი მათაც უნდა აგონ დანაშაულის დაფარვისთვის!**

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერთი დიდი, „ნაცმოძრაობად“ წოდებული ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ათასობით(!) დანაშაულის გამო, იქნება სამართალი შერჩევითი და არა რაიმე სხვა მიზეზით!

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში განსაკუთრებულ ზიზღს იწვევს „ნაცების“ მოლაპარაკე სახეების გამომწვევი ქცევა და უტიფარი გამოსვლები. რისი იმედი აქვთ, ასე დიდგულზე რომ არიან? მათი გათვლა, ჩემი აზრით, მარტივია: „ნაცები“ ფიქრობენ და, არცთუ უსაფუძვლოდ(!), რომ ათასობით(!) დანაშაულის გამოძიების ანალოგი პრეცენდენტი მსოფლიოში არ ყოფილა და, რომ ამერიკის გამოზრდილ-შერჩეული პრესიდენტ-მინისტრებისა და სხვა მაღალჩინოსნების დაპატიმრებას თავად ამერიკა არ დაუშვებს, არ დაუშვებს არსად მსოფლიოში და, მით უფრო, მის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ რეგიონში, მისაბაძი და ყველაზე გაპიარებული პრეზიდენტის ქვეყანაში. ეს ხომ მისი სირცხვილიც იქნება! დიდი-დიდი, რამდენიმე მაღალჩინოსანი და რამდენიმე ათეული დაბალჩინოსანი გაწირონ. გამორიცხულია მოვლენების ასეთნაირი განვითარება?! სრულებითაც არა! ყველა დამნაშავის დაპატიმრება კი არა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ ოპერატიულად გამოეხმაურნენ და თანაც როგორი „გენიალური“ ფრაზით („ჩვენთან მინისტრებს არ იჭერენ“), № 1 დამნაშავე-შემსრულებლის – ბაჩო ახალაიას დაკავებას, ეს ძალიანაც ადვილი დასაშვებია!

ბევრისთვის ნათელია ყველაფერი, მაგრამ უფრო მეტს ბუნებრივად უჩნდება კითხვა: **რატომ იცავს ასე თავგამოდებით დასავლეთი სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?**



# რატომ იცავს ასე თავგამოდებით დასავლეთი სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?

„ვარდების რევოლუციიდან“ დაწყებული არჩევნების ბოლო წუთამდე(!), ხაშურის ცნობილ ინციდენტამდე (ანუ სანამ მთელმა მსოფლიომ არ იხილა შეიარაღებული ნიღბოსნებისა და პოლიციელების მიერ საარჩევნო ბიულეტენების გატაცება!), ამერიკა აშკარად აფარებდა ხელს მათ. ეს არც იყო დამალული — მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოში გამეფებული უსამართლობის, სისხლიანი დარბევების, წამება-მკვლელობებისა და პოლიტიკური დევნის მიუხედავად, მხოლოდ ცარიელი სიტყვები — „შეშფოთებები“ გვესმოდა კანტიკუნტად, მეტი არაფერი!

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამერიკამ გადაგვარჩინა ხაშურის სცენარის განვითარებასა და კიდევ უფრო საშიშ დაპირისპირებას, ხელის დაფარება დღესაც იგრძნობა, სამართლიანობის აღდგენის ნიშნების გამოჩენისთანავე ყველამ ერთად დაგვიწყო რჩევა-მითითებების მოცემა. **ცხრა წელი კრიმინალზე ხუჭავდნენ თვალს და ახლა სამუდამო პატიმრობის ღირსი დამნაშავეების დაკავებას რამდენიმე დღეში ეხმაურებიან დიპლომატიური თითის ქნევით! უცნაურია, არა?! ვინც ამერიკის გლობალურ ინტერესებს იცნობს, მისთვის არც არაფერია უცნაური! უცნაური უფრო ის უნდა იყოს, თუ რატომ არ უჭერს ამერიკა ისევე აშკარად მხარს ახალ ხელისუფლებას, როგორც ძველს — „ნაცებისას“. ახალი ხელისუფლება, რომელიც არჩევნებით მოვიდა, საგარეო პოლიტიკას ხომ იოტის ოდენადაც არ ცვლის(!) და ისევ ამერიკანატოზეა მიჩერებული?! იგი ხომ მხოლოდ იმით განსხვავდება ძველი ხელისუფლებისგან, რომ ქვეყანაში სამართლის დამყარება სურს და გაჭირვებული ხალხისთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა უნდა?!**

ძაღლის თავი და ყველაფერზე პასუხიც აქ არის დამარხული! **ამერიკას სწორედ ეს არ აძლევს ხელს, მან შესანიშნავად იცის, რომ წელგამართული და სამართალს შეჩვეული ხალხის სახელმწიფოს (ხელისუფლების!) მართვა თავის ჭკუაზე გაცილებით გაუძნელდება, ვიდრე დაგლახებულ-დაშინებული ხალხის!** თუმცა არსებობს **მეორე მიზეზიც** ამერიკა-ევროპის მხრიდან „ნაცების“ დაცვისა. **ძალიან ძნელია მათი მხრიდან იმის აღიარება, რომ საქართველოს თურმე წლების მანძილზე მართავდა არა „კორუფციის აღმომფხვრელი“ ხელისუფლება, არამედ კრიმინალური ბანდა!** ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც პირველი. ამას შედარებით ადვილად მოუძებნიდნენ ახსნას სურვილის შემთხვევაში. იტყოდნენ, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება დასაწყისში, პირველ წლებში კარგები იყვნენ, მაგრამ მერე თავში აუვარდათ და ძალაუფლებამ ისინი გარყვნაო! მართალია, ეს უსუსური თავისმართლება იქნებოდა, რადგან არც ბოლო წლებში შეუწყვეტია პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერა სააკაშვილის ხელისუფლებისა, მაგრამ გულუბრყვილო ხალხს (და ასეთია უმრავლესობა!) მაინც დააჯერებდნენ. რომ უნდოდეთ, ასეც მოიქცეოდნენ და მაშინ ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს — სამართლიანობის აღდგენის მცდელობას, მხოლოდ მიესალმებოდნენ და არა — პირიქით!

**თუ სამართალმა პური არ ჭამა, ხვალ ისევ წამოყოფენ თავს «ნაცები» და, დიდი ალბათობით, უფრო მეტი სისასტიკით წამოგვაჯდებიან კისერზე**

ისე კი, ვერ გამიგია და ვერც ვერასოდეს გავიგებ, ალბათ, რა ინტერესი უნდა გქონდეს ან რა მზე და მთვარე უნდა ამოგდიოდეს პრეზიდენტზე ისეთი, რომ მას და იმ ხელისუფლებას დაუჭირო მხარი, რომლის სამი უპირველესი მნიშვნელობის მინისტრი (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის) და მთავარი პროკურორი ქვეყნიდან გაქცეულია(!), გაქცეულია არა რევოლუციის, არა სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ არჩევნების შემდეგ!

ჩვენ, ჩვენ რა უნდა ვიღონოთ, როცა ძალა აღმართს ხნავს! თუკი დეზერტირი(!) მინისტრის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ ვერ ვიღებთ ხმას, რომ იგი ამერიკას ჰყავს შეფარებული, თუ დამნაშავეზე დამნაშავეს ვერ ვიტყვით და ვერ გავბედავთ გასამართლებას „პოლიტიკური ოპონენტის“ დევნის იარლიყის მოკერების შიშით და, ერთი სიტყვით, თუ თავის წაღუნვაა მხოლოდ „გამოსავალი“, მაშინ რაღა შორეულ ამერიკას, ბარემ ერთმორწმუნე მეზობელ რუსეთს წავუღუნოთ, თავის დახრაც ნაკლებად დაგვჭირდება და — კისრის წაგრძელებაც, თან ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი — „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველსო“. რუსებთან ურთიერთობაში საკუთარი ინტერესების დაცვის მეთოდებიც საკმაოდ დავხვეწეთ 200 წლის მანძილზე (ეს არაა ხელწამოსაკრავი არგუმენტი!), ენასაც უფრო ადვილად შევინარჩუნებთ და, ცხადია, რწმენასაც; **მამულის გამთლიანებას კი მხოლოდ და მხოლოდ(!) რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით თუ მივაღწევთ, შორეულ პერსპექტივაში მაინც, და ვერასოდეს — რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯებით!**

ფაქტია, რუსეთი 200 წლის მანძილზე მაინც ვერ დაგვაჯდა თავზე ვერც ცარიზმისა და ვერც კომუნისტების დროს, რუსული ჯარის საქართველოში მუდმივად ყოფნის მიუხედავად! ახლა კი უჯაროდ, მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით, სულგაყიდული ხელისუფლების (ნაწილობრივ მოცილებული ჭირის!) და სოკოებივით მომრავლებული ე. წ. არასამთავრობოების, ანუ ფინანსურად არა ჩვენს (უცხო!) მთავრობებზე დამოკიდებული ორგანიზაციების ხელით ისე გვმართავენ, როგორც მოეპრიანებათ! ცოტა გონს მოვიდეთ, თორემ ხომ ხედავთ, როგორ აფასებენ ყველაფერს უკუღმართად: ტირანიაზე გვეუბნებიან დემოკრატიააო, ურცხვად გაყალბებულ არჩევნებს (თანაც ყველაზე!) სანიმუშოს უწოდებენ, დამნაშავეს — პატიოსანს, სადისტსა და მკვლელს — პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულს და „უკეთესი“ გამოსაფხიზლებლად(!) რაღა უნდა გვითხრან.

ჩემი ვრცელი კომენტარის რაღაც ნაწილი, შესაძლოა, თემიდან გადახვევად მოეჩვენოს ზოგიერთს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის, ვინაიდან წერილის დასაწყისში თავდაცვის მინისტრის დეზერტირობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაში და ამერიკა-ევროპის მაღალჩინოსნების მიერ პრაღა-ბრიუსელ-თბილისში ნოემბრის შუა რიცხვებში გაკეთებულ განცხადებებში კარგად ჩანს, თუ რა პრობლემების წინაშე ვდგავართ. ადვილი მისახვედრი უნდა იყოს ისიც, რომ დღეს უკან დახევა საქართველოსა და ქართველი ხალხის ღალატის ტოლფასი იქნება. **თუ გამოცხადებული სამართალის დამყარების კურსიდან უკან დაგვახევინეს, არავითარი ეკონომიკური წარმატება არ გვიშველის** (არც გვექნება!).

შუა გზაზე შეჩერება და ნაწილობრივი სამართლის აღდგენით დაკმაყოფილება არაფრით არ შეიძლება, სამართალმა ყველას გულებსა და ოჯახებში უნდა იზეიმოს! რევანშიზმი მაშინაა მიუღებელი, თუ ის უკანონო გზებით ხორციელდება, არჩევნებით რევანში და კანონით განხორციელებული სამართლიანი(!) ანგარიშსწორება მისასალმებელია და აუცილებელიც (ყველაფერი ხომ ანგარიშითაა)! **თუ სამართალმა პური არ ჭამა, ხვალ ისევ წამოყოფენ თავს „ნაცები“ და, დიდი ალბათობით, უფრო მეტი სისასტიკით წამოგვაჯდებიან კისერზე.**

ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საზოგადოების მეტი აქტიურობა, ბიძინა ივანიშვილისა და ხელისუფლების არჩეული კურსის (სამართლებრივი კუთხით) მხარდაჭერა საჯაროდ და ხმამაღლა, რათა ყველამ — შინ და გარეთ, დაინახოს და შეიგნოს, რომ უსამართლობას აღარ შევეგუებით! ახალი ხელისუფლება, რომელსაც ძალაუფლება ჯერ კიდევ არ აქვს სრულად აღებული ხელში, ამ ეტაპზე საჭიროებს ჩვენს განსაკუთრებულ დახმარებას იმათთან გასამკლავებლად, ვინც „ნაცების“ დამნაშავე ხელისუფლების გათეთრებასა და სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას ცდილობს, ვინც სააკაშვილსა და ივანიშვილს ერთ სიბრტყეში განიხილავს და „დიპლომატიურად“ ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში! კანონის სრული დაცვით სამართლის გზაზე სიარულისთვის გვაძლევენ შენიშვნებს და, ხომ წარმოგიდგენიათ, ერთი ფეხი რომ გადაუბრუნდეს ივანიშვილს, რა ამბავს დაგვაწევენ!

**უნდა მოვითხოვოთ პროკურატურაში შესული აბსოლუტურად ყველა საჩივრის განხილვა, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს, და დამნაშავეების კანონის ძალით დასჯა, ვისაც რა უნდა, თქვას ოკეანის გაღმა თუ გამოღმა!**

სამართალი და მხოლოდ სამართალი! სხვა ყველაფერი სამართალს მოაქვს!

კართაგენი კი, კართაგენი („ნაცმოძრაობა“) უნდა დაინგრეს!

**იაკობ ლეჟავა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფოსტა**

**პრეზიდენტის ნაქები მინისტრები ისე დაუკითხავად გაუფრთხნენ თავიანთ თანამდებობებს, როგორც სხვის ბოსტანში გადაპარული კიტრის ქურდი მოულოდნელად გამოჩენილ პატრონს. მათი მფარველი, ბუტაფორიადქცეული პრეზიდენტი ამის გამო უხერხულობასაც კი არ გრძნობს და მანამდე ებღაუჭება თავის სავარძელს, სანამ ძალით არ ააგლეჯენ და უამრავი დანაშაულით შემკობილს გლდანის საკანში არ გადაუცვლიან პრეზიდენტის ქვირადნაშენ რეზიდენციას.**

# «ნაციონალურ ჭირს» დეზინფექცია უნდა ჩავუტაროთ

**ბოროტებამ მძლავრი დარტყმა მიიღო, მაგრამ წელმოწყვეტილი მაინც ცდილობს შხამის ბოლომდე დანთხევას. უკიდურესად შემნდობი ქართველი ერის მოთმინების ჭურჭელი ძირგავარდნილი არ გამოდგა და „ნაციონალთა“ ძალადობის, სიცრუის, სიბრიყვის, მუხთლობის, სიხარბისა და განუკითხაობის პარპაში სერიოზულად დაზანყდა.**

ხელისუფლებაში ფსევდორევოლუციის გზით გამძვრალი სააკაშვილის სახით ხალხს ეგონა, რომ ეროვნული გმირობის კანდიდატი მოევლინა შევარდნაძისგან მრავლადნაკორტნ ქვეყანას. არადა, მისგანვე აღზევებული მისი განქიქებით იხვეჭდა სიმპათიებს, რამეთუ უკიდურესად გამწარებულ ხალხს სჯეროდა, რომ ჩადენილი ბოროტებისთვის პასუხს აგებინებდნენ.

**განგებამ სააკაშვილს შანსი მისცა, მოხვედრილიყო ერისთვის თავდადებულ მამულიშვილთა შორის, თაობებს კიდევ მისით ეამაყათ. ამას კი მსხვერპლის გაღება, ამქვეყნიურ განცხრომაზე უარის თქმა და საჭიროების შემთხვევაში თავგანწირვა სჭირდებოდა. მოხდა საშინელება: ხალხს ეროვნული გმირის გამოჩენის იმედი რომ ჰქონდა, ეროვნული ჭირი გამოდგა და ისეთი საშინელი მუხთლობის ქარბორბალა დაატრიალა, რომ მისგანვე ჩასათბურებული შევარდნაძის ავკაცობაც გაახუნა.**

მთელი საქართველო ელოდებოდა შევარდნაძის ხალხის სამსჯავროს წინაშე გაშიშვლებას, რათა ეხილა მის ნიღაბს იქით ჩამალული სატანის რქებიანი თავი. ამათ კი შექმნეს პრეცედენტი, რომ მოღალატე მაღალჩინოსანმა პასუხი არ უნდა აგოს და მიქელგაბრიელის ბილიკზე შემდგარმა სიცრუით შენელებული ინტერვიუებით კვლავ უნდა წამლოს მისგანვე მოოხრებული ქვეყანა.

მაინც რა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ბებერი და ახალგაზრდა სიცრუის ნოტზე აწყობილი მუთხლობის ნაშიერნი:

**შევარდნაძემ ხომ მოიწვია სოხუმში ქართველი მოსახლეობა და შემდეგ მტერს საჯიჯგნად შეატოვა, თვითონ კი თავქუდმოგლეჯით გამომფრთხალმა თბილისქალაქობა იზეიმა. მერე რა, ვანდალების მიერ აოხრებულმა და გაუპატიურებულმა რომაელებმაც ხომ ითხოვეს თავიანთი ღმერთისთვის მიძღვნილი ზეიმის მოწყობა.**

**მიშამაც დაიწყო ომი ცხინვალში. მერე შეშინებულმა მოკურცხლა. ქვეყანას ტერიტორიები ქართული სოფლებით დაუკარგა და შევარდნაძის ლტოლვილებს თავისიც მიუმატა. რა დაინახა, საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ზეიმი მოაწყო. ომი რუსეთმა დაიწყო და მე გავიმარჯვეო, ქვეყანა შეყარა. სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა ყველა, ვინც ომის დაწყებაზე სიმართლეს იტყოდა.**

ბოლო დროს კი ისეთი სიცრუის მთქნარება შეეყარა, რომ ნაოცნებარი და სიზმარში ნანახი თავისი მომაბეზრებელი სატელევიზიო ტაკიმასხრობისას სინამდვილედ აუწყა მთელ საქართველოს: ღრუბელ-ღრუბელ როგორ გაეპარა რუსულ ავიაციას, ჩაფრინდა ფოთში და შეკრებილ ხალხს გმირული ოპტიმიზმით გაჯერებული სიტყვები აწვიმა. რუსებმა ეს რომ გაიგეს, ტანკებითა და ჯავშნოსანი მანქანებით გამოსწიეს მის შესაპყრობად, მაგრამ ფოთის პოლიციელები გადაეღობნენ. რუსები ეხვეწებოდნენ, გაგვატარეთ, ჩვენ მარტო სააკაშვილის დაჭერა გვინდაო. მათ კი არ გაუშვეს, ერის იმედს და სიამაყეს ვერ გაგატანთო. საცოდავი რუსები თურმე ასე კუდამოძუებულები გააბრუნეს უკან.

შევარდნაძემაც კარგად იცის ნაცრის ქექვით მიღებული განცხრომის გემო. მანაც ისე შეაშინა რუსები, რომ „ნაცარქექიას“ დევი მასთან მოგონილია. ყოველკვირეულ საგაზეთო ინტერვიუში ამაყად გვამცნო: რუსების ბატალიონი კოდორის ხეობაში რომ შევიდა, მაშინვე იქ გამოცხადდა და მეთაური თავისთან მოიხმო. უთხრა, აბა თუ დათვლი ამ ხეობაში რამდენი ხე დგასო. ამას რა დათვლისო, მიიღო პასუხი. ჰოდა, ყველა ხის ძირში თითო სნაიპერი მიყენიაო. ისე შეაშინა, როგორც ნაცარქექიამ დევი, ოღონდ სადგისი არ უხმარია. ამგვარად დამფრთხალმა რუსებმა მეორე დღესვე თურმე დატოვეს კოდორის ხეობა. შემდგომში, ალბათ, ზღაპრების წიგნი დაკარგა, თორემ სოხუმს არ დათმობდა. მოწინააღმდეგეს პანტის ზარბაზნით შეაშინებდა და ისინიც გაფრთხებოდნენ. რას ვიზამთ, **შევარდნაძე სიცრუის კვამლით ცდილობს დაფაროს მისგანვე ქართველი ერის სხეულზე მიყენებული დღემდე შეუხორცებელი ჭრილობები.**



ნემეზიდა კი ფხიზლად არის და დროს უცდის, რამეთუ იცის, რომ არიან მკვდრები, რომლებიც უნდა გასამართლდნენ.

**როგორ შეიძლება ადამიანი უწოდო ფაშისტური ლაჟე კვერცხებიდან გამოჩეკილ პარაზიტებს, რომლებმაც ქართველი ერის სიამაყის, მსოფლიოში განუმეორებელი გენიოსის — სტალინის ძეგლი დაანგრიეს და ჰოლივუდის ტაკიმასხარა რეიგანი რიყეზე წამოასკუპეს.**



**მსოფლიოს ძალიან ბევრი გამოჩენილი მხედართმთავარი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე ახსოვს, მაგრამ ისეთი გენიალური და ბუმბერაზი, როგორიც იყო სტალინი, დღემდე არ გამოჩენილა**

მოუსავლეთის გზაზე შემდგარ, ფრთამოტეხილ და გაპუტულ „ნაციონალთა“ ფაფხურიც ჯერ კიდევ გრძელდება. ამ ფონზე დამცინავ ღიმილს ჩეკავს ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის — ბაქრაძის ესოდენი ბალანაშლილობა: ოპოზიციაში გადავდივარ და „ქართულ ოცნებას“ დაწვრილებით შევუმოწმებ შეპირებულის შესრულებასო. მეორე კაცი იყო იმ ხელისუფლებაში და მეურმის მამალივით ყიოდა მხოლოდ. **რატომ ერთხელ არ იკითხა, ასე ხვავრიელად სად იფლანგებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი; რატომ ნიავდებოდა უცხოელებზე ქართველთა მიწა-წყალი; რატომ ატერორებდა ხალხს გამჭვირვალე შენობებში შებუდებული გაუმჭვირვალე პოლიცია; მგლებივით რატომ ჯიჯგნიდნენ უდანაშაულო პატიმრებს; რატომ ერთხელ მაინც არ უთხრა სააკაშვილს, ასე აღმა-დაღმა რომ დაარბენინებ ხალხს შენი ყოველდღიური, ფუქსავატი და თავქარიანი პიარყბედობის მოსასმენად, მაგით მხოლოდ სინანულს, დაცინვას და ხალხის უნდობლობას იხვეჭო; რა საჭირო იყო ქუთაისში ესოდენ ცოდვით გაპოხილი პარლამენტის მშენებლობაზე უზარმაზარი თანხის განიავება და ასე სასწრაფოდ თბილისში პარლამენტის აოხრება?!**

**რა მოთვლის იმ უამრავ ღალატთან წილნაყარ ცოდვებს, რაც მათ ჩაიდინეს ქვეყნის და ერის მიმართ.** მომართული მარიონეტივით ერთსა და იმავე პრიორიტეტებზე ლაყბობის ტყვეს ახლა გაახსენდა, რომ შემოწმებაც შეიძლება და პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა, რის შედეგად მათი პრეზიდენტი ექვსი თვის შემდეგ ახალ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს; სამოქალაქო დაპირისპირებითაც იმუქრება. როგორ შეგვაშინა!

**ამ საპარლამენტო არჩევნებზე ძალადობით, გაყალბებითა და უამრავი მაქინაციებით შემორჩნენ პარლამენტს, როცა ადამიანთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შოკში იყო, „ნაციონალი“ ასპიტი ძალაუფლებას შეინარჩუნებს და არ დაგვგესლოსო. ახლა, როცა** ▶

## ვენესუელაში ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იპოვეს

**ვენესუელის სამართალდამცავებმა კოლუმბიის საზღვართან ახლოს აღმოაჩინეს სამალავი, რომელშიც ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იყო შენახული.** თანხა პოლიეთილენის ტომრებში იყო ჩალაგებული, მდინარე მეტასთან ახლოს. იქვე ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი კილოგრამი კოკაინი. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ ფული, სავარაუდოდ, იმ განგსტერების კუთვნილებაა, რომლებიც ნარკოტიკების კონტრაბანდას კოლუმბიის ტერიტორიაზე ეწევიან. სამალავთან ახლოს ნაპოვნია საველე ბანაკი და მსუბუქძრავიანი თვითმფრინავი.



## ბარაკ ობამას მეზობლობა 900 ათასი დოლარი ღირს

აშშ-ში კენვუდის რაიონში (ჩიკაგო) იყიდება სახლი, რომელიც პრეზიდენტ ბარაკ ობამას სასახლის მეზობლად მდებარეობს. სახლის მფლობელებს სურთ, რომ საკუთარი ქონება 899 ათას დოლარად გაასხვისონ. მეპატრონემ აღნიშნული სახლი 2008 წელს 675 ათას დოლარად შეიძინა.

**ხალხს სწამს ბიძინა ივანიშვილის, რამეთუ მან ქვეყნის სასიკეთოდ ერთხელ უკვე გადადო თავი, როცა „ნაციონალ“ ურჩხულს დაუპირისპირდა. ახლა კი საჭიროა ამ საშინელების საბოლოოდ ამოძირკვა და მუხთლობით დასვრილთა სანაგვეზე ღრმად დაფლობა. ჯერ კი ხალხი მოუთმენლად ელის ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას და დამნაშავეთა დამსახურებისამებრ დასჯას...**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხალხი მთლიანად გამოფხიზლდა და თავისი ძალა ირწმუნა, როცა წელმოწყვეტილ ასპიტს საკუთარი გესლიანი თავი აქვს გასრესისგან გადასარჩენი, პარლამენტში უმცირესობის ტრიბუნიდან ლაყუჩებს ბერავენ ზოგიერთი თევზივით, გვიფრთხილდით, ძალიან დიდები ვართო.**

არადა, სულ მალე ისე დაიჩუტებიან, რომ ხსოვნას სირცხვილად და სინანულად შემორჩენილთაგან სველი ადგილიც აღარ დარჩება. ამ ცოდვის ბარტყებს რომელი არჩევნების იმედი აქვთ, როცა საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი შერცხვებათ მათთვის ხმის მიცემა. როგორც ფაშისტები სვასტიკიანი დროშებით, ესენიც თავიანთი ხუთჯვრიანი დროშებით გადაბარგდებიან მოუსავლეთში. დაავიწყდათ, რომ სოფელი წარმავალია და მოძალადეთა პარპაში უსასრულოდ არასდროს გაგრძელებულა. **საკუთარი ხალხის ძარცვის ფასად, აღვირახსნილი განცხრომა კრიმინალურ ბანდად გარდასახულთ მათგანვე ნათესი შხამიანი მცენარის ნაყოფის ბალღამის ხვრეპის ჟამად გადაექცათ.**

არადა, გამაოგნებელია, ამდენი „ნაციონალიდან“ ერთი არ გამოდგა ისეთი, საღად რომ ეაზროვნა და მიშასთვის ეთქვა, სახალხო შენობებს ასე ერთ ლარად რომ ჩუქნი, ვისზეც მოგეხასიათება და, თუ რაიმე გეწყინა, უკანვე ართმევ, შენი ბებია-ბაბუის ხომ არ გგონია?! ან პრეზიდენტობა ხალხის სამსახურში ყოფნაა და არა სახალხო ქონების მითვისება-განიავებით გაზულუქებაო. ის კი სისულელის ბოდვით თავბრუდახვეული ტაშის დაქუხების და „მიშა მაგარიას“ ღრიალს მოითხოვდა, ურჩებისთვის გლდანის ციხეში ცოცხზე გასმა გარანტირებული იყო. ახლა კი ნაცისტებს ჩადენილი ცოდვების ამონთხევა მოუწევთ. **26 მაისს რაც ამათ ღვარძლითა და საკუთარი ხალხის სიძულვილით იკადრეს, ანალოგს ვერ მოუძებნი. ჩადენილი, დღემდე უცნობი სისაძაგლეები მათ წარმავალ არსებობას ბინძურ ლაქად შემორჩება.**

**ახლა ქუთაისის, საქართველოს დაქუცმაცების მათი აუხდენელი ოცნების პარლამენტიდან აჭყვლიპინდნენ, უმრავლესობა ჩვენი დეპუტატების გადაბირებას ცდილობს შანტაჟისა და დაშინების გზითო. ვინც უდანაშაულო „ნაციონალთა“ დეპუტატებიდან კიდევ არსებობს, იმას გადაბირება რად უნდა, განა ნამუსი ამ დამნაშავე ცოდვისშვილთა შორის გააჩერებს?! სხვა დანარჩენების გადმობირება ვის რაში სჭირდება, როცა ათასგვარი მუხთლობით ისე არიან დაბინძურებულნი, რომ, ვირის აბანოს გარდა, სხვაგან არ მიიღებენ. ან რომელ გადაბირებაზეა ლაპარაკი, როცა ხალხი ამ ნაცისტურ არსებობას საქართველოში აკრძალვით ემუქრება?!**

კაცობრიობის საშინელი უბედურება — ფაშიზმი ადამიანში ადამიანობას რომ სპობდა და მხეცს ანებივრებდა, მსოფლიოს ფაშისტურ ჯოჯოხეთად გადაქცევისთვის რომ ურქენდა, ქართველმა სტალინმა მოამტვრია რქები კისრიანად; ათასობით პლაკატში ხალხს ამ საშინელი ურჩხულის წინააღმდეგ საბრძოლველად რომ აღაგზნებდა, უპირველესი და უბადლო ქართველი თოიძის პლაკატი იყო „დედა — სამშობლო გეძახის“; ქართველმა მეომარმა — ქანთარიამ ფაშისტური რაიხსტაგის თავზე ააფრიალა გამარჯვების დროშა. **კაცობრიობა არასდროს დაივიწყებს ფაშისტური ჭირის საშინელებას, პატივით, სიყვარულით და თაყვანისცემით მოსავს ბრძოლაში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. პატარა ქართველმა ერმა 300 ათასი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე გაიღო ფაშიზმის წინააღმდეგ საკაცობრიო ბრძოლაში.** მსოფლიოს ძალიან ბევრი გამოჩენილი მხედართმთავარი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე ახსოვს, მაგრამ ისეთი გენიალური და ბუმბერაზი, როგორიც იყო სტალინი, დღემდე არ გამოჩენილა. ეს გენია პატარა ქართველმა ერმა მისცა მსოფლიოს, რომლითაც დიდი და მძლავრი ერი უსაზღვროდ იამაყებდა. **ამ „ნაციონალ“ პარაზიტებს კი ეყოთ თავიანთი მყრალი არსებობის სიბინძურე, რომ მისი ძეგლი თვით გორში მოესპოთ. სამამულო ომში დაღუპულთა უწმინდესი ობელისკი აეფეთქებინათ, ქალისა და ბავშვის სისხლიც დაეღვარათ და ამ ცოდვიან ადგილზე საქართველოს დაქცევისა და დაშლის სიმბოლოდ პარლამენტის შენობა შეეთითხნათ.**

**როგორ შეიძლება ადამიანი უწოდო ფაშისტური ლაყე კვერცხებიდან გამოჩეკილ პარაზიტებს, რომლებმაც ქართველი ერის სიამაყეს, მსოფლიოში განუმეორებელი გენიოსის — სტალინის ძეგლი დაანგრიეს და ჰოლივუდის ტაკიმასხარა რეიგანი რიყეზე წამოასკუპეს.**

აღარ დასცალდათ, თორემ ჰიტლერის მიერ საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნული არნო შიკედანცის ძეგლს დაგვიდგამდნენ, რომელმაც ომის დამთავრებისთანავე თავი მოიკლა და წამებულ გმირად შემოგვაჩეჩებდნენ.

**დაუსჯელობის გრძნობის ტყვეობაში გათავხედებულნი ქართველი ერის დაკნინება, დაბეჩავება, გადაგვარებას შეეცადნენ და თავიანთი მუხთლობის კვალი საქართველოს ყველა რეგიონს დაატყვეს.**

მათი პრეზიდენტი ხშირად იწონებდა თავს სიღნაღით, რომლის შესასვლელთან მაღალ გორაზე მდგარი ქიზიყელთა სიამაყე — ბრწყინვალე ძეგლი ამირანისა დაანგრიეს; იქვე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის კეთილმოწყობილი შენობა ვიღაცას მიაყიდეს; იქვე ახლოს, ნაძვებით გარშემორტყმული საავადმყოფოს იმხელა შენობა დაანგრიეს, რომ მიშას პიარფაფხურის პროდუქტი ყველა საავადმყოფო ჩაეტეოდა და მისთვისაც დარჩებოდა ადგილი ყვარყვარეს ზღაპრების მოსაყოლად. რაიონული ბიბლიოთეკის ადგილზე რესტორნის მსგავსი რაღაც გამართეს, ტომარაში ჩაყრილი უზარმაზარი უნიკალური წიგნების ფონდი კი სარდაფს შეატოვეს; **ნაცისტური ვნებებით დაეტაკნენ სამამულო ომში დაღუპულთა უნიკალურ, უწმინდეს ობელისკს, დაანგრიეს და ამ ბოროტებით ნასიამოვნებთ სულაც არ უფიქრიათ ხალხის რისხვის ამოფრქვევაზე, რომელიც სწორედ მაშინ დაატყდათ თავს, როცა გაღმა გადამხტართ ეგონათ, მხოლოდ ჰოპლას დაძახებაღა აკლდათ.** თუმცა რა გასაკვირია იმათგან, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან რომ გაასახლეს და მის ადგილზე ველოსიპედის ძეგლით დაიკმაყოფილეს დიდებისკენ დაუოკებელი ლტოლვა, რომლის ფინიში მათ მიერვე გაჭყლეტილი ბოთლებისა და შლოპანცების ძეგლებით დამშვენებულ სანაგვეზეა.

**ნაციონალების მიერ ქვეყნის აღორძინების გზაზე დაყენების მცდელობის ხელისშეშლა აშკარაა. ჯერ კიდევ საკმარის ბერკეტებს ფლობენ სასიკეთო ღონისძიებათა დასამუნჯებლად. არც რევანშისტული ბოდვით წარსული განცხრომის ნებივრობის აღდგენის მუქარა არ აკლიათ. მათი ბუმბულშეფერთხილი პრეზიდენტი სასწრაფოდ ნიშნავს „ნაციონალთა“ ბოღმით გატენილ რწმუნებულებს სასიკეთოდ აბრუნებულ ცხოვრების მექანიზმის თვლებში ჯოხად გასაყრელად.**

ჯერ კიდევ მათ ხელშია ქვეყნის მართვის ბევრი სადავე. მიუხედავად ამისა, **პრეზიდენტის ნაქები მინისტრები ისე დაუკითხავად გაუფრთხნენ თავიანთ თანამდებობებს, როგორც სხვის ბოსტანში გადაპარული კიტრის ქურდი მოულოდნელად გამოჩენილ პატრონს. მათი მფარველი, ბუტაფორიად ქცეული პრეზიდენტი ამის გამო უხერხულობასაც კი არ გრძნობს და მანამდე ებღაუჭება თავის სავარძელს, სანამ ძალით არ ააგლეჯენ და უამრავი დანაშაულით შემკობილს გლდანის საკანში არ გადაუცვლიან პრეზიდენტის ძვირადღირებულ რეზიდენციას.** არადა, რაც მასზე ბრალდებები ვრცელდება ტელევიზიითა და გაზეთებით, თავმოყვარე კაცი გადადგებოდა და უდანაშაულობას თუ ვერ დაამტკიცებდა, სირცხვილის ლუკმადქცეული ბერად მაინც შედგებოდა და ლოცვით ეცდებოდა ჩადენილი ცოდვების შემსუბუქებას. ეს კიდევ რევანშზე ფიქრობს და არ ისურვოს, რომ „ნაციონალთა“ მიერ მოწყობილ საბოტაჟებში მისი კუდის კვალი აირეკლოს. მაშინ **პრეზიდენტის არჩევნებამდე კი არა, შეიძლება აღშფოთებულმა ხალხმა „ქართული ოცნების“ მოწოდებას კანონის დაცვის შესახებ ყური აღარ ათხოვოს და მუსოლინის დამსახურების მეთოდით გაუსწორდნენ.**



**პრეზიდენტის არჩევნებამდე კი არა, შეიძლება აღშფოთებულმა ხალხმა «ქართული ოცნების» მოწოდებას კანონის დაცვის შესახებ ყური აღარ ათხოვოს და მუსოლინის დამსახურების მეთოდით გაუსწორდნენ**

„ნაციონალთა“ მიერ უკიდურესად ნაძარცვმა, შეურაცხყოფილმა და აბუჩად აგდებულმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილს გამოუცხადა ნდობა, აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ წევრ ყველა პარტიასა და ცალკეულ ადამიანებს. ახლა მათი უპირველესი მოვალეობა ქართველი ხალხის ინტერესებისთვის თავდადებული მოღვაწეობაა. ეს ავანსია ბიძინა ივანიშვილის ერთგულების რწმენით ქვეყნისა და ხალხის მიმართ. **ნურავინ ეცდება პირადი ეგოისტური ვნებების კარნახით უკულმართ ბილიკზე შედგომას, თორემ ნდობის დაკარგვა იოლია და აღდგენა თითქმის შეუძლებელი. ხალხს სწამს ბიძინა ივანიშვილის, რამეთუ მან ქვეყნის სასიკეთოდ ერთხელ უკვე გადადო თავი, როცა „ნაციონალ“ ურჩხულს დაუპირისპირდა. ახლა კი საჭიროა ამ საშინელების საბოლოოდ ამოძირკვა და მუხთლობით დასვრილთა სანაგვეზე ღრმად დაფლობა.**

ჯერ კი ხალხი მოუთმენლად ელის ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას და დამნაშავეთა დამსახურებისამებრ დასჯას, რათა ხელისუფლებაში წამოსკუპებულ ყველა უძღებ მედროვეს ახსოვდეს, რომ ქვეყნის უბედურების ხარჯზე მოპოვებულ ცხოველურ განცხრომას ბოლოს ბალღამის ხვრეპის მწარე სინანული ახლავს.

ამ ნაცისტთა გამოსაჩეკი ამინდი შევარდნაძემ შექმნა, რომელიც ქართველთა კეთილდღეობის ანკარა წყაროს ათწლეულების განმავლობაში სათავიდან წამლავს ღალატით, სიცრუით, ეგოიზმითა და ყოველგვარი ვერაგობის შხამით.

**ერისმოძულეთა დაუნდობლობით ფატრეს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების, ლიტერატურის, ზნეობის და მორალის, სახალხო მეურნეობის მსოფლიოში აღიარებული მიღწევები და სიწმინდეები. საჯარო სკოლებში სწავლება გონებაშეზღუდული ბავშვების დონეზე დაიყვანეს და ამას წარმატებული რეფორმა უწოდეს. ძირფესვიანად ამოაგდეს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მეცნიერება და ახლა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები პაპუასების დონეზე გველაპარაკებიან.**

**ნატოელი ევროპელები კი გონებაშეზღუდულ, თეთრკანიან ზანგებად გვთვლიან, ისინი, ვინც დამწერლობა ლათინებიდან რომ გადაიღეს და არ იციან, ამ უძველესი ერის დამწერლობა, კულტურა და საერთოდ არსებობა კაცობრიობის ხსოვნის მიღმა რომ იწყება.**

ნურც იმას დაივიწყებენ, რომ საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა იყო მძლავრი მეცნიერებით, განათლებით, კულტურითა და ეროვნული სიამაყით. დღეს კი დარბეულ-დაჩაჩანაკებულს საუკეთესო ახალგაზრდების ავღანეთში დაღვრილი სისხლის ფასად ნატოში შესვლა ენატრება, სადაც საქართველოს საბოლოო დაქუცმაცების დაკონსერვება იცდის.

**რომელ სამხედრო ბლოკს მოუტანია კაცობრიობისთვის სიკეთე, სიმშვიდე და უშფოთველობა?!** ვარშავის პაქტი დაიშალა, რაღა უნდათ, როცა მოწინააღმდეგე აღარავინაა. სკოლების დაბომბვით იუგოსლავიის მიწასთან გასწორებას, ერაყში დაუსრულებელ სისხლის ღვრას, ბოლოს კი ავღანეთში ტერორისტებთან ბრძოლის მიზეზით შეჭრის შემდეგ იქიდან გამოსაქცევად მზადებას ნატო რად უნდა, როცა აგერ არის გაძვალტყავებული საქართველო, მისი მუხთალი ხელისუფლების მიერ საზარბაზნე ხორცად გარეკილი ერის საუკეთესო ახალგაზრდები და იქიდან ხეიბრად დაბრუნებულებზე უზრუნველობა?! ეტყობა, თვითონ რასმუსენსაც უკვირს, ეს საცოდავები ასე თავაწყვეტით რომ იწევენ ნატოში, საამისო რა შეგვატყვესო?!

საბჭოთა კავშირი დაიშალა. რუსეთს კი ვერაფერი დაშლის. ნატო კი არა, რომის წმინდა იმპერიის იმპერატორმა ფრიდრიხ პირველმა ბარბაროსამ, კარლოს მეთორმეტემ, ფრიდრიხ მეორემ, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა, მთელი ევროპის რესურსებით გაბერილებმა, როგორც კი ძალა იგრძნეს, რუსეთს დაეტაკნენ დასაჩუტად და სასაცილოდ გადასაქცევად. დაანებეთ, შვილოსა, რუსეთს თავი, როგორც კატა ლეოპოლდს!

**ერთმორწმუნე რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობას კი მუხთლობის შხამი ვერ გაახუნებს. ურთიერთნდობის და პატივისცემის ძალით ჩვენ სამშობლოს კვლავ ვიხილავთ ერთიანს, გამძლავრებულს და აყვავებულს.**

**გივი სომხიშვილი,**
დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მწერალი



## მექსიკაში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საშიში დამნაშავე დააკავეს

**მექსიკაში დააკავეს ყაჩაღური დაჯგუფების წევრი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე საშიშ ძებნილ დამნაშავეთა ათეულში შედიოდა.** მას ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიურო წლების განმავლობაში ეძებდა. ჯო ლუის საენსი გვადალახარაში სპეციალური ოპერაციის შედეგად დააკავეს. როგორც ვარაუდობენ, უახლოეს დღეებში მისი აშშ-ში ექსტრადირება მოხდა. ამერიკის ხელისუფლება საენსს კონკურენტი ბანდის ორი წევრის მკვლელობასა და ასევე თავისი მეგობარი გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში ადანაშაულებს. გოგონა საენსის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ პოლიციისთვის შეტყობინებას აპირებდა. საენსს კავშირი ჰქონდა ნარკოვაჭრებთანაც.



მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აპოკალიფსის ოთხი მხედარი განასახიერებს გამოწვევებს, რომელთა მსგავსებს აქამდე ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი არ შეჯახებია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაფლანგა ის ძლევამოსილება, რომელიც ერთ დროს ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა ამ დრომდეც მსოფლიოში უდიდესია, ქვეყანა დღეს ძალზე ძლიერადაა დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე, განსაკუთრებით ჩინურზე.**

# აპოკალიფსის ოთხი მხედარი — საგარეო პოლიტიკის სფეროში



**აშშ დღითიდღე კარგავს თავის ჰეგემონიურ სტატუსს. თუ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკაში წარმატებულად ორიენტირება სურს მომავალი ოთხი წლის მანძილზე, მას ამერიკელების მსოფლმხედველობის კორექტირება მოუწევს. ბარაკ ობამა სახელმწიფო მეთაურის თანამდებობაზე განმეორებით არჩეულ იქნა შიდა პოლიტიკაზე ყურადღების კონცენტრირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკელი ამომრჩევლისთვის, უბრალოდ, გაუსაძლისი იქნებოდა იმის თვალის დევნება, რაც საზღვარგარეთ ხდება. ამაში ობამა არაა დამნაშავე. საგარეოპოლიტიკურ პრობლემებს ხომ, როგორც წესი, ხანგრძლივი ისტორია აქვს, ამიტომ აზრი არ აქვს მოქმედი პრეზიდენტის დადანაშაულებას იმაში, რომ მან ვერ შეძლო ახლანდელი კრიზისის წინასწარ განჭვრეტა.**

მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს დღევანდელი სურათისთვის დამახასიათებელია აპოკალიფსური შტრიხები. მასზე აპოკალიფსის ოთხ მხედარს ვხედავთ — **ირანის ბირთვულ პროგრამას, მღელვარებას ისლამურ ქვეყნებში, ევროზონის კრიზისსა და ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებას.** თუმცა არსებობს მეხუთეც, წმინდა ამერიკული წარმომავლობის მხედარიც — **ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი**. ჟურნალი „The Economist"-ი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა საკუთარ თავში უმთავრესი საფრთხის მატარებელი და „New York Times"-ი ამ აზრს იზიარებს. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „სამუშაოზე დაბრუნებულ ობამას საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროში კრიზისის საფრთხე ელის".

ამ პუბლიკაციის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე აღარ გამოუვა გადასახადების დაწესების პატარა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი დონის შეთავსება იმ ხარჯებთან, რომლის უფლებასაც საკუთარ თავს მხოლოდ დიდი სახელმწიფო თუ მისცემს. გარდა ამისა, **არსებობს საშიშროება, რომ ამერიკა უმალ იგრძნობს მსოფლიო კრიზისის შედეგებს, როგორც კი აპოკალიფსის ოთხი მხედრიდან ერთი მაინც წამოყოფს თავს.**

ამერიკაში საგარეო პოლიტიკა იშვიათად არის ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ პრეზიდენტს ხელახალი ვადით ირჩევენ ქვეყნის მეთაურის თანამდებობაზე, მაგრამ ის თავისუფლად შეიძლება იქცეს არჩევნებზე დამარცხების მიზეზად. გახსოვთ ჯორჯ-ბუშ უფროსი, რომელიც 1991 წლის ოპერაციის — „ქარიშხალი უდაბნოში" დროს ზეიმობდა გამარჯვებას, შემდეგ კი იძულებული გახდა, საყვედურები ესმინა კლინტონისა და გორისაგან, რომლებიც პრეზიდენტს საყვედურობდნენ, რომ ზედმეტად გაერთო სადამის დევნაში და არასაკმარისი ყურადღება დაუთმო ქვეყნის ეკონომიკას? ობამაც ანალოგიური ტაქტიკით აღიჭურვა, თუმცა ის პირიქით გადააწყო — ჯერ თავისი პირველი ვადის საგარეოპოლიტიკური მიღწევები წარმოადგინა (ამ სიას უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაცია აგვირგვინებს), შემდეგ კი შიდაპოლიტიკურ წარმატებებზე გადავიდა. ამ უკანასკნელ კატეგორიაში მოხსენიებული იყო უმუშევრობის დონის შემცირებაცა და სამედიცინო დაზღვევაც. რაღაც ყურადღება დაეთმო ისრაელთან ურთიერთობების გართულებასაც.

ასეა თუ ისე, **თეთრ სახლში დაბრუნების შემდეგ ობამამ უნდა გადაწყვიტოს ფედერალური ბიუჯეტის პრობლემა, მომავალი წლის იანვრისთვის რომ თავი აარიდოს ეგრეთ წოდებული ფისკალური წყვეტის — ერთდროულად გადასახადების გაზრდისა და 600 მილიარდი დოლარით ხარჯების შემცირების შედეგებს.**

სავარაუდოდ, მას ეს გამოუვა. მესამე ვადით მაინც არავინ აირჩევს, ამიტომ თავისუფლად შეუძლია, თავს არაპოპულარული ზომების მიღების უფლება მისცეს. მაგრამ ქვეყნის შიგნით კრიზისის დარეგულირება პრეზიდენტს ვერ იხსნის საგარეოპოლიტიკური პრობლემების მოგვარების აუცილებლობისგან — ისინი კვლავაც აქტუალურად რჩებიან და შესაძლოა საფრთხედ იქცნენ ამერიკის ეკონომიკისთვის. **აპოკალიფსის ოთხი მხედარი განასახიერებს გამოწვევებს, რომელთა მსგავსებს აქამდე ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი არ შეჯახებია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაფლანგა ის ძლევამოსილება, რომელიც ერთ დროს ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა ამ დრომდეც მსოფლიოში უდიდესია, ქვეყანა დღეს ძალზე ძლიერადაა დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე, განსაკუთრებით ჩინურზე.**

ამერიკის თითოეულ მოქალაქეს უცხოელი ინვესტორებისა დაახლოებით 17,5 ათასი დოლარი მართებს. **ერთ სულ მოსახლეზე დავალიანების საერთო რაოდენობა (შიდა და საგარეო ერთად) 52 ათას დოლარს უტოლდება. თუ დავალიანებას მხოლოდ გადასახადების გადამხდელებზე გადავანაწილებთ, თითოეულს 140 ათასი დოლარი დაედება ვალად.**

აშშ-ის სამხედრო უპირატესობა დაინგრა ერაყსა და ავღანეთში შეჭრის ოპერაციების დაფინანსებით (2003 წელს) „ექსტრემალური ხარჯების" გზით — მასშტაბური სამხედრო ოპერაციები დაიგეგმა იმ ხვრელის გაუთვალისწინებლად, რომლის გაჩენაც მათ შეეძლოთ ქვეყნის ბიუჯეტში. ეკონომისტები: ჟოზეფ სტიგლიცი და ლინდა ბილმასი ამბობენ, რომ ამ ორი ომის საერთო ჯამური ღირებულება, შესაძლოა, უკვე აჭარბებდეს სამ ტრილიონ დოლარს. **რამდენადაც აშშ-ის საგარეო ვალის 42% ჩინეთისა და იაპონიის ხელშია, უკვე შეინიშნება რაღაც კავშირი ამერიკული ჯარის მდგრადობასა და უცხოური კრედიტების ხელმისაწვდომობას შორის.**

აბსოლუტურ მაჩვენებლებში ჩინეთის წილად მოდის მხოლოდ 8% ამერიკის სახელმწიფო ვალიდან, მაგრამ **საბიუჯეტო კრიზისის პრობლემის მოგვარება მაინც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუ აშშ-ს სურს, რომ მომავალშიც ყოველწლიურად 600 მილიონი დოლარი დახარჯოს სამხედრო საჭიროებებზე** (ეს თანხა არ მოიცავს ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯებს). **ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები არ დადგება ფინანსური ავტონომიურობის გზაზე, აპოკალიფსის ოთხი მხედრის წინააღმდეგ მისი პოზიციები უსუსტესი რჩება.**

ზოგიერთი ექსპერი ობამას მიხეილ გორბაჩოვს ამსგავსებს და მიიჩნევს, რომ ის არის ადამიანი, რომელიც „იძულებულია, სახელმწიფოს სათავეში ედგეს პოლიტიკური სისტემის რღვევის პერიოდში და განწირული ეცადოს ამ სისტემის გადარჩენას". აშშ, ეჭვგარეშეა, იმყოფება თავისი ძლევამოსილების აღსასრულის სტადიაში, ამ დროს კი მსოფლიოში ჩნდებიან ახალი ზესახელმწიფოები, რომლებიც წარმატებით იკრებენ პოლიტიკურ წონას. მაგრამ საბჭოთა კავშირთან შედარება არასწორი იქნებოდა, ამერიკა ხომ არ წარმოადგენს მძლავრ „ტერიტორიულ იმპერიას" ამ ფრაზის საბჭოური გაგებით. პარალელები უფრო მეტად შეიძლება ბრიტანეთის იმპერიასთან გაივლოს. თავის ამომწურავ კვლევაში, რომელიც ზესახელმწიფოების აყვავებასა და დაცემას ეძღვნება, ფერნან ბროდელმა მიანიშნა რამდენიმე ფაქტორზე, რომელიც დასასრულისკენ მიმავალი იმპერიებისთვისაა დამახასიათებელი. ეს არის ჭარბი სახსრების არსებობა, რომელსაც ვერსად აბანდებენ, შემოსავლების პოლარიზაციის ნათელი ნიშნები და ის გარემოება, რომ ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც კოლონიალური ბაზრები იყვნენ, ახლა კი ყველაფერი ისწავლეს ჰეგემონისაგან, თავად იწყებენ მისი ინსტრუმენტებისა და სტრატეგიული მეთოდების გამოყენებას, ჩინეთი ახლა ერთპარტიული სისტემის სახელმწიფოში თავისუფალი ბაზრის ელემენტებს ნერგავს. ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინი „დემოკრატია" მოდური სიტყვა გახდა და მისი საშუალებით სხვადასხვა რელიგიური პარტია ხსნის ხელისუფლებისკენ საკუთარ ლტოლვას.

**ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადა ნამდვილად არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ დაღმასვლა თავიდან აიცილოს.** მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის იმპერიის გამოცდილება, შესაძლოა, გამოდგეს იმის გასარკვევად, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს აშშ-მა იმ გამოწვევებზე, რომელთაც შეეჯახა საერთაშორისო არენაზე. მთავარი წესი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს მის შიდა მოთხოვნებს, რადგან იდეალიზმის მსგავსი ფუფუნების უფლება საკუთარ თავს შეიძლება მისცენ მხოლოდ თავიანთი ძლევამოსილების ზენიტში მყოფმა იმპერიებმა.

ბრიტანეთის იმპერიის დაცემის დახასიათებისას სემუელ ადამსონი მიანიშნებდა „საერთაშორისო არენაზე ფუნტი-სტერლინგის პრესტიჟის განზრახ შენარჩუნებაზე, რაც განპირობებული იყო მსოფლიო არენაზე ბრიტანეთის ბატონობის ნათელ დღეებზე ნოსტალგიით, ეს კი დამღუპველად და ძალზე მტკივნეულად აისახებოდა იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, რომლის ხელისუფლებაც ცდილობდა, უპირველეს ყოვლისა, საგარეოპოლიტიკური ამოცანები გადაეჭრა". პოსტიმპერიულ ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკა უბრუნდება განვითარების შუასაუკუნეობრივ ფაზას, რომლისთვისაც დამახასიათებელია რეგიონული ზესახელმწიფოების გაჩენა (ჩვენს შემთხვევაში ეს არის ირანი, ეგვიპტე, ისრაელი და ჩინეთი). აშშ დღეს მსოფლიოს ცენტრალური სახელმწიფო აღარ არის, იგი მხოლოდ შედარებით ძლიერი მოთამაშეა საერთაშორისო არენაზე. ომისშემდგომი ბატონობის ეპოქა დასრულდა, ამიტომ ქვეყნისთვის აუცილებელია ახალი გეოსტრატეგიული ხაზი.

მაგალითისთვის განვიხილოთ დიდი ბრიტანეთი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიული კატეგორიებით მოაზროვნე იმგვარი პოლიტიკური ლიდერების არარსებობის პირობებში, როგორიც უინსტონ ჩერჩილი იყო, ქვეყანას საერთაშორისო პრობლემების დასარეგულირებლად ▶



**ამერიკის თითოეულ მოქალაქეს უცხოელი ინვესტორებისა დაახლოებით 17,5 ათასი დოლარი მართებს**

**სირიის ოპოზიცია ბლეფია. არ არსებობს არანაირი ოპოზიცია, არიან მხოლოდ ბანდიტები, რომლებიც ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად და ძლიერი დამოუკიდებელი რეჟიმის მარიონეტული ხელისუფლებით შეცვლას ცდილობენ.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რამდენიმეჯერ მოუხდა აშშ-ისთვის დახმარების თხოვნა. ეს მოხდა ირანის კრიზისების დროს 1946 და 1951-1953 წლებში, ასევე მაშინ, როდესაც 1956 წელს ბრიტანეთი შეეცადა, დამოუკიდებლად დაერეგულირებინა სუეცის კრიზისი. აშშ იმ პერიოდში უკვე იყო საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო მსოფლიოში კონფლიქტების გადაჭრის საქმეში მთავარი სიტყვა ეთქვა.

დღეს ამერიკისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა საგარეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად რეგიონული ზესახელმწიფოების დახმარებით სარგებლობა. ვაშინგტონმა მრავალჯერ მოახერხა, საერთაშორისო არენაზე საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად სხვა ქვეყნები გამოეყენებინა. მაგალითად, ცსს მხარს უჭერდა პაკისტანის მოჯაჰედებს და ამით ცდილობდა, წინ აღსდგომოდა საბჭოთა ჯარის შეჭრას ავღანეთში, ნიქსონის ადმინისტრაცია კი დგამდა ნაბიჯებს იმისათვის, რომ დაახლოებოდა ჩინეთს 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტების მიზნით.

**სინამდვილეში, ჩინეთი დღესაც ძალზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, რომლის დახმარებამაც შეიძლება ამერიკას აპოკალიფსის ოთხ მხედართან დაპირისპირებაში გამარჯვებაც კი მოუტანოს. მაგალითად, განვიხილოთ ირანის პრობლემა. თეირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მხოლოდ მაშინ ამუშავდა, როდესაც პეკინი დათანხმდა ირანთან კომერციული ურთიერთობების შეზღუდვას. ჩინეთი თავისუფლად შეიძლება აშშ-ის მოკავშირედ იქცეს იმ ექსტრემისტული რეჟიმების მოძრაობის წინააღმდეგ, რომლებიც უკვე არიან ან ახლა აპირებენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებაში მოსვლას. თეირანმა, შესაძლოა, გადახედოს თავის ბირთვულ სტრატეგიას, თუ სანქციები მკაცრი დარჩება, პეკინი კი მათთან საქმეს არ დაიჭერს. შესაძლოა, მომავალში საკუთარ თავზე ანალოგიური როლი აიღოს ინდოეთმაც. ასე რომ, მოდელი, რომლის საფუძველიც შეკავებაა, შესაძლებელს გახდის რეგიონში რუსეთის გავლენის შეზღუდვას.**

ჩინეთის მონაწილეობის შემთხვევაში ახალ პოლიტიკას შეეძლება აზიაში საქმიანი აქტივების ვარდნის რისკის შემცირება და აშშ-ის ფედერალურ სარეზევო სისტემაში ჩინური ფულის დინებების ძველებურ დონეზე შენარჩუნება, სულ მცირე, იმ დრომდე, ვიდრე ამერიკა თავისი ბიუჯეტის რესტრუქტურიზებას არ მოახდენს.

**ახალი სტრატეგია აუცილებლად მოითხოვს ბალანსის შეცვლას წყნარი ოკეანის რეგიონში, მაგრამ ეს ბოროტებათაგან ყველზე ნაკლები ბოროტება იქნება, რადგან ნაკლებსავარაუდოა, რეალობად იქცეს ოცნებები გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან და 16 ტრილიონი დოლარის სახელმწიფო ვალისგან განდგომილი მსოფლიო ბატონობის შესახებ.**

The European

# მართლმსაჯულების ეტალონი: ხორვატელ გენერლებს გენოციდი აპატიეს



**ყოფილი ხორვატი გენერლები: ანტე გოტოვინა და მლადენ მარკაჩი, რომელთაც შარშან სერბების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს სდებდნენ ბრალად, გათავისუფლდებიან. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა ყოფილი იუგოსლავიის საკითხთა საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ. სერბეთში შეძრწუნებულნი არიან იმის გამო, რომ ხორვატელი „დამნაშავე №1“ და მისი კოლეგა უდანაშაულოდ სცნეს.**



მლადენ მარკაჩი და ანტე გოტოვინა

„სასამართლომ განიხილა აპელაცია და აცხადებს, რომ გოტოვინა და მარკაჩი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გამართლებულნი და გათავისუფლებულნი“, — განაცხადა მოსამართლე თეოდორ მერონმა.

1995 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მიმდინარე საომარი მოქმედებებისას არსებობა შეწყვიტა თვითაღიარებულმა სერბულმა რესპუბლიკამ, რომელმაც ხუთი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სერბული ანკლავის კიდევ 90 ათასი მოსახლე ძალადობრივად იქნა დეპორტირებული, ათიათასობით ადამიანი დევნილად იქცა.

გოტოვინასა და მარკაჩის სასამართლო პროცესი მხოლოდ შარშან დასრულდა. ექსსამხედრო მეთაურები დამნაშავედ სცნეს „დევნაში, გამოსახლებაში, ძარცვაში, მკვლელობაში, სასტიკ მოპყრობასა და არაჰუმანურ ქმედებებში“ სერბული მოსახლეობის მიმართ. **სერბმა ექსპერტებმა წარმოადგინეს საკუთარი ციფრები: კონფლიქტის დამასრულებელი ოპერაცია „ნამქერის“ შედეგად დაიღუპა და დაიკარგა ორი ათასი სერბი, მათგან ნახევარი სამოქალაქო პირი იყო, 250 ათასზე მეტი ადამიანი დევნილად იქცა. გოტოვინს, რომელიც ემალებოდა მართლმსაჯულებას და მხოლოდ 2005 წელს დააკავეს კანარის კუნძულებზე, 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მარკაჩს კი — 18 წელი.**

სააპელაციო პალატამ კი ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა იმ დანაშაულის მტკიცებულებები, რომლის მიზანიც ანკლავიდან სერბების განდევნა იყო. ქალაქების დაცხრილვაც ასევე არ იყო „უკანონო და გადამეტებული“ ზომა. სამხედრო მეთაურები დამნაშავედ სცნეს მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ გამოიძიეს ხორვატი სამხედროებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ადრე მათი დანაშაული აღიარა ხორვატიის ექსპრეზიდენტმა სტეფან მესიჩმა და, როგორც ამბობდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ იცოდა ამ ქმედებების შესახებ და ხორვატულ მხარეს სინამდვილეში უფრო მეტი დანაშაული მოხდა, ვიდრე საზოგადოებისთვისაა ცნობილი.

ახლა ექსპერტები აცხადებენ, რომ საბოლოო ვერდიქტს არანაირი კავშირი არ აქვს საერთაშორისო მართლმსაჯულებასთან და აღნიშნავს საერთაშორისო სამართლის რღვევას მთელი მსოფლიო წესრიგისთვის უზარმაზარი და სერიოზული შედეგებით. რაც ყველაზე უცნაურია, სერბეთის ხელისუფლების მხრიდან რაიმე რეაქციას ადგილი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ მან უნდა დაიცვას თავისი ხალხი და ისტორიული რეალობა.

ასეა თუ ისე, ხორვატიაში გენერლები ეროვნულ გმირებად ითვლებიან. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზორან მილანოვიჩი ამბობს, რომ ომის დროს მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული, მაგრამ ამისთვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უნდა დაეკისროს და არა სამხედრო ხელმძღვანელებს.

km.ru

# გინდათ იცოდეთ, რა ხდება სინამდვილეში?

**არსებობს ერთი პატარა ქვეყანა — ყატარი და იქ ბევრი ბუნებრივი გაზია. ამ გაზის ტრანსპორტირება ძალიან ხარჯიანი საქმეა, ყოველ შემთხვევაში, იმ ტექნოლოგიებით ტრანსპორტირება, რომლებიც დღეისათვის არსებობს. მაგრამ ფული, თანაც რაც შეიძლება ბევრი, ყველას უნდა.**



ევროპის ბაზარსაც უნდა არაბული გაზი, რადგან მას არაფრისდიდებით არ სურს, დამოკიდებული იყოს გაზპრომზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მეგობრობას ეფიცებიან, მისთვის ეს ქვეყანა იყო და რჩება მტრად. ურჩევნიათ, ძვლების გასათბობად საწვავი არაბებისგან იყიდონ, შემდეგ კი შეუდგნენ ეკონომიკის შესუსტებას, ბიუჯეტის განადგურებას, ნებისმიერი ძლიერი ხელისუფლების დადანაშაულებას ტირანიაში... რითაც მთავრდება ხოლმე მსგავსი შეტევები, ყველამ ვნახეთ ლიბიისა და ეგვიპტის მაგალითზე. მათ ეს სურთ.

მაგრამ არსებობს სირთულეები, რომელთა არსიც ისაა, რომ **საჭიროა ყატარის ევროპასთან დამაკავშირებელი გაზსადენი. ეს გაზსადენი კი, სირიის გარდა, ვერსად გაივლის. ასადის რეჟიმი ამგვარი პროექტისთვის ძალზე შეუსაბამოა, არც ყატარი და არც ევროკავშირი მზად არ არიან, დამოკიდებულნი იყვნენ იმ ძლიერი ქვეყნის ნებაზე, რომელიც ამავე დროს მოსკოვის გავლენის ქვეშაა. ასე რომ, დემოკრატიისა და ადამიანური ფასეულობებისთვის მებრძოლთა ლოგიკით, საჭიროა ამ რეჟიმის შეცვლა.**

სირიაში გაგზავნილი დაქირავებულები ვერაფერს ხდებიან, რადგან შეუძლებელია მოერიო ხალხს. არმია და ხალხი უმკლავდებიან ბოევიკებს. **სირიის ოპოზიცია ბლეფია. არ არსებობს არანაირი ოპოზიცია, არიან მხოლოდ ბანდიტები, რომლებიც ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად და ძლიერი დამოუკიდებელი რეჟიმის მარიონეტული ხელისუფლებით შეცვლას ცდილობენ.** მაგრამ ბანდიტები ვერაფერს ხდებიან კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ არმიასთან და, რაც მთავარია, ხალხთან.

**ევროპას სამხედრო ოპერაცია სჭირდება, რომ ნატოთი დაეცეს სირიას და გასრისოს ნამდვილად კანონიერი ხელისუფლება.** მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ყველა იძულებულია, სიტყვიერად მაინც იყოს ჰუმანისტი. ასადის საწინააღმდეგო პროპაგანდა ფაქტებს ვერ უპირისპირდება. საჭიროა იმდენად წონადი მიზეზი, რომ უშიშროების საბჭოს თანხმობაც კი აღარ იყოს საჭირო. ასეთი მიზეზია, მაგალითად, ნატოს წევრ ქვეყანაზე თავდასხმა და თურქეთი ამისთვის შესანიშნავი მაგალითი იყო.

მაგრამ **თურქეთს არ სჭირდება ეს ომი.** სირიის არმია სტამბოლამდე მივა, ვიდრე ბრიუსელში გაინძრევიან. ბრიუსელი კი სულაც არ აჩქარდება — მას ხომ რაც შეიძლება მეტი სისხლი და მხეცობა სჭირდება. **თურქეთი დარჩება განადგურებული ტურისტული ინფრასტრუქტურით.**

მას აშანტაჟებენ. **თურქეთს ევროკავშირში სურს შესვლა და ამ ანკესზე წამოგებულს, რასაც უნდათ, იმას აკეთებინებენ,** თუმცა არა ამჯერად. თურქებმა აწონ-დაწონეს და ჯერჯერობით უკან დაიხიეს. **მაშ, ვიღა უნდა ყოფილიყო ასადის მსხვერპლი? ვინ და მშვენიერი მეზობელი — ისრაელი.** ბოევიკები უმალ გადაცვივდნენ თურქეთის საზღვრიდან მეორე მხარეს და ახლა იქეთ ატეხეს სროლა. ისრაელმაც მსუბუქი პასუხი გასცა, მაგრამ ასეთი პასუხი სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროკავშირში ხელს არავის აძლევს. საჭიროა, რომ ისრაელმა საერთოდ გათელოს სირია.

ისევ ებრაელები უნდა გამოიყვანონ მონსტრების როლში, ისევ ისინი უნდა შეაზიზღონ მთელ კაცობრიობას...

ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც შეიძლებოდა სახელმწიფო დეპარტამენტისთვის უარის თქმა, ომია და ნეთანიაჰუმაც დაიწყო ომი, ოღონდ ღაზას სექტორში...

„სახელმწიფო დეპარტამენტო, ჩვენ დაკავებულნი ვართ, ევროკავშირო, ჩვენ აქ საკუთარი ომი გვაქვს“.

ჰამასიდან პალესტინელი მეგობრები სიამოვნებით ასახიერებენ მტერს, მათაც სჭირდებათ ძლიერი სირია, რომელიც ნეონაცისტების რკინის ფეხით არ გაითელება.

miss-tramell

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი ყველაზე საარაკო მხეცობების უმეტესობა სწორედ იმის დამსახურებაა, რომ არმიამ შეარბილა დამნაშავეების, რასისტებისა და ბანდიტური დაჯგუფებების წევრების საკუთარ რიგებში მიღების პირობები.**

# აშშ-ის თანამედროვე არმია: მსახურებისთვის უვარგისია

**აშშ-ის შეიარაღებული ძალების უცნობ შინაგან სამყაროში მოგზაურობა 2008 წლის მარტის წვიმიანი სამშაბათის დილით შტატ ფლორიდაში ქალაქ ტამპის ძებნით დაიწყო. მიზანი ფორესტ ფოგარტთან შეხვედრაა. ეს არის ამერიკელი პატრიოტი, რომელიც ერაყში ამერიკის არმიის შემადგენლობაში ორი წელი მსახურობდა. ფოგარტი ამავე დროს თეთრკანიანთა ბატონობის მომხრეა და მათი წარმომადგენელი, ვინც სერიოზულად ეთაყვანება ჰიტლერს. შეხვედრა შედგა მის საყვარელ რესტორან „Winghouse Bar & Grill"-ში. მანამდე კი ხანმოკლე სატელეფონო საუბარში ფოგარტმა საკუთარი თავის ამოსაცნობად ასეთი მინიშნება გააკეთა: „მოძებნეთ ტატუებიანი სკინხედი". მართლაც, იგი მთლიანად დაფარული აღმოჩნდა ტატუებით, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი და ბიცეფსები საგრძნობლად გამობერილი.**


ფორესტ ფოგარტი

როგორც ფოგარტი ყვებოდა, ლოს-ანჯელესის საშუალო სკოლაში მას აწვალებდნენ მექსიკელი და აფროამერიკელი ბავშვები და მხოლოდ თოთხმეტი წლის იყო, როდესაც გადაწყვიტა, ნაცისტი ყოფილიყო. ახლა მას საკუთარი მრწამსის სულაც არ ერიდება. როდესაც მის ახლოს შავკანიანები აღმოჩნდებიან, ბუზღუნს იწყებს და ამბობს, რომ არ სურს, მათ სიახლოვეს შავკანიანები იყვნენ, არ სურს მათი დანახვა.

ახალგაზრდობაში ფოგარტი გატაცებული იყო იან სტიუარტ დონალდსონით, ბრიტანულ ჯგუფ „Skrewdriver"-ის ლეგენდარული მომღერლით, რომელსაც ნეონაცისტურ მუსიკალურ სამყაროში ეთაყვანებიან, როგორც ნამდვილ გმირს. 16 წლის ფოგარტს უკვე ამშვენებდა პირველი ტატუ მხარზე, ნეონაცისტების ნიშანი — **სეკირათი შეიარაღებული ვიკინგის გამოსახულება.** სულ მალე მან ახალი ტატუ გაიკეთა. ამჯერად დაიხატა **კელტური ჯვარი,** რომელიც ასევე ნეონაცისტების „შეიარაღებაში" შემავალი ირლანდიური სიმბოლოა. რამდენიმე წლის შემდეგ მან საკუთარი მუსიკალური ჯგუფი ჩამოაყალიბა და „შეტევა" უწოდა. ახლა ეს აშშ-ში ერთ-ერთი უდიდესი ნაცისტური ჯგუფია, თუმცა მის მთავარ სამუშაოს ეს არ წარმოადგენდა. **„სკოლის დამთავრების შემდეგ ლანდშაფტის დიზაინის სფეროში ვმუშაობდი. რაღაცნაირად მივეჩვიე ამას. არ მადარდებდა, რასაც ვაკეთებდი, უბრალოდ, ვსვამდი და ვჩხუბობდი",** — ამბობს ახლა.

მომავალი რვა წლის მანძილზე მან უამრავი სამუშაო ადგილი გამოიცვალა მშენებლობებსა და გამწვანების სამსახურებში. სწორედ იმ პერიოდში დაუკავშირდა იმ დროისთვის აშშ-ის ერთ-ერთ უდიდეს ნეონაცისტურ ორგანიზაციას — **„ნაციონალურ ალიანსს".**

**ფოგარტი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ჩაწერილი პირველი ექსტრემისტი არაა. ნეონაცისტური მოძრაობა, დიდი ხანია, მჭიდრო კავშირშია აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან. ორგანიზაციის დაარსების წუთიდანვე თეთრკანიანთა ბატონობის მოძრაობის ლიდერები იწონებდნენ და აფასებდნენ თავიანთი წევრების არმიაში შესვლას. ისინი ამას განიხილავენ, როგორც საშუალებას საკუთარი მიმდევრებისთვის, გაიარონ საბრძოლო მომზადება და მიიღონ იარაღთან ურთიერთობის გამოცდილება, რასაც უხვად სთავაზობს აშშ-ის ხელისუფლება, შემდეგ კი ამ გამოცდილებით დაბრუნდნენ სახლში, რათა იქ აწარმოონ რასობრივი ომი.** ყველა ულტრამემარჯვენე დაჯგუფება არ ეთანხმება ამას, ზოგიერთი, მაგალითად, კუ-კლუქს-კლანი აცხადებს, რომ დემოკრატიულ მიდგომას ამჯობინებს, მაგრამ მოძრაობის დიდი ნაწილი თავს მეამბოხე ძალად მიიჩნევს, ამგვარი მიდგომისას კი პროფესიონალური სამხედრო მომზადება აუცილებელი პირობაა.

აშშ-ის ხელისუფლებამ დიდი ხანია იცის, რომ ეს ჯგუფები აშშ-ის არმიაში შეღწევას ცდილობენ, მაგრამ მხოლოდ 1996 წელს აეკრძალათ რასისტებსა და ნაცისტებს შეიარაღებულ ძალებში შესვლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მედესანტე ნეონაცისტმა, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ფორტ-ბრეგში იყო დისლოცირებული, ორი შავკანიანი მოკლა. ფოგარტი ჯარში ერთი წლის შემდეგ ჩაეწერა.

მან მშვენივრად იცოდა, რომ სვირინგი პრობლემას შეუქმნიდა ჯარში მოხვედრის საქმეში. ნეონაცისტურ იატაკქვეშეთში, რომელიც შეპყრობილია გასაიდუმლოებით, რასისტული სვირინგები ექსტრემიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალნათელ მაჩვენებლებად რჩება და სიტუაციის კონტროლის მცდელობით აშშ-ის შეიარაღებული ძალები წვევამდელთაგან ყოველი სვირინგის თაობაზე ითხოვენ ახსნა-განმარტებას. **„მათ, უბრალოდ, მითხრეს, რომ ახსნა-განმარტება დამეწერა ყველა სვირინგის შესახებ, მეც რაღაც გამოვიგონე და ამით დამთავრდა ყველაფერი",** — იხსენებს ფოგარტი.

ფოგარტის კანდიდატურის მოწონებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მისი ყოფილი მეგობარი ქალი და მისივე უფროსი შვილის დედა შეიარაღებულ ძალებს დაუკავშირდა. ფოგარტის თქმით, ქალმა მის სამხედრო მეთაურებს გაუგზავნა იმ ფოტოების ნაკრები, რომლებზეც იგი აღბეჭდილია თეთრი რასისტებისა და ნეონაცისტების მიტინგებსა და ყრილობებზე, ასევე თავის ჯგოფ „შეტევასთან" ერთად რასისტული როკის შესრულებისას. **„მათ გამომიძახეს რაღაც კომიტეტზე და მაჩვენეს ფოტოები. მე, უბრალოდ, უარვყავი ყველაფერი. კომიტეტმა მშვენივრად იცოდა, ვინ ვარ და რა ვარ, მაგრამ ეს საქმე დაამუხრუჭა, რადგან მე ძალიან კარგი ჯარისკაცი ვარ",** — ამბობს ფოგარტი.

**ფორგატი რეზერვში იყო, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, 2004 წელს არ გაგზავნეს იქ, სადაც დიდი ხანია სურდა მოხვედრა — ერაყში. ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებამდე იგი შეუერთდა ორგანიზაცია „ჰემერსკინს", რომელსაც ანტიდიფამაციური ლიგა ახასიათებს, როგორც ყველაზე სასტიკსა და ყველაზე კარგად ორგანიზებულ ნეონაცისტურ სკინხედურ ორგანიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

ახლა ფოგარტი ირწმუნება, რომ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების უმეტესმა ნაწილმა იცოდა, რომ ნეონაცისტია. „ჩემს ნაწილში ამის შესახებ ყველამ იცოდა, ისინი მუდამ ხუმრობდნენ ამაზე და სკინხედს მეძახდნენ", — ამბობს იგი. ფოგარტს იმდენად სჯეროდა შეიარაღებული ძალებისგან კარტ-ბლანშისა, რომ 2004 წლის შვებულებაზე, იმის ნაცვლად, რომ ოჯახის მოსანახულებლად გამოეყენებინა, გერმანიაში გაემგზავრა არმიის ხარჯებით და კონცერტი ჩაატარა დრეზდენში 2500 სკინხედისთვის.

თეთრკანიანების ბატონობის მომხრეთაგან კიდევ ერთი რასისტი, ფორტ ბრეგში დისლოცირებული სამხედრო დაზვერვის ოფიცერი **ჯეიმს დუგლას როსი** არმიიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს ცუდი ქცევის გამო, რაც ფაქტზე დაიჭირეს: **იგი ერაყიდან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის გაგზავნას აპირებდა ფოსტით ვაშინგტონის შტატის სპოკანში მდებარე მამისეულ სახლში**. სამხედრო პოლიციამ აღმოაჩინა თეთრების მოძრაობის ატრიბუტიკით სავსე სამალავი და რამდენიმე ერთეული იარაღი, რომელიც როსის სამხედრო ბინის ჭერის ფილების უკან იყო დამალული. გათავისუფლების შემდეგ სპკანის საგრაფოს შერიფის თანაშემწემ ნახა, თუ როგორ არიგებდა როსი ნეონაცისტური ნაციონალური ალიანსის ფურცლებს. 2012 წელს კი გაჩნდა ფოტო, რომელიც ავღანეთის ქალაქ სანგინში საზღვაო ქვეითების სნაიპერთა ქვედანაყოფმა გადაიღო. მასზე ათი სნაიპერი ესესელთა ელვების დროშის ფონზეა აღბეჭდილი. სამხედროების განცხადებით, ჯარისკაცებისთვის უცნობი იყო ამ სიმბოლიკის მნიშვნელობა.

**არმიაში ამ პრობლემის მასშტაბები რთულად ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას. სამხედროები არ ეძებენ ექსტრემისტებს, როგორც ცალკე კატეგორიას, არამედ აერთიანებენ მათ ბანდიტური დაჯგუფებების წევრებთან, ნეონაცისტური მოძრაობების წყაროები კი სხვადასხვა ციფრს ასახელებენ. ნაციონალური სოციალური მოძრაობა აცხადებდა, რომ არმიის შემადგენლობაში მისი 190 წევრია.** თეთრი რევოლუცია აცხადებს 12 წევრის შესახებ, თეთრ რასისტებთან დაკავშირებულ შემთხვევებში 2001-დან 2008 წლამდე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 203 ყოფილი სამხედრო მოსამსახურე გამოავლინა. ვინაიდან გამოძიების ფედერალური ბიურო ითვალისწინებს მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებულ შემთხვევებს, მის მიერ დასახელებული ციფრი არ მოიცავს იმ უამრავ ექსტრემისტ ჯარისკაცს, რომლებიც ვერ მოხვდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს თვალთახედვის არეალში. სამაგიეროდ, ბიურო თავის ანგარიშში ხსნის, თუ რატომ სურთ რასისტულ და ნაცისტურ ორგანიზაციებს ვეტერანების გადაბირება. ისინი შეიძლება გამოდგნენ აკრძალულ ზონებთან დაშვების, დაზვერვის მონაცემების მოპოვების ან იარაღთან მოპყრობის სპეციალური მომზადების გასავლელად. მაგალითად, 2007 წელს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტს, რომელსაც თეთრების მოძრაობის წევრად თვლიდნენ, ფორტ-ბრეგის საჰაერო-სადესანტო დივიზიის ორი რიგითი გარკვეული თანხის სანაცვლოდ აძლევდა ჯავშანჟილეტებს, ჯავშანჩაფხუტებს და მორფინის ჩათვლით სხვადასხვა სახეობის ტკივილგამაყუჩებლებს. ანგარიშში ასევე ასახულია სამხედროების გადაბირების რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 2003 წელს ექვსი ჯარისკაცი ფორტ-რაილში აღმოჩნდა ნეონაცისტური დაჯგუფება „არიელი ხალხების" წევრი და დაკავებულნი იყვნენ სხვა ჯარისკაცების გადაბირებით, უფრო მეტიც, კანზასის შტატში გამოდიოდნენ, როგორც არიელი ხალხის წარმომადგენლები.

მოკლედ

## როგოზინი «წმენდას» არ გამორიცხავს

**რუსეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი როგოზინი, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს კურირებს, უახლოეს მომავალში დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურაში მორიგ ხმაურიან გათავისუფლებებს არ გამორიცხავს.**

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ „როსკოსმოსმა" ერთ-ერთი დაქვემდებარებული საწარმოს „რუსეთის კოსმოსური სისტემების" გენერალური დირექტორი იური ურლიჩი თანამდებობიდან მოხსნა. მიზეზი კომპანიის ხელმძღვანელი პირების მიერ სისტემა „გლონასის" შექმნისთვის გამოყოფილი თანხებიდან 6,5 მილიარდი რუბლის დატაცება გახდა. როგოზინის თქმით, სახელმწიფო ფულის „აორთქლებასთან" დაკავშირებით, უახლოეს მომავალში არა მხოლოდ ურლიჩის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. „გლონასის" (რუსული თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა) შექმნისას სახელმწიფო სახსრების დატაცებასთან დაკავშირებულ სკანდალს უკვე შეეწირა „როსკოსმოსის" ექს-დირექტორი ანატოლი პერმინოვი. როგოზინის მტკიცებით, სამხედრო-სამრეწველო სფეროში მსგავსი ფაქტები მრავლადაა. შესაბამისად, ის მსხვილი საწარმოების დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს.



**„ტერორიზმთან ომის“ პერიოდში ყოველმა მესამე ჯარისკაცმა ქალმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა ჯარში. დღეს ამერიკულ ჯარში ქალებს თანამებრძოლებისგან გაუპატიურების უფრო მეტი საფრთხე ელით, ვიდრე მტრისგან მოკვლის. არავინ იცის, რამდენი ქალი და გოგონა გააუპატიურეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ანალოგიური სისასტიკით, მაგრამ ერთეული ცნობილი შემთხვევებიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ქმედებებისთვის, როგორც წესი, არავინ ისჯება.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **დაუსჯელობის ხარისხი, რომლითაც სარგებლობს ფოგარტი და კიდევ სხვა ექსტრემისტების დაუდგენელი რაოდენობა, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დაძაბულობის ატმოსფერო შექმნა.** ჰანტერ გლასი 1980-იან წლებში მედესანტე იყო, 1999 წელს კი ბანდიტურ დაჯგუფებებთან მებრძოლი პოლიციელი გახდა. „2000 წელს სამხედროები სერიოზულად ეკიდებოდნენ ახლების შერჩევის საქმეს, 9/11-ის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა, ახლა მთავარი წესია იგნორირება, ვიდრე ადამიანი ცუდად არ მოიქცევა.

**სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი ყველაზე საარაკო მხეცობების უმეტესობა სწორედ იმის დამსახურებაა, რომ არმიამ შეარბილა დამნაშავეების, რასისტებისა და ბანდიტური დაჯგუფებების წევრების საკუთარ რიგებში მიღების პირობები.** ეს თავად ჯარზეც ახდენს გავლენას. მაგალითად, **ინტელექტისა და სხეულის მასის მიხედვით მოთხოვნათა შემცირებამ შეამცირა სამხედრო ძალების ოპერატიული მზადყოფნა და უდავოდ დააყენა საფრთხის წინაშე სამხედროთა სიცოცხლე ამერიკისა და მოკავშირეების ჯარებში.** ამ სისულელისათვის, ალბათ, ასობით ჯარისკაცმა საკუთარი სიცოცხლით გადაიხადა.

2007 წლის 1 დეკემბერს კევინ შილდსი კოლორადოს შტატის კოლორადო-სპრინგსში თავის სამ თანამებრძოლთან — ლუის ბრესლერთან, კენეტ ისტრიჯთან და ბრიუს ბასტიენ-უმცროსთან ერთად მოხვედრილ ინციდენტში მოკლეს. ეს ბიჭები ერაყში მსახურობდნენ მეორე ქვეითი დივიზიის მეორე ბრიგადულ ტაქტიკურ ჯგუფში. ბრესლერმა და ბასტიენმა 60-60 წლით თავისუფლების აღკვეთა მიიღეს მკვლელობაში მონაწილეობასა და კოლორადო-სპრინგსში მათ მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულთა გრძელი სიის გამო. ისტრიჯი თანამონაწილეობისთვის 10-წლიან სასჯელს იხდის. დაპატიმრების შემდგომ პერიოდში გაჩნდა ისტრიჯის ფოტოები, რომლებზეც ის ამაყად წარმოგვიდგენდა თავის ესესელების სიმბოლიკიან სვირინგებს. დაკავების შემდეგ ბასტიენმა გამომძიებლებს უამბო, რომ ის და ისტრიჯი ერაყში შემთხვევით გამვლელ სამოქალაქო პირებს ესროდნენ ბაღდადის ქუჩების პატრულირებისას. **როგორც ბასტიენი ირწმუნება, დღისით, მზისით, ისტრიჯი იყენებდა მოპარულ „AK-47“-ს, რათა განურჩევლად ესროლა ერაყის მშვიდობიანი მოსახლეებისათვის. „ჩვენ მოგვწონდა სროლა, — თქვა შენაერთის კიდევ ერთმა წევრმა ხოსე ბარკომ, რომელიც 52-წლიან სასჯელს იხდის სროლისა და ორსული ქალის დაჭრისათვის კოლორადო-სპრინგსში. — შეგვეძლო ცეცხლი გაგვეხსნა, ვისთვისაც გვსურდა. ისინი შეიარაღებულნიც კი არ უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ ამაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით“.** ამ დრომდე არავინაა ბრალდებული ერაყში სამოქალაქო პირებისათვის ცეცხლის გახსნის გამო.

შეიარაღებულ ძალთა მეთაურობა არა მხოლოდ იგნორირებით პასუხობდა ისტრიჯის ექსტრემიზმს, არამედ დავალებიდან დაბრუნების შემდეგ ის ორდენითა და მედლით „დამსახურებისთვის“ დააჯილდოვა. ისტრიჯის ადვოკატი შეილა მაკატირი ირწმუნება, რომ **მაშინ შეგნებულად აგზავნიდნენ ერაყსა და ავღანეთში ფსიქიურად გაუწონასწორებელ ჯარისკაცებს: „სამხედროებმა თითქმის დაკარგეს იმედი, რომ ბრძოლაში გასაგზავნად ხალხის შეგროვებას შეძლებდნენ. ჯარისკაცები მსახურებისთვის არ გამოდგებოდნენ, ფსიქიურად და ფიზიკურად ავადმყოფები იყვნენ, ისინი კი განაგრძობდნენ ბრძოლებში მათ გაგზავნას. სვირინგების არსებობა უკანასკნელი რიგის სადარდებელი იყო“.**

2012 წლის მარტში ამერიკელი ჯარისკაცი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სამხედრო მოქმედებებში მეოთხე მივლინების პერიოდში ავღანეთის სამხრეთით მდებარე თავისი ბაზიდან გამოვიდა და ატეხა სროლა. შედეგად მან ოცამდე ავღანელი მოკლა, მათ შორის ცხრა ბავშვი. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 38 წლის ეჭვმიტანილი, აშშ-ის არმიის სერჟანტი რობერტ ბეილსი გამოგზავნილი იყო ვაშინგტონში მდებარე ლუის-მაკორდის გაერთიანებული ბაზიდან, სადაც ამ მოვლენებამდე სულ რაღაც ოთხი თვით ადრე სამხედრო ჟიურიმ ავღანეთის „სიკვდილის რაზმის“ წევრი წინასწარგანზრახულ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.

პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა სამხედროთათვის ახალი არაა, მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ფსიქოლოგიური აშლილობების მქონე ჯარისკაცების კვლავ საბრძოლო ოპერაციებში გაგზავნა, თანაც ასე დიდი რაოდენობით, ნამდვილად სიახლეა. „შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის მქონე ადამიანებს კვლავ უკან გზავნიან, — აცხადებს ფსიქიატრი, დოქტორი არტურ ს. ბლანკი, — ადრე ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდებოდა“. უფროსმა სამხედრო ექსპერტმა ფსიქიური ჯანმრთელობის საკითხებში, პოლკოვნიკმა ელსპეტ რიჩმა, არაორაზროვნად აღიარა, რომ **მრავალი ფსიქიურად დაავადებული ჯარისკაცის კვლავ ბრძოლის ველზე გაგზავნის მიზეზი აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის პირად შემადგენლობაში სულ უფრო მეტი ხალხის საჭიროებაა. „სირთულე ისაა, რომ არმიის ამოცანა ბრძოლაა, გადაბირება კი უკიდურესად პრობლემური საქმე იყო. ამრიგად, ჩვენ ამოცანები ჯარისკაცების პირადი საჭიროებების შესაბამისად უნდა დავსახოთ“.**



**ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ჩაეწერა 43 077 ჯარისკაცი, რომლებიც ადრე ნასამართლევნი იყვნენ სერიოზული კანონდარღვევების, მათ შორის ფიზიკური ძალადობისთვისაც. კიდევ 58 561 ადრე ნასამართლევი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. ყველა ამ ჯარისკაცს ხელში იარაღი მოსცეს და ახლო აღმოსავლეთში გაუშვეს**

ბრედლი მენინგი, „ვიკილიკსის“ სავარაუდო წყარო აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, წვევამდელების ფსიქიური ჯანმრთელობისადმი უყურადღებობის კიდევ ერთი მაგალითია. მენინგი „რთული ბიჭი“ იყო, რომელიც ერაყში არ უნდა გაეგზავნათ, — ამბობს მისურში სამხედრო ბაზის ოფიცერი ფორტ ლეონარდ ვუდი. სწორედ ამ ბაზაზე გადიოდა სწავლებას მენინგი 2007 წელს. მენინგზე ახლახან გამოსული წიგნის ავტორი ჩეიზ მარადი კი ამბობს: „მას არასდროს გააჩერებდნენ ჯარში, რომ არა 2007 წელს გადაბირების რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი. სწორედ ამ დროს მივიდა ჯარში მენინგი“. **ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც მენინგი ერაყში მოხვდა მისი გამოუსადეგრობის შესახებ არაერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ, იყო ის, რომ ამერიკას გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა „ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკური ცოდნის მქონე პირთა გადაბირების ისტორიულად დაბალი მაჩვენებლის გამო“.**

ახლები გამოუსადეგარნი იყვნენ როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივადაც. 1993 წელს ახალწვეულთა 23%-ზე მეტს ჭარბი წონა ჰქონდა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2006 წლისთვის კი ჭარბწონიანი ჯარისკაცების რაოდენობა 27%-მდე გაიზარდა. ჭარბი წონის მქონე ახალწვეულთათვის, გამონაკლისის დაშვების მიზნით, გამოყენებულ იქნა „გათავისუფლება სამედიცინო მოთხოვნებისგან“.

**საერთოდ, პოტენციურ ახალწვეულებისთვის არსებობს სამი ყველაზე გავრცელებული წინააღმდეგობა. ესენია: არასრული საშუალო განათლება, ნასამართლეობა და ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის ჭარბწონიანობაც.** ნასამართლეობას გაუმკლავდნენ „ზნეობრივი მოთხოვნებისგან გათავისუფლების“ საშუალებით, ჭარბწონიანობას კი „სამედიცინო მოთხოვნებისგან გათავისუფლების“ დახმარებით, მაგრამ საშუალო განათლების მოთხოვნას ასე იოლად ვერ აუარეს გვერდი, რადგან ეს მნიშვნელოვნად მოქმედებდა ოპერატიულ მზაობაზე. მაგრამ ამ გაუნათლებლებისთვისაც არსებობს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მოხვედრის მარტივი გზა — საშუალო განათლების ატესტატის ექვივალენტური სერთიფიკატი, რომელსაც აძლევდნენ კიდეც წვევამდელებს, რომლებიც საკმაოდ კარგად აბარებდნენ შეიარაღებულ ძალებში მოხვედრის გამოცდას. ახლა აშშ-ის არმია დაახლოებით 15%-ს სწორედ ასეთი სერთიფიკატებით იღებს და უფრო მეტიც, **ახალგაზრდა ამერიკელებისათვის ჯარში მსახურებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მისაღებად არმიამ თავისი პირველი მოსამზადებელი სკოლაც კი გახსნა.**

„ტერორიზმთან ომის“ პერიოდში ახალგაზრდების გადაბირებაში ჩადებული სახსრები მკვეთრად გაიზარდა. მხოლოდ ერთ წელიწადში გაჩნდა ათასობით რეკრუტერი, რომელთაც უფროსკლასელებისთვის სამხედრო აზროვნება უნდა შთაენერგა. რეზერვის უმცროსი ოფიცრების სასწავლო კორპუსმა თავისი ფილიალები მთელ ქვეყანაში გაფანტა — არც ერთი ბავშვი არ დარჩენილა ყურადღების გარეშე, 11 წლისანიც კი მონაწილეობდნენ მის პროგრამებში. **ჩიკაგოში ყოველ მეათე მოსწავლეს სამხედრო ფორმა ეცვა და სროლის გაკვეთილებს იღებდა თანამდებობიდან გადამდგარი სამხედროებისგან.**

ერთ-ერთი მთავარი სტიმული ფული იყო — 16 წლის მოზარდის თვალთახედვით, ძალიან ბევრი ფული. **2005 წელს არმიამ ახალწვეულთათვის საშუალო პრემია 14-დან 17 ათას დოლარამდე გაზარდა. გადაბირებისთვის რთული ვაკანსიების შემთხვევაში, ეს პრემია ხანდახან 30 ათასსაც კი აღწევდა. შეიარაღებული ძალების მეორე ლოზუნგი იყო „ჩაეწერე შეიარაღებულ ძალებში და მიიღე უფასო განათლება“. ღატაკი ოჯახების შვილებს ამ შემოთავაზებაზე უარის თქმა უბრალოდ არ შეეძლოთ.**

ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის ანგარიშმა „წარუმატებლობის ჯარისკაცები“ აჩვენა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მართლაც მოქმედებდა საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით, რომლის თანახმადაც აკრძალულია 18 წლამდე ასაკის მოქალაქეთა გადაბირება სამხედრო სამსახურისთვის. თუმცა ამ დასკვნისათვის მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია.

შეიარაღებულ ძალებში ჰომოსექსუალიზმის თემის განხილვით დაინტერესებული ჯგუფებისთვის კალიფორნიის უნივერსიტეტის პალმ-ცენტრის ანგარიშის დახმარებით გაირკვა ზოგიერთი ციფრები, რომელთაც სამხედრო ხელმძღვანელობა საგულდაგულოდ მალავს. 2007 წელს ჯგუფმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით მოიპოვა და რომლის თანახმადაც, 2004-დან 2006-წლამდე ამერიკის შეიარაღებულ ძალებში თითქმის გაორმაგდა ნასამართლევ პირთა რაოდენობა და 1605-ს მიაღწია. ამ პერიოდში სულ 4230 ადრე ნასამართლევი პირი შევიდა არმიაში, მათ შორის ისინიც, რომლებიც დამნაშავეებად სცნეს გაუპატიურებისა და მკვლელობის საქმეებში. გარდა ამისა, ამერიკის შეიარაღებულ ძალებში ჩაეწერა 43 077 ჯარისკაცი, რომლებიც ადრე ნასამართლევნი იყვნენ სერიოზული კანონდარღვევების, მათ შორის ფიზიკური ძალადობისთვისაც. კიდევ 58 561 ადრე ნასამართლევი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის. ყველა ამ ჯარისკაცს ხელში იარაღი მოსცეს და ახლო აღმოსავლეთში გაუშვეს.

ამ პრაქტიკამ პრობლემები გააჩინა თავად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებშიც — **„ტერორიზმთან ომის“ პერიოდში ყოველმა მესამე ჯარისკაცმა ქალმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა ჯარში. დღეს ამერიკულ ჯარში ქალებს თანამებრძოლებისგან გაუპატიურების უფრო მეტი საფრთხე ელით, ვიდრე მტრისგან მოკვლის. არავინ იცის, რამდენი ქალი და გოგონა გააუპატიურეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ანალოგიური სისასტიკით, მაგრამ ერთეული ცნობილი შემთხვევებიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ქმედებებისთვის, როგორც წესი, არავინ ისჯება.**

2004 წლის შემდეგ პირველად საკუთარი რიგების შევსების გეგმა ამერიკის არმიამ 2009 წელს შეასრულა და მაშინ ალაპარაკდნენ ნასამართლევი ჯარისკაცების სამსახურიდან დათხოვნაზეც, მაგრამ, როგორც ამერიკის არმიის გადაბირების ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე გენერალი ჯოზეფ ანდერსონი ამბობს, ამგვარი გათავისუფლებები აღარ იგეგმება. სამაგიეროდ, ამერიკულ ჯარში აღარ მიიღებენ პირებს, რომელთაც არ აქვთ საშუალო განათლების ატესტატი, რაც, თავისთავად, დანაშაულის ერთგვარი აღიარებაა. თუმცა, ერაყსა და ავღანეთში მრავალთათვის ამ აღიარებამ ძალიან დაიგვიანა...

**The Guardian**

მოკლედ

## ისრაელის «ბავშვური» გეგმები

**ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ისრაელი ირანის ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმას გადაწყვეტს, მისი ქვეყანა თავის დაცვას შეძლებს.** „მათ ირანელი ხალხისთვის ზიანის მიყენება სურთ და შესაფერის დროს ელოდებიან. იციან, რომ ირანი თავს პირველი არასდროს დაესხმევა, თუმცა შეუძლია თავი დაიცვას“, — აღნიშნა ირანის პრეზიდენტმა. მისი თქმით, ისრაელის ირანის ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის სურვილი ბავშვურია. შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნები და ისრაელი ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებენ. ამ ბრალდებას ირანი უარყოფს და აცხადებს, რომ ურანის გამდიდრება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის ესაჭიროება.

## ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში 49 მილიონი ადამიანი შიმშილობს

**გაეროს მონაცემებით, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში 49 მილიონ ადამიანს საკვები არ მოეპოვება და შიმშილობს.** აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი მოიცავს ბოლო 2 წლის მონაცემებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2004 წელს რეგიონში შიმშილობის დონემ დაიწია, თუმცა მას შემდეგ კლების ტენდენციამ იკლო. შიმშილობის მთავარი მიზეზი პროდუქტებზე მაღალი ფასები და შემოსავლების სიმცირეა. **მოშიმშილე ქვეყნებში მოხვდნენ ჰაიტი, გვატემალა, პარაგვაი, ბოლივია და ნიკარაგუა.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო 100 ათასი წმინდანის, 300 არაგველის, 9 ძმა ხერხეულიძის, ბოლოს და ბოლოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და თუნდაც მხოლოდ ამიტომ ქართველი კაცი და სხვათა შორის არა მარტო ქართველი, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების აბსოლუტური უმრავლესობა არ დაუშვებს ერთსქესიან ქორწინებებს, ქალაქის მერებად პედერასტების არჩევას და სხვა მრავალ ლიბერასტულ „სიკეთეებს“.**

# «ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი, ანუ დედალნი»...



**„ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს მაინც ვაფრთხილებთ: ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა — ტანჯვა-წამება) დაიხოცნენ! ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“...**

ეს ციტატა ერთადერთი კანონიკური ეპისტოლედანაა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც მეფე ერეკლე მეორეს ნებართვით კათალიკოს ანტონ პირველს გამოუცია 1767 წელს, ხოლო ციტატა თავად დიდი ხელმწიფის ამ ეპისტოლეზე დანართიდანაა.

„დემოკრატიული“ დასავლეთის პრესა გაივსო აშკარად ნაცბანდის მიერ შეკვეთილი სტატიებით, რომლებშიც „ქართულ ოცნებას“, ოპოზიციის მანტიამოსხმული „ნაციონალების“ პოლიტიკურ დევნაში სდებენ ბრალს.

აღარც ეს იკმარეს და ფრანგულ პრესაში მსგავსი მასალების გვერდით გაჩნდა პარლამენტის ვიცე-სპიკერისა და „ქართული ოცნების“ დავმჯდომარის, ქალბატონ მანანა კობახიძის ინტერვიუ, რომელიც, როგორც თავად ქალბატონმა მანანამ განაცხადა, წელიწად-ნახევრის წინ მიუცია და უფრო მეტიც, დღეს დამახინჯებული სახით დაუბეჭდავთ.

ერთი სიტყვით, ამ ინტერვიუში „კრიმინალი“ ისაა, რომ იგი აცხადებს — **სექსუალური უმცირესობების უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ ამასთან შეგუება, როგორც მართლმადიდებელს, მიჭირსო!**

ჰოდა, აგორდა მანანა კობახიძის კრიტიკა ფრანგულ „ფიგაროში“, მაგრამ თავშიც ქვა უხლიათ ფრანგებს და პარიზელებს, რომლის მერი გაცხადებული გეი, ჩვენებურად პედერასტია, სხვათა შორის ისევე, როგორც ბერლინის მერი, ხოლო ციურიხს ლეზბიანკა მერი ჰყავს და ახლა ევროპა იმის მარჩიელობაშია, რომელი ქალაქი იქნება მეოთხე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავს მყისიერად გამოეხმაურნენ ჩვენი ადგილობრივი ე. წ. არასამთავრობოები, რომლებიც, როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე მრავლდებიან დასავლეთის გრანტებით „დანამულ“ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქოს სხვადასხვა სახელი ჰქვიათ, მათ მაინც ერთი მშობელი დედა ჰყავთ — ავადსახსენებელი უხსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც ახლა ვითომ ჩრდილშია, მაგრამ, ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ყოველი ანტიეროვნულის, ანტიმართლმადიდებლურის საბუდარი სწორედ იქ არის!..

ჰოდა, ვინ თუ არა მისი სატანისტური წიაღიდან ამორწყეული, ადგილობრივ „ენჯეოთა“ აღიარებული ლიდერი, ე. წ. საია მოგვევლინა ქალბატონ მანანას, ზოგადად „ქართული ოცნებისა“ და ქართული საზოგადოების განმქიქებლად — აყაშყაშდნენ და აყრანტალდნენ — მანანა კობახიძე ქსენოფობი, სიძულვილის ენით მოსაუბრე, იმავე ბრალდებებით გადასწვდნენ და გაიხსენეს: სოსო ჯაჭვლიანი, მურმან დუმბაძე, დარახველიძე და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ცნობილი „ფაშისტები“: რობიკო სტურუა და რეზო ამაშუკელი დავიწყებიათ...

აშკარად განერვიულებულმა, შეურაცხყოფილმა მანანა კობახიძემ კი, დიახ, ყველას, მათ შორის სექსუალური უმცირესობების უფლებები უნდა დავიცვათ, მაგრამ რა ვქნა? მამათმავლობა, ერთსქესიანი ქორწინებები არ მომწონს და მიუღებელია ჩემთვისო!

ბარაქალა, ქალბატონო მანანა, თქვენს ქართველ ქალობას და, რაც თქვენ ვერ თქვით პოლიტიკური სტატუსის გამო, მე შეგაშველებთ...

**ამ საია-მაიებს თუ დავნებდით, მალე ის დრო დაგვიდგება, რომ „მე ქართველი ვარ“ — ამის ხმამაღლა თქმასაც აგვიკრძალავენ, ხოლო ქართველმა თუ ქართველი სიძე-რძალი ინატრა, როგორც ეს დავით დარახველიძეს წამოსცდა, ასეთი „იალლიშისთვის“, ალბათ, დაგვხვრეტენ კიდეც!..**

საქართველო 100 ათასი წმინდანის, 300 არაგველის, 9 ძმა ხერხეულიძის, ბოლოს და ბოლოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და თუნდაც მხოლოდ ამიტომ ქართველი კაცი და სხვათა შორის არა მარტო ქართველი, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების აბსოლუტური უმრავლესობა არ დაუშვებს ერთსქესიან ქორწინებებს, ქალაქის მერებად პედერასტების არჩევას და სხვა მრავალ ლიბერასტულ „სიკეთეებს“, გინდაც ამის გამო საია-მაიას ჩუგოშვილები, შავერდაშვილები თუ მათი დასავლელი დამფინანსებლები ნაკერავზე გასკდნენ!

ასე იქნება, რადგან საქართველო არის ესე...

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ (ვისთვის როგორ), დღეს არც XVIII საუკუნეა და პატარა კახიც, დიდი ხანია, სვეტიცხოველში წევს, ამიტომ დიდ მეფესავით პედერასტების „ჯაჯაებას“ არავინ ითხოვს, მაგრამ, თქვე ხლისტებო, პედერასტებს თუ აქვთ საკუთარი უკანალის მურდლად ქნევის უფლება, ამას სიყვარულით უნდა ვუყურო?

ჰოდა, ხმამაღლა ვაცხადებ: „ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი“, **მე-ზიზ-ღე-ბით!**

წადით ახლა და „სიძულვილის ენის“ გამო, როგორც მამაჩემის თაობის თბილისში იტყოდნენ ხოლმე, ზემელის დამწვარ აფთიაქში მიჩივლეთ...

**დავით მხეიძე**

# ესტონეთში მოსწავლეებს გეი კოლოების ცეკვა შეასრულებინეს

**ესტონეთში ახალგაზრდული ცეკვების კონკურსის მონაწილე მოსწავლეებს გეი კოლოების ცეკვა შეასრულებინეს. კონკურსი „შლიდე 2012“ ტალინში 27 ნოემბერს გაიმართება და მასში 12-20 წლის ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას. ერთ-ერთ რაუნდში მათ წინასწარ დაწერილი ტექსტების მიხედვით მოუწევთ ცეკვის შესრულება.**




ერთ-ერთი სიუჟეტი ასე გამოიყურება: **„ორ გეი კოლოს ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. ერთი კოლო მუხლებზე დადგა და მეორეს ფეხი სთხოვა. პარტნიორი ეიფორიაში ჩავარდა და ბედნიერების ცეკვა შეასრულა. მეორე დღეს ორივენი ლას-ვეგასში გაფრინდნენ. დრო კაზინოში გაატარეს, მაფიოზობანას თამაშობდნენ. ძალიან დაიღალნენ და კაზინოდან გამოვიდნენ. ბნელ ქუჩაზე მათ კუთხიდან განგსტერი ფუტკარი გადმოუხტა და თავისი საშინელი ნესტარი დაანახა“...**

კიდევ ერთი ტექსტი: **„სექსუალური თაგუნა და უცნაური ზღარბი კლუბში, ტანცპოლზე შეხვდნენ ერთმანეთს. თაგუნამ ზღარბი საცეკვაოდ გაიწვია. ცეკვის დროს საუკეთესო ილეთებს აჩვენებენ. თაგუნა სექსუალურად ირხევა, ზღარბი კი ეროვნული ცეკვის ილეთებს ასრულებს. თაგუნა ზღარბს თათში სწვდება და ტუალეტისკენ მიათრევს. იგი ზღარბს უხსნის, რომ ძალიან უნდა სექსი. ზღარბი უარობს, რადგან პრეზერვატივის გამოყენება ეშინია“...**

კონკურსის ორგანიზატორები მიუთითებენ, რომ იგი შიდსის პროფილაქტიკას ეძღვნება. საკითხავი მხოლოდ ის არის, რატომ უნდა განასახიერონ 12 წლის ბავშვებმა გეი კოლოები და რატომ არის ამ ვერსიით შრომისმოყვარე ფუტკარი გამოყვანილი განგსტერად. საცეკვაო მოედნიდან პარტნიორის ტუალეტში წათრევა სექსის მიზნით სრულიად ნორმალურ ამბად არის წარმოსახული. საინტერესო ის არის, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრ ესტონეთში მოსწავლეთა მშობლები ამგვარ კონკურსებს არ აპროტესტებენ.

# წინასწარი ინფორმაციით, «ამნისტიის შესახებ» კანონპროექტი 8 ათას პატიმარს და 19 ათას პრობაციონერს შეეხება

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძემ სავარაუდო მონაცემები ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე წარადგინა, სადაც კანონპროექტი პირველი მოსმენით განიხილეს. სხდომაზე მთავრობის წარმომადგენლებმა დეპუტატებს საკუთარი რეკომენდაციები და შენიშვნები გააცნეს.**



გიორგაძის თქმით, იმის გამო, რომ კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს, არ არსებობს ზუსტი მონაცემი იმისა, თუ რამდენ ადამიანს შეეხება ამნისტია, თუმცა, პროექტის პირვანდელი ვერსიით, ამნისტია, სავარაუდოდ, შეეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ 2000 ადამიანს. გათავისუფლებას დაექვემდებარება იმ პატიმართა კატეგორია, რომლებიც გასამართლებული არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ამასთან, ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული და ამნისტიის შედეგად მოეხსნებათ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის განკუთვნილი სასჯელი და ასეთი 1000 პატიმარია.

მისივე ინფორმაციით, 3500 პატიმარს სასჯელი გაუნახევრდება და მათ საშუალება ექნებათ პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიას მიმართონ. ამნისტიის შედეგად, სასჯელის 1/3-ით შემცირების შემთხვევაში კი, პირობით ვადამდე გათავისუფლება 1500 ადამიანს შეეხება.

**სხდომაზე სტატისტიკის წარდგენა საპარლამენტო უმცირესობამ კატეგორიულად მოითხოვა. კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ კი, ციფრების გამოყენებისას კოლეგებს სიფრთხილისკენ მოუწოდა.**

**ვანო მერაბიშვილმა და ალეკო ხეთაგურმა ათეულობით მილიონი ლარი აპატიეს „რუსთავი 2“-ს, მათ შორის 2010 წელს 20 მილიონი ლარი, მაშინ, როცა ტელეკომპანია „კავკასიას“ 2 ლარის გამო ინკასო დაედო.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადიმერ პუტინი: ილია ჭავჭავაძემ რუსული კულტურის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა

**სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში 26 ნოემბერს მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-კულტურულმა ფორუმმა „ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში. დაბადებიდან 175 წლის აღსანიშნავად“. იგი ილია ჭავჭავაძეს, დიდ ქართველ მწერალს, მოაზროვნეს, საზოგადო მოღვაწეს ეძღვნება, რომელიც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, როგორც ილია მართალი.**



ფორუმის საზეიმო გახსნაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში და საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხაილ შვიდკოიმ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართვა გააცნო დამსწრე საზოგადოებას.



**„დროულად მიმაჩნია თქვენი შეხვედრა. ფორუმი ქართველი ხალხის დიდი შვილის, საზოგადო მოღვაწის, მოაზროვნის, პოეტის, მეცენატის, ილია ჭავჭავაძის, დაბადებიდან 175 წელს ეძღვნება. მისი სახელი და ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. აქ, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო მან უმაღლესი განათლება და ჩამოყალიბდა პიროვნებად. თავისი შემოქმედებითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძემ მართლაც უდიდესი წვლილი შეიტანა რუსული კულტურის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ტრადიციის განვითარებაში, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა ჩვენს ხალხებს. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეთა დღევანდელი თაობები პატივს მიაგებენ საკუთარი წინაპრების ხსოვნას. ბევრს აკეთებენ ჰუმანიტარული კონტაქტების, ადამიანებს შორის ნდობის გამყარებისთვის, რაც ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტების განვითარებას“,** — ნათქვამია მიმართვაში.

სამეცნიერო-კულტურული ფორუმი სანკტ-პეტერბურგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელშეწყობით იმართება. სამეცნიერო მოხსენებების, შემოქმედებითი შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ფარგლებში მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები თბილისიდან, მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან ორი ქვეყნის ხალხებს შორის სამეცნიერო-კულტურული დიალოგის თავისებურებებზე იმსჯელებენ.

**ფორუმის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ ფონდ „რუსკი მირის“ მხარდაჭერით, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაცია.**

# შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურები «რუსთავი 2»-ისა და «იმედის» წინა წლების საგადასახადო დავალიანების საკითხის შესწავლას იწყებენ

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურები ტელეკომპანიების, „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ წინა წლებში დაგროვილი საგადასახადო დავალიანების საკითხის შესწავლას იწყებენ.
ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს და განმარტავს, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ ხელთ ჩაუვარდათ.**




მათივე ცნობით, მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნული სატელევიზიო კომპანიების ფინანსური დავალიანების საკითხის შესწავლა შესაბამის უწყებებს 20 ნოემბრის სხდომაზე დაავალა, რაც სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით დასტურდება, რომელსაც ხელს თავად მინისტრი აწერს.

„დაევალოს შემოსავლების სამსახურის უფრსოსის მოვალეობის შემსრულებელ კახა ცერცვაძეს და საგამოძიებო სამსახურის უფროს, აპოლონ კაკაბაძეს, დაიწყონ სატელევიზო კომპანიების, „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ საშემოსავლო გადასახადის დავალიანების დეტალური შესწავლა. კონტროლი აღნიშნულ საკითხზე დაევალოს შემოსავლების სამსახურის უფროს კახა ცერცვაძეს და საგამოძიებო სამსახურის უფროს აპოლონ კაკაბაძეს“, — „რუსთავი 2“-ის ცნობით, ამის შესახებ აღნიშნული სხდომის ოქმშია ნათქვამი.

ტელეკომპანია ამ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრს ესაუბრა. ნოდარ ხადურის თქმით, ტელეკომპანიების ფინანსური დავალიანების შესწავლა „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ შესაბამისი სამსახურების შესვლას არ ნიშნავს.

**„თქვენ ყოველწლიური გადასახადები უნდა გადაგეხადათ, რომელსაც „რუსთავი 2“ არ იხდიდა, მათ შორის პირადად თქვენ, საშემოსავლო გადასახადს გიკავებდნენ, მაგრამ იმას ბიუჯეტში არ მიმართავდნენ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს სრული ინფორმაცია, რატომ არ იხდიდა ტელეკომპანია გადასახადს. ვანო მერაბიშვილმა და ალეკო ხეთაგურმა ათეულობით მილიონი ლარი აპატიეს „რუსთავი 2“-ს, მათ შორის 2010 წელს 20 მილიონი ლარი, მაშინ, როცა ტელეკომპანია „კავკასიას“ 2 ლარის გამო ინკასო დაედო.**

მასალებს პროკურატურას გავუგზავნი. ტელეკომპანიებში შესვლა ამ ეტაპზე საჭირო არაა, რადგან მათ დავალიანებები წინა მთავრობამ ჩამოაწერა, მაგრამ ჩინოვნიკების საქმეა შესასწავლი იმასთან დაკავშირებით, რატომ აპატიეს მათ „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ამხელა დავალიანებები“, — განაცხადა ხადურმა „რუსთავი 2“-თან საუბარში.

# პროკურატურამ, შესაძლოა, ქვანიას საქმეზე ადეიშვილი, მერაბიშვილი და ბარამიძე დაკითხოს



**დეპუტატი გიორგი ჟვანია პროკურატურაში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიკითხა. მისი თქმით, გამოძიება განახლდა და პროკურატურას არსებული მასალები მიეწოდა, თუმცა დეტალების დაკონკრეტება გიორგი ჟვანიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია. გიორგი ჟვანიამ ასევე არ დაასახელა იმ პირთა ვინაობა, რომელთაც პროკურატურა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზების დასადგენად გამოძიების განმავლობაში დაკითხავს.**

**„გამოძიება უკვე დაწყებულია. არსებობს მასალები და გამოძიების პროცესში კიდევ ბევრი ადამიანის დაკითხვა იგეგმება. მეტი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს“,** — განაცხადა გიორგი ჟვანიამ.

შეგახსენებთ, გარდაცვლილი პრემიერის ოჯახი ფიქრობს, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს. **გიორგი ჟვანიას თქმით, მისი ძმის გარდაცვალების ინსცენირებაში ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი და გიორგი ბარამიძე მონაწილეობდნენ.**

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დღემდე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. ითქვა, რომ ზურაბ ჟვანია შავნაბადაზე მოკლეს, გვამი კი საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს. ისიც გავიგეთ, სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრს საფერფლე ესროლა და შემთხვევით შემოაკვდაო. ახლახან მისი დახრჩობის ვერსიამაც გაიჟღერა — ჟვანიას ყოფილმა თანაგუნდელმა ხათუნა ხოფერიამ განაცხადა, რომ იცნობს ადამიანს, რომელსაც ქონების დათმობას აიძულებდნენ და წამების დროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაემუქრა, ამ ხელებით დავახრჩე ჟვანია და შენ რისი იმედი გაქვსო! ხოფერია მზად არის, ამ პირის ვინაობა პროკურატურას დაუსახელოს. პრემიერ-მინისტრისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის გარდაცვალების ყველაზე არგუმენტირებულ ვერსიად კი მაინც რჩება მოწამვლა რკინის პენტაკარბონილით, რომლის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრას მძიმე შედეგი მოსდევს და ნახშირბადის მონოქსიდით გაგუდვისგან არაფრით განსხვავდება... გავრცელებული ინფორმაციით, ზურაბ ჟვანიას ტუჩთან აღენიშნებოდა ნაჭდევი, სისხლნაჟღენთი, ხოლო იუსუფოვს — ნემსის გაკეთების არაერთი კვალი.

# საგამოძიებო სამსახურები მერიის სისტემაში შემავალ შვიდ დაწესებულებაში შევიდნენ

**საგამოძიებო სამსახურები მერიის სისტემაში შემავალ შვიდ დაწესებულებაში შევიდნენ, — ამის შესახებ თბილისის მერია განცხადებას ავრცელებს:**

„2012 წლის 27 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება. ამ მოტივით საგამოძიებო სამსახურები დოკუმენტაციის ამოღებისა და ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, შესულები არიან ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალ შემდეგ დაწესებულებებში და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში:



**1. ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია;**
**2. ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;**
**3. ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური;**
**4. სსიპ — ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური;**
**5. ააიპ — ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი;**
**6. ააიპ — თბილისის განვითარების ფონდი;**
**7. შპს “თბილსერვის ჯგუფი.“**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. მაშ, რაშია საქმე? რატომ ყურად არ ვიღებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მისაღებ წინადადებებს?“

# მეტი ყურადღება — აფხაზებთან ნდობის აღდგენასა და შერიგებას

**გაზეთის მკითხველებს მინდა ვამცნო, რომ „ნაციონალების“ მოღვაწეობის პერიოდში, 2010-2011-2012 წლების განმავლობაში, ჩვენ არაერთი წერილი გამოვაქვეყნეთ აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების პრობლემების ირგვლივ, მაგრამ არც ერთი სამინისტროს ხელმძღვანელს ჩვენი წინადადება-პროექტების განხილვა, რჩევა ან სხვა რამ აზრადაც არ მოსვლია. გამონაკლისს წარმოადგენს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გია გვაზავა, რომელმაც იკისრა, „მწვანე შუქი“ აენთო ჩვენი წინადადება-პროექტებისთვის და გავიდა უმაღლეს ეშელონებში (პრეზიდენტის ჩათვლით), მაგრამ ბატონ გიას (როგორც გადმოგვცა) უთხრეს: „ჯერ ამის დრო არ არისო“. საკითხავია, 19 წელი გავიდა და ეს დრო საკმარისი რატომ არ აღმოჩნდა „ნაციონალებისთვის“. „აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდმა“ და მასთან არსებულმა ქართველ უხუცესთა საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ მიგვეწერა ღია წერილი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, იმის იმედით, ეგებ გვშველებოდა რამე. მათდა სამარცხვინოდ, ეს ასე არ მოხდა.**



**საჭიროდ ჩავთვალეთ გაგაცნოთ ამ წერილის მოკლე შინაარსი.**

სააკაშვილის სახელზე (2012 წ. ივლისი) გაგზავნილ ღია წერილში ჩვენ ვწერდით:

„ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ „აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი“ და მასთან არსებული უხუცესთა საბჭო (აფხაზეთიდან) მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ეგებ გავარკვიოთ, საქართველოს კომპეტენტური ორგანოებისა და სამინისტროების მხრიდან რატომ არ ხდება ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადება-პროექტების განხილვა, რომელთა განხორციელება გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს ჩვენსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენას, შერიგებისკენ ნაბიჯის გადადგმას. გაუგებარია, უფრო მეტიც, შემაძრწუნებელია, როცა ორი წლის განმავლობაში პასუხს ამაოდ ელი.

ბატონო პრეზიდენტო, ძალიან მოკლედ ჩამოვთვლით ზოგიერთ წინადადება-პროექტს (რომელსაც პასუხი არ გაეცა), დაე თქვენ და ქვეყანამ განსაჯოს, ღირდა თუ არა ამ წინადადებებზე რეაგირება:

1) 2010 წლის აგვისტოში თქვენს სახელზე გაიგზავნა წერილი, რომელშიც ვითხოვდით ენგურის ხიდთან არსებულ პატარა მოედანზე ომში დაღუპულ ქართველთა, აფხაზთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა პატივსაცემად და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მონუმენტის დადგმას;

2) პარლამენტში გაიგზავნა აფხაზ უხუცესთა საბჭოს წევრებისადმი მიმართვა, რომელიც მანამდე პრესითა და ტელევიზიებით გაშუქდა. მიმართვის სრული ტექსტი იმ საღამოსვე გადასცა რადიო „თავისუფლებამ“ (პრაღა), რომელსაც კორესპონდენტების ძალისხმევით სოხუმიდან გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭო — თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე ოზგანი, რომელმაც დადებითად შეაფასა ქართველ უხუცესთა საბჭოს შექმნა. ჩვენი და ლტოლვილთა უმრავლესობის დიდ გაკვირვებას იწვევს ის, რომ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ამ პროცესით არ დაინტერესებულა;

3) 2011 წლის 18 მარტს ვწერდით: იმისათვის, რომ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობას მიეცეს რეალური შესაძლებლობა, ბიძგი შერიგებისკენ, რომ აფხაზებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე და აქვთ აფხაზური პასპორტები (რომელიც სხვა სახელმწიფოში გასვლის უფლებას არ იძლევა), ნება დაერთოს, თავისუფლად, ყოველგვარი ვიზის გარეშე შემოვიდეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაც გააჩენდა იმედის მცირე ნაპერწკალს დაბეჩავებულ ლტოლვილებში;

4) 2011 წლის ივნისში გწერდით, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის მოედანზე, სადაც ომამდე იგეგმებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმობის უკვდავსაყოფად მონუმენტის აღმართვა, მოწყობილიყო ბაზრობა (ლილოს ტიპის), რომელიც დიდ შედეგს გამოიღებდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენის საქმეში. გვაქვს უწყვეტი კავშირი აფხაზებთან, რომლებიც მოწადინებულნი არიან, შერიგების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ;

5) 2011 წლის 30 ივლისს რეინტეგრაციის სამინისტროს მივწერეთ იმის თაობაზე, რომ ექიმთა ჯგუფი ბატონ ფრიდონ თოდუას საქვეყნოდ ცნობილი კლინიკიდან ჩავიდოდა აფხაზეთში და გალის საავადმყოფოში ერთი თვის განმავლობაში ჩაატარებდა მოსახლეობის სამედიცინო გასინჯვა-გამოკვლევას, ძვირადღირებულ ოპერაციებს (უფასოდ). რაც მთავარია, აპარატურას, რომელსაც საავადმყოფოში შეიტანდნენ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ დაუტოვებდნენ მათ. ამის ორგანიზებაც არ მოხერხდა. არ გაუვლია ერთ თვეს და რუსებმა დაიწყეს რაიონში უფასო სამედიცინო შემოწმება.

როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, სულ 12 პროექტი წარვუდგინეთ პრეზიდენტს.

შემდეგ პრეზიდენტს ვწერდით: — ზემოჩამოთვლილი ფაქტები მოწმობს, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს აფხაზებთან ნდობის აღდგენა და შერიგება. სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს კაცი.

თქვენი განცხადებებით, ბატონო პრეზიდენტო, რამდენი ხნის წინ უნდა გამთლიანებულიყო საქართველო, მაგრამ ტერიტორიების დაბრუნებაზე კი არა, ნდობის აღდგენაზეც კი თითს თითზე არ ვაკარებთ.

დროა, ყველამ შეიგნოს, რომ ლტოლვილებთან იაფფასიანი თამაშით შორს ვერ წავლენ. გარწმუნებთ, რომ ლტოლვილები სათანადო დასკვნას გააკეთებენ და ხმას ამჟამინდელ მთავრობას არ მისცემენ...

ისმის კითხვა: **როგორ მოვიქცეთ, ვიჯდეთ და ვიყოთ ისე, როგორც ვართ, თუ ვიმოქმედოთ, რათა ნდობის ფაქტორი მაინც აღვადგინოთ და ვიაროთ შერიგებისკენ? სხვა გზა რომ არ არსებობს, თქვენ კარგად იცით, ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. მაშ, რაშია საქმე? რატომ ყურად არ ვიღებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მისაღებ წინადადებებს?**

მკითხველი, ალბათ, ფიქრობს, რომ პრეზიდენტი გამოეხმაურა ღია წერილს. არა, ჩემო კარგებო! მან, ისევე როგორც მისმა ხელქვეითებმა, ფეხზე დაიკიდა უხუცესთა ღია წერილი.

იმის შემდგომ, რაც პრეზიდენტმა მოიმოქმედა ბატონ ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით, უნდა გაგვეცნობიერებინა, რომ ის აფხაზეთის საკითხის განხილვას საერთოდ არ ფიქრობს.

**როგორც გახსოვთ, ბატონმა ირაკლი ალასანიამ მისი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების გასაღებს მიაგნო, რამაც არამარტო ქართველთა, არამედ აფხაზთა შორისაც (მათ შორის ხელმძღვანელ ელიტაში) გამოიწვია დიდი გამოხმაურება და განამტკიცა ნდობა მისდამი, რაც გახდა საგანგაშო სიგნალი სააკაშვილისთვის და მოაშორა კიდეც აფხაზეთს ალასანია და გადაისროლა ამერიკაში — ელჩის რანგში.**

საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას ვთხოვთ, დაინტერესდეს ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადება-პროექტებით. გვჯერა, ამჟამად იმედი არ გაგვიცრუვდება — ჩვენი ძალისხმევა გამოიღებს ნაყოფს და გადაიდგმება ნაბიჯი აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხში.

უხუცესთა საბჭო აცნობიერებს იმას, რომ ახალ მთავრობას დრო სჭირდება ჩამოყალიბებისა და ფეხზე დადგომისთვის. მაგრამ გვჯერა, რომ საჭირო დროს გამონახავენ ჩვენს მოსასმენად.

**ოლეგ ჯოლია,**
**აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდის და მასთან არსებულ ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) ფონდის თავმჯდომარე**

# «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...»

## გახსენება

**2 წელი გავიდა, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. წახვედი და დამიტოვე ღრმა, მოუშუშებელი ჭრილობები, დიდი გულისტკივილი, ჩემო სულით მაღალო, გულით კეთილო ადამიანო. შენ ამშვენებდი ჩვენს ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, გასცემდი უზომო სიკეთეს, გაჭირვებაში ყველას მხსნელი, დამხმარე, უანგარო მოამაგე იყავი. შენთვის არასოდეს ყოფილა „სხვისი ჭირი ღობის ჩხირი“. შენ ხომ ქართველი ხალხის კეთილ მომავალს შესწირე თავი. რა უცებ გამომეცალე ხელიდან. შენ ხომ სიკვდილზე არ ფიქრობდი. ყველაზე მეტად მიხაროდა, რასაც ჩვენი მომავალზე ფიქრი ერქვა.**
**ძალიან მტანჯველია ის სიცოცხლე,**
**რომელსაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია.**

შემზარავია ფაქტი, რომელიც 2010 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან მოხდა: შენ არ შეუშინდი ცეცხლის ალს, ისევე, როგორც ფრანგი რევოლუციონერი ქალი — ჟანა დარკი... შენ მებრძოლი სულისკვეთების ქალი იყავი და უშიშრად შეხვდი სიკვდილს. ვერ აიტანე დამცირება და ცინიზმი მავანთა. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩიე. 24 დღე ებრძოდი სიკვდილს, თუმცა შენი გადარჩენა შეიძლებოდა... 19 ნოემბერს წახვედი ამქვეყნიდან და დამიტოვე გულისტკივილი და სევდა.

დადგა ჩემთვის ტკივილიანი ნოემბრის თვე. გააზრებაც მზარავს, რომ უშენოდ გავიდა 2 წელი. მაპატიე, რომ ვერ შევძელი სიკვდილის დამარცხება, მაგრამ ამქვეყნად ხომ ყველაფერი უფლის ნებით ხდება. შენი იმქვეყნიური ცხოვრების დაწყებაც ხომ უფლის ნება იყო. ფაქტია ცხოვრება გრძელდება, მონატრება რჩება მონატრებად. თვალცრემლიანი ვფერები შენს სურათს, შენს წარსულს, შენ ხომ ქალური ღირსების გარეშე ერთი დღეც არ გიცხოვრია. გჯეროდეს, არასოდეს მივაყენებ ჩრდილს შენს სახელს, შენს ნათელ ხსოვნას. შენ ყოველთვის მოსიყვარულე მეუღლედ დარჩები ჩემს გულში. როგორ მაკლიხარ, როგორ მენატრები, ნანა. არ შემიძლია შენი დავიწყება. მე დაგივიწყებ მაშინ, როცა მიწა გააცივებს ამ გულს, მაგრამ მაშინაც შენზე იკვნესებს ეს გული. მე შენთან დავასამარე ჩემი სიცოცხლე, შენი გარდაცვალების შემდეგ ჩემი გული არის ოკეანე ცრემლების, მე შეგინახე გულში ხსოვნად. შენი სანთელი ჩაუმქრალია. შენ ჩემი ჩუმი სევდა ხარ, იტყვიან ხოლმე, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა თურმე. რაც დრო გადის, უფრო გაუსაძლისი ხდება ჩემი ყოფა, უფრო მენატრები. რა წუთიერი ყოფილა ბედნიერება. 2 წელმა რა უცებ გაიარა, ჩემო მონატრებულო, საყვარელო ნანა, მოგონებად დამრჩა ჩვენი ერთად გატარებული 20 წელი. ბევრჯერ ტირილში დამძინებია შენი მონატრებით. მენატრები და ძლიერ მიყვარხარ, ჩემო ნანა. ახლა შენი სპეტაკი სული სამოთხეში დაივანებს. მე კი ისლა დამრჩენია, სანთელი ავანთო და შენი სულისთვის ვილოცო.



2012 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ზუგდიდში მრავალათასიან საყოველთაო სახალხო დემონსტრაციიდან კიდევ ერთხელ აუწყა მსოფლიოს შენ მიერ ჩადენილ თავდადებაზე ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის. შენი პატრიოტიზმი არასოდეს მიეცემა დავიწყებას. შენი სახით მთელ საქართველოს მოუკვდა პატრიოტი ქალი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო საფიცარო და საამაყო ნანა. მადლობას გწირავ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია.

**ამით ვამთავრებ**
**შენთან საუბარს,**
**ვემორჩილები ბუნების**
**კანონს,**
**ეს მარტო შენზე**
**ხომ არ ვრცელდება,**
**ყველა ჩვენთაგანს**
**მან უნდა ავნოს.**

**იძინე ტკბილად,**
**რადგან ძილი გსურს,**
**ცივი სამარე ირჩიე ბინად,**
**არ დაგივიწყებ**
**არასდროს, ნანა,**
**შენს წმინდა საფლავს**
**ვეწვევი ხშირად.**

**შენი თამაზი**

**ბატონ ბიძინას აშშ-ის მმართველი წრეებისთვის ეთქმის: როცა ჩემი ქვეყნის უშუალო მეზობლები — რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი უარყოფითად არიან განწყობილნი ნატოს ბლოკის მიმართ, ნატოში საქართველოს გაერთიანება ნიშნავს, რომ იგი ამ მეზობლებს უსიტყვოდ ეუბნება, — თქვენ ჩემი მტრები ხართ და ნატოში თქვენგან თავის დასაცავად შევდივარო. აი, რატომ არის მიუღებელი ნატოში საქართველოს გაერთიანება. ჩემი ქვეყნისთვის მისაღებად ვთვლი ფინეთის მსგავს სამხედრო ნეიტრალიტეტს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატოზე უარი ღიად უნდა ვთქვათ!

**ნატოში გაერთიანება საქართველოს ხელისუფალთა მრავალწლიანი სანუკვარი ოცნებაა. მათ ეს ოცნება ქვეყანას უკურნებელ სენად, პოლიტიკურ კიბოდ უქციეს. იმის გამო, რომ „ნატო მინდას“ ქაქანი არ შეწყდა, დაავადებულ საქართველოს სხეულს ორი კიდური მოჰკვეთეს — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ხელისუფლებაში ახლადმოსული „ქართული ოცნება“ თავს დააღწევს გეოპოლიტიკურ სიბრმავეს და, სომხეთ-აზერბაიჯანის მსგავსად, ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს გაერთიანებაზე უარს იტყვის.**

ახალმა ხელისუფლებამ ის აუცილებელი ჭეშმარიტება უნდა ირწმუნოს, რომ იუგოსლავიის შვიდ სახელმწიფოდ დამშლელ აშშ-ის ინტერესებში საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება არ შედის, ამისათვის თავს არ აიტკივებს. იგი მხოლოდ სენატორთა მიერ ქარს გატანებული ბაქია რეზოლუციების მიღებით შემოიფარგლება.

**ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დავაღწიოთ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს; ვიწამოთ ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების გასაღები მხოლოდ მოსკოვშია.** აკი გვითხრა კიდეც ამ 17 წლის წინ ამერიკელმა გენერალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა: **„დაკარგულ ტერიტორიებს რუსეთთან კარგი ურთიერთობით დაიბრუნებთო“**. ეს ჭეშმარიტება ამერიკელ გენერალს თავისმა ქართულმა გენმა ათქმევინა, ხოლო გეიტსები, ბუშები თუ მაკკეინები ამას არასოდეს გვეტყოდნენ.

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიმეცნოთ ის აქსიომური ჭეშმარიტება, რომ სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული სივრცისთვის ნატოს სამხედრო-პოლიტიკური წევრობა შეუთავსებელია.** ეს ჭეშმარიტება სომხეთმა და აზერბაიჯანმა თუ იმთავითვე გაითავისეს, ჩვენ რა გეოპოლიტიკური სიბრმავე შეგვეყარა? ნატო კარგი ხილი რომ ყოფილიყო, მის დაგემოვნებას სომხეთს ჩვენ მოვასწრებდით?

ერთხელაც რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა თქვა: „სსრ კავშირის დანგრევა მე-20 საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფად იქცაო“. სხვა ქვეყნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს იგი მართლაც კატასტროფად ექცა.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბელარუსის რესპუბლიკას განზრახული აქვს, ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. თუ ეს დღეც დადგა, ჩავთვალოთ, რომ აღნიშნულ რეგიონებს საბოლოოდ დავკარგავთ და ტერიტორიების დაკარგვასაც გავაგრძელებთ. გაგახსენებთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2012 წლის მე-13 ნომრის მეთერთმეტე გვერდზე სამცხე-ჯავახეთის სომხების ერთ-ერთი თავკაცის, აგასი არაბიანის, განცხადებას: **„თუ საქართველო ნატოში გაერთიანდება, ჩვენ დავიწყებთ მოძრაობას სამცხე-ჯავახეთის საქართველოსგან გამოსაყოფად“.**

ჩვენ, გამოცდილი და ბევრის მომსწრე ისტორიკოს-პოლიტოლოგები, თავს უფლებას ვაძლევთ „ქართული ოცნების“ კოალიციის ხელმძღვანელობას ზოგიერთი სურვილი, გნებავთ, რჩევა შევთავაზოთ:

**1. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულად დასაბუთებული, ღრმად გააზრებული საქართველოს გეოპოლიტიკური კონცეპცია, რომელიც დღემდე არ გაგვაჩნია, უნდა შემუშავდეს.** კონცეფციის შესამუშავებლად უნდა მოვიზიდოთ პოლიტიკური გეოგრაფიის, გეოპოლიტიკის, პოლიტიკური დემოგრაფიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, გეოლოგიის, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სპეციალისტები, ასევე ცნობილი ჟურნალისტ-პუბლიცისტები, იურისტები...

მეცნიერული გეოპოლიტიკური კონცეფციის საფუძველზე უნდა შეიქმნას გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერული მიმართულების, პოპულარული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის, როგორც ეს, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და რიგ სხვა ქვეყნებშია;

**2.** ჩვენ ვისურვებდით, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის, პაასიკივის, ისტორიული ინიციატივის ანალოგი ქართულ სინამდვილეში აღასრულოს. მოკლედ შეგახსენებთ აღნიშნული ინიციატივის არსს:

ფინეთი საბჭოთა კავშირთან ორჯერ იყო საომარ მდგომარეობაში. დამარცხების შემდეგ ფინეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს ცივი ომი და ისტერიკები კი არ დაუწყიათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ შეიმუშავეს ქვეყნის გეოსივრცის შესატყვისი გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელმაც ისინი ლოგიკურად მიიყვანა საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური თანამშრომლობის აუცილებლობამდე. 1948 წლის მაისში საბჭოთა კავშირთან გაფორმდა ჩარჩო-ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე ფინეთმა იკისრა, რომ აღარ ჩაებმებოდა საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო ბლოკებში. იგი სამხედრო ნეიტრალიტეტს დღემდე მტკიცედ ინარჩუნებს; ამით იგი მრავალმხრივ მოგებული რჩება;

3. კარგი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ მიბაძავს ფინეთის მაგალითს და მოამზადებს ქვეყანას ევროკავშირში გაერთიანებისთვის. **ნატოზე უარი ღიად უნდა ვთქვათ და საამისოდ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ ნაბიჯს აშშ გაგებით მოეკიდოს. რაც შეეხება რუსეთს, როგორც მან არაერთხელ გააჟღერა, ჩვენს ამ გადაწყვეტილებას მოწონებით შეხვდება. საჭიროა, აზერბაიჯანის მსგავსად, კონსტიტუციაში შევიტანოთ ფორმულირება: „საქართველო ნატოში ან სხვა ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაერთიანებაზე უარს ამბობს“;**

**ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დავაღწიოთ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს; ვიწამოთ ის ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების გასაღები მხოლოდ მოსკოვშია**

4. **„ქართული ოცნება“ პირველი უნდა გამოვიდეს ინიციატივით, რათა აღსდგეს 20 წლის წინ შეჩერებული სარკინიგზო მიმოსვლები: თბილისი-მოსკოვი, წყალტუბო-მოსკოვი, ბათუმი-მოსკოვი; აგრეთვე, ერევანი-თბილისი-მოსკოვი, რასაც უაღრესად დიდი და საქართველოსთვის მრავალმხრივ სასარგებლო პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერ-კულტურული და ა.შ. დატვირთვა მიეცემა;**

**5. ნატო არ გახლავთ მშვიდობის მტრედი. იგი წარმოადგენს აშშ-ის იარაღს, ჯალათს, მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზებისთვის, „ახალი წესრიგის“ დამყარებისათვის.** თავის დამცირებაა, ქვეყნის ღირსება-სუვერენიტეტის შეურაცხყოფაა, ვეტრფოდეთ იმ ნატოს, რომელმაც ჩვენ თვალწინ უკანასკნელ წლებში სისხლის ნიაღვარი დააყენა ერაყში, ლიბიაში, ავღანეთში; იმ ნატოს, რომელიც 1999 წლის გაზაფხულზე, აღდგომის დღესასწაულის დღეებში, უმოწყალოდ ბომბავდა ბელგრადს, ანგრევდა ეკლესიებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, საცხოვრებელ სახლებს, ჟლეტდა მშვიდობიან მოსახლეობას;

**6. ნატოს კი არ უნდა ვეტრფოდეთ, არამედ მისი გაუქმება უნდა მოვითხოვოთ. გაეროს გვერდით იგი ზედმეტია, პოლიტიკის კიბოა, შფოთის, ტერორის, ყოველგვარი ავანტიურის წყაროა; მისი გაუქმებით მსოფლიო შვებით ამოისუნთქავს.**

პოლიტოლოგებმა დღეს რომ ვამტკიცოთ, — რუსეთთან ურთიერთობებს მოვაწესრიგებთ, თანაც ნატოში შევალთ და ტერიტორიებსაც დავიბრუნებთო, ეს თავის მოტყუება და გულუბრყვილობა იქნება.

ვითვალისწინებთ რა იმ ავბედით შედეგებს, რომლებიც შეიძლება ნატოში საქართველოს შესვლას მოჰყვეს, **ჩვენ გამოვდივართ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს ანტინატოელთა კავშირის“ შექმნის ინიციატივით, რომელიც დარაზმავს და თავის რიგებში გააერთიანებს მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც წარსულშიაც და დღესაც იდგნენ და დგანან ნატოს საწინააღმდეგო პოზიციებზე.**

„საქართველოს ანტინატოელთა კავშირის“ ძირითადი ლოზუნგი-მოწოდება იქნება „არა — ნატოს!“. გამოვთქვამთ იმედს, რომ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, გაითავისებს იმ აქსიომურ ჭეშმარიტებას, რომ სამხრეთ-კავკასიის გეოსივრცეში ნატოს სამხედრო ბლოკის ადგილი არ არის, რამეთუ საქართველოს ნატოში გაერთიანება უბედურებათა ახალ სერიალს მოგვიტანს.

აშშ არა და არ იშლის თავის მზაკვრობას. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აქტიურად იჭრება ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საქმეებში. საბედნიეროდ, ახალი ხელისუფლება არ არის ვალში აშშ-ის წინაშე. ვიმედოვნებთ, რომ აშშ-ში ვიზიტისას ბატონი ბიძინა დაარწმუნებს მის მმართველ წრეებს, რომ საქართველო, მისი გეოსივრციდან გამომდინარე, ნატოში ვერ გაერთიანდება. ამით იგი საქართველოს გეოპოლიტიკური სიბრმავისაგან დაიხსნის; ეს კი ბატონ ბიძინას ისტორიულ გმირობად ჩაეთვლება და მსოფლიოს თავის გამოკვეთილ პოლიტიკურ სახეს უჩვენებს; ერთბაშად დიდი პოლიტიკოსი გახდება. ეს ისტორიული შანსი ბატონმა ბიძინამ ხელიდან არ უნდა გაუშვას.

**ბატონ ბიძინას აშშ-ის მმართველი წრეებისთვის ეთქმის: როცა ჩემი ქვეყნის უშუალო მეზობლები — რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი უარყოფითად არიან განწყობილნი ნატოს ბლოკის მიმართ, ნატოში საქართველოს გაერთიანება ნიშნავს, რომ იგი ამ მეზობლებს უსიტყვოდ ეუბნება, რომ თქვენ ჩემი მტრები ხართ და ნატოში თქვენგან თავის დასაცავად შევდივარო. აი, რატომ არის მიუღებელი ნატოში საქართველოს გაერთიანება. ჩემი ქვეყნისათვის მისაღებად ვთვლი ფინეთის მსგავს სამხედრო ნეიტრალიტეტს.**

ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორები, რჩევას ვაძლევთ ახალ ხელისუფლებას, ვიწამოთ ჩვენი დიდი სულიერი მოძღვრის, ქართული ეკლესიის მესაჭის — ილია მეორის შეგონება, გაჟღერებული 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში: „ისეთი პატარა ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, ალბათ, ყველაზე სწორი პოზიცია ნეიტრალიტეტია“ (იხ. „კვირის პალიტრა“, 6-22 აპრილი, 2001 წ., გვ.3).

**ჩვენ გამოვდივართ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია «საქართველოს ანტინატოელთა კავშირის» შექმნის ინიციატივით, რომელიც დარაზმავს და თავის რიგებში გააერთიანებს მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც წარსულშიაც და დღესაც იდგნენ და დგანან ნატოს საწინააღმდეგო პოზიციებზე**

**გივი გურეშიძე,**
**ნუგზარ ავალიანი,**
**ქუთაისი**

## იასირ არაფატის ცხედარს ექსგუმაცია ჩაუტარეს

**პალესტინის ლიდერ იასირ არაფატის ცხედრის ექსგუმაცია სამშაბათს, 27 ნოემბერს შედგა.** პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლების განცხადებით, სასაფლაოს გახსნის შემდეგ, რომელიც რამალაში მავზოლეუმში მდებარეობს, რუსეთიდან, საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან მიწვეული ექსპერტები შესაბამის პროცედურებს ახორციელებდნენ. ამის შემდეგ ყველა ჯგუფი დამოუკიდებლად ჩაატარებს გამოძიებას. არაფატის ცხედარი კი იმავე დღეს კვლავ დაკრძალეს. იასირ არაფატი 2004 წელს პარიზის საავადმყოფოში ინსულტის დიაგნოზით გარდაიცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ საფრანგეთის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომლის მიზანიც იმის დადგენაა, შესაძლებელი იყო თუ არა არაფატი მოეწამლათ.



## ცირკის მფლობელს სპილოს დამცირებაში ადანაშაულებენ

**დიდი ბრიტანეთში ერთ-ერთი ცირკის მეპატრონე ციხეში მოხვდა, რისი მიზეზიც სპილოსადმი არასათანადო მოპყრობა გახდა.** ბრიტანული მედია წერს, რომ ცირკის მეპატრონეს ბრალი დაედო სპილოსადმი არასათანადო მოპყრობაში და სასამართლომ მას 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 69 წლის ბობი რობერტსი ციხეში მოხვდა იმის გამო, რომ 58 წლის ცხოველს, სახელად ანას უდიერად მოექცა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




„სტრესის, ანუ შიშის გამო გულისცემა სწრაფდება, სისხლი უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას და ხდება ადრენალინის გამომუშავება. აქედან გამომდინარე, ჩქარდება მეტაბოლიზმი და საბოლოო ჯამში, კალორიები იწვება“.






# მომავლის ლაინერი

**ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო ხშირად ვრცელდება ცნობები მსოფლიო ავიაკომპანიების ბიოსაწვავზე გადასვლის თაობაზე. ამ გზით ავიაგადამყვანები ეკოლოგიურად სუფთა საწვავის პოპულარიზაციას და გავრცელებას უწყობენ ხელს. რაც მთავარია, ბიოსაწვავი გარემოზე მავნე ზემოქმედებას ნაკლებად ახდენს. თუმცა, სპეციალისტთა აზრით, ამ ტიპის საავიაციო საწვავზე გადასვლასთან ერთად, დღეს ავიაციის განვითარების პერსპექტიული მიმართულება მისი ელექტროფიკაციაა.**

ელექტროენერგიაზე მომუშავე თვითმფრინავები სიახლე არაა. 3-4 კაცზე გათვლილი მცირე ზომის აპარატები, უკვე რამდენიმე წელია, დაფრინავენ. მაგრამ რა იქნება, თუ ელექტროენერგიით 100 მგზავრზე გათვლილი ლაინერი იფრენს?

ზოგს ეს იდეა სულელურად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ გერმანულ ფირმა Bauhaus Luftfahrt-ში სრულიად საპირისპირო აზრი აქვთ. კომპანია უკვე წლების განმავლობაში მომავლის ავიაგადაზიდვების სფეროში გერმანიაში მოქმედი მთავარი ორგანიზაციაა.

ამჟამად კომპანია ელექტროენერგიაზე მომუშავე თვითმფრინავ Ce-Liner-ის პროექტზე მუშაობს. თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების წყალობით, მისი რეალიზება 2035 წლისთვის იქნება შესაძლებელი. 189 მგზავრზე გათვლილი ლაინერი ფრენისას მხოლოდ ელექტროენერგიას მოიხმარს, ამ საწვავს კი განახლებადი წყაროებიდან მიიღებს.

თუ პროექტი რეალური განხორციელების სტადიაზე გადავა, მისი მშენებლობისას ყველაზე მოწინავე საინჟინრო გადაწყვეტილებები და თანამედროვე მასალები იქნება გამოყენებული.

# დიეტური ფილმები

**ვესტმინსტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი ფილმის ყურება ადამიანს გახდომაში ეხმარება. კალორიების წვაში ყველაზე უკეთ საშინელებათა ჟანრის ფილმები დაგეხმარებათ.**



„სტრესის, ანუ შიშის გამო გულისცემა სწრაფდება, სისხლი უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას და ხდება ადრენალინის გამომუშავება. აქედან გამომდინარე, ჩქარდება მეტაბოლიზმი და საბოლოო ჯამში, კალორიები იწვება“, — აცხადებს ვესტმინსტერის უნივერსიტეტის თანამშრომელი რიჩარდ მაკკენზი.

მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის ფარგლებში 10 მოხალისემ 10 საშინელებათა ჟანრის ფილმს უყურა. ექსპერიმენტის ბოლოს აღმოჩნდა, რომ კალორიების დასაწვავად საუკეთესო ფილმი „ნათებაა“. სეანსის დასრულ მაყურებლებმა საშუალოდ 184 კალორიის დაწვა მოახერხეს.

**რეიტინგი კი ასე გამოიყურება:**

1. „ნათება“ (184 კალორია)
2. „ყბა“ (161 კალორია)
3. „ეშმაკის განდევნა“ (158 კალორია)
4. „უცხოები“ (152 კალორია)
5. „ხერხი“ (133 კალორია)
6. „საშინელება თელების ქუჩაზე“ (118 კალორია)
7. „არანორმალური მოვლენა“ (111 კალორია)
8. „ტეხასური ჟლეტა ბენზოხერხით“ (107 კალორია)
9. „ალქაჯი ბლერიდან: საკურსო იმ ქვეყნიდან“ (105 კალორია)
10. „რეპორტაჟი“ (101 კალორია)

# ფიზიკური სავარჯიშოები ინტელექტს ამაღლებს

**კანადელი მეცნიერების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქტიური ფიზიკური ვარჯიშები ინტელექტს ამაღლებს. ექსპერტები ასობით მოხალისეს დააკვირდნენ და აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, რომლებიც ვარჯიშობენ, სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს. ვარჯიშის დროს ტვინის სისხლით მომარაგება იზრდება. კვლევის შედეგები გულ-სისხლძარღვთა ყოველწლიურ საერთაშორისო კონგრესზე წარმოადგინეს.**



მოხალისეების საშუალო ასაკი 49 წელი იყო. ყველა მათგანს ზედმეტი წონა და პასიური ცხოვრების სტილი ჰქონდა. ექსპერიმენტის დაწყებამდე ყველა მოხალისემ ნეიროფსიქოლოგიური ტესტი გაიარა.

მონაწილეები კვირაში ორჯერ ველოტრენაჟორზე ვარჯიშობდნენ. ორი კვირის შემდეგ ყველა მათგანის ორგანიზმში ცხიმის მარაგი საგრძნობლად შემცირდა და მათმა ტვინმა მუშაობა უკეთ დაიწყო. გარდა ამისა, კვლევის ავტორთა განმარტებით, ეს პროცესი არ ჩერდება, ანუ ვარჯიში და ადამიანის სწრაფად ფიქრის შესაძლებლობა ურთიერთკავშირშია.

რაც უფრო მეტს ვარჯიშობს ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი ინტელექტი. **მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითება დიდწილად სიბერის ბრალია, თუმცა ფიზიკური ვარჯიშებით ამ პროცესის შენელება შესაძლებელია.**



# ამერიკელებმა «ულვაშა 2012» აირჩიეს

**რობერ გულეს სახელობის აშშ-ის ულვაშის ინსტიტუტმა წლის საუკეთესო ულვაშა აირჩია. ჯილდო პიტსბურგის უნივერსიტეტის თანამშრომელ ადამ პოლ კოსგროუვს ერგო.**

კოსგროუვის კანდიდატურას ინსტიტუტის საიტის ონლაინ-არჩევნების მონაწილეთა 66%-მა დაუჭირა მხარი. სულ გამოკითხვაში 1,3 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. ულვაშიანების რეიტინგში მეორე ადგილი ლოსანჯელესელმა პოლიციელმა ტონი მიანომ დაიკავა, ხოლო მესამე — პარლამენტის მანდატურმა ტერი გეინერმა.

კოსგროუვი ფილანტროპიული საქმიანობისთვის დააჯილდოვეს. იგი რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილე და იმ ფონდის დამფუძნებელია, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების მიღებაში ეხმარება.

ჯილდოს დამფუძნებლები აღნიშნავენ, რომ პრემია ლაურეატს უნდა დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, თუ რაოდენ საპატიოა, წარმოადგენდე ულვაშიანთა საზოგადოებას. რობერ გულეს სახელობის პრემია 2007 წლიდან გაიცემა. ხოლო ულვაშის ამერიკული ინსტიტუტი, როგორც არაკომერციული საზოგადოება, 1965 წელს დაარსდა. **რობერ გულე ამერიკელი მომღერალი და მსახიობი იყო. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა „კამელოტში“ შესრულებულმა ლანსელოტის როლმა, რომელიც ბროდვეიზე 1960 წელს დაიდგა.**

# იტალიის რამდენიმე ქალაქის ჰაერში კოკაინი აღმოაჩინეს



**იტალიის დიდი ქალაქების მცხოვრებლებს, შესაძლოა, ეპატიოთ მათი მუდმივი აღგზნებულობა. იტალიის ატმოსფეროს დაბინძურების შემსწავლელი ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, ქვეყნის 8 დიდი ქალაქის ჰაერში კოკაინი აღმოაჩინეს.**

2006 წელს კოკაინი რომის ჰაერში აღმოაჩინეს. ახლანდელი კვლევების მიხედვით კი, ნარკოტიკული საშუალება პალერმოს, ბოლონიის, ფლორენციის, ტურინის, მილანის, ვერონასა და ნეაპოლის ჰაერშია აღმოჩენილი.

ჰაერში კოკაინის დონე არ არის იმდენად მაღალი, რომ ადამიანის გონებაზე იმოქმედოს. მარიხუანისა და კოფეინის დონე ჰაერში ზამთარში უფრო იზრდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანები თვითმკურნალობას მიმართავენ, როდესაც წლის ამ დროს გალიზიანება აღენიშნებათ.

# ფალსიფიცირებულ სასმელს ბოთლის გაუხსნელად ამოიცნობენ

**პრაღის ქიმიურ-ტექნოლოგიური უმაღლესი სკოლის მეცნიერებმა გამოიგონეს მეთოდი, რომლის საშუალებითაც ალკოჰოლურ სასმელებში მეთილის სპირტის შემცველების განსაზღვრა შეიძლება. ამის შესახებ სამეცნიერო ჯგუფის წარმომადგენელმა მიროსლავ ნოვატნამ განაცხადა.** მისი სიტყვებით, მას შემდეგ, რაც ჩეხეთში გახშირდა მოწამვლა ფალსიფიცირებული სპირტიანი სასმელებით, რომლებიც მეთილის სპირტის სასიკვდილო დოზას შეიცავდნენ, უმაღლესი სკოლის რამდენიმე ლაბორატორიის წარმომადგენელი სამუშაოს დამთავრების შემდეგ რჩებოდა სამსახურში, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაემუშავებინათ მომწამვლელი ნივთიერებების რაოდენობის განსაზღვრის სწრაფი მეთოდი.

მეთოდი დაფუძნებულია ბოთლების ლაზერით დასხივებაზე და ამ სხვის არეკლილი ნაწილის შემდგომ ანალიზზე კომპიუტერის მეშვეობით.

„ახალი მეთოდი ანალიზისთვის საჭიროებს ათჯერ უფრო ნაკლებ დროს და ღირს მნიშვნელოვანად უფრო იაფ“, — განაცხადა ნოვატნამ.

ბოთლში არსებული სითხის ჩვეულებრივი ქიმიური ანალიზი დღეისთვის ჩეხეთში 300-400 კრონა (15-20 დოლარი) ჯდება, მაშინ როცა ახალი მეთოდი ამ თანხას 10 კრონამდე (50 ცენტი) ამცირებს.

ამ მეთოდის ერთადერთი უარყოფითი მხარე ისაა, რომ მას ჯერ კიდევ არ გაუვლია სახელმწიფო სერტიფიკაცია.

ჩეხი მეცნიერების გამოგონებით უკვე დაინტერესდნენ მებაჟეები, მით უმეტეს, რომ, ხელსაწყო, რომელიც ბოთლების შემცველობის ანალიზს ატარებს, კომპაქტურია და ადვილად გადასატანია ერთი ადგილიდან მეორეზე. ჩეხეთში არსებული სტანდარტების მიხედვით, მეთილის სპირტის შემცელობა ერთ ლიტრ სასმელში არ უნდა აღემატებოდეს 12 გრამს. ეს ნიშნავს რომ მაგალითად, 50-გრადუსიან სიმაგრის „პალინკას“ (ხილის არაყი) 1 ლიტრში მეთილის სპირტის რაოდენობა 6 გრამზე მეტი არ უნდა იყოს.



ჩეხეთის სავაჭრო ქსელში მარტო სექტემბერში მიტანილი მეთილის სპირტის შემცველი ფალსიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმლის მიღების შემდეგ 76 ადამიანი იქნა ჰოსპიტალიზებული, რომელთაგან 27 გარდაიცვალა.

„25 წლის ასაკში ფილტვების ფუნქციონალურობა პიკს აღწევს, შემდეგ კი შემცირებას იწყებს. ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს ნორმალურია — 60 ან 70 წლის ასაკშიც მათი ფილტვები საკმაოდ კარგად მუშაობს. თუმცა, თუ ეწეოდით და თავი დაანებეთ, ფილტვებს გარდაუვალი ზიანი ადგება, რაც სხვა ასაკობრივ დაავადებებთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უარყოფითად აისახება“.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალები თამბაქოს 30 წლამდე უნდა შეელიონ

**უმჯობესია, ქალებმა მოწევას 30 წლამდე დაანებონ თავი. ასეთ შემთხვევაში მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების განვითარების რისკისგან ქალი მთლიანად თავისუფლდება. ამ დასკვნამდე ბრიტანელი მკვლევარები მივიდნენ. კვლევაში 1,2 მილიონი ბრიტანელი ქალი მონაწილეობდა.**

ჟურნალ Lancet-ში გამოქვეყნებული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ეწევიან, საშუალოდ 10 წლით ნაკლებს ცხოვრობენ არამწეველებთან შედარებით. ეს ეხება ისეთ მწეველებსაც, რომლებიც დღეში 10-ზე მეტ ღერ სიგარეტს არ ეწევიან.

მეცნიერები 15 წლის განმავლობაში იკვლევდნენ ქალებს, რომლებმაც მოწევა 50 და 60 წლის ასაკში დაიწყეს.

„ქალების ნახევარზე მეტი, რომლებიც მოწევას თავს არ ანებებენ, თამბაქოსგან კვდებიან. რაც უფრო ადრე იტყვიან უარს მოწევაზე, მით უკეთესია. ამ შემთხვევაში, იგივე ითქმის მამაკაცებზე“, — აცხადებს ოქსფორდის უნივერსიტეტის წამყვანი მკვლევარი სერ რიჩარდ პეტო.



ფილტვების დაავადებებთან ბრძოლის ბრიტანული ფონდის ექსპერტების თქმით, ჯანმრთელ ადამიანებს, რომლებმაც მოწევას 30 წლამდე ასაკში დაანებეს თავი, სიბერემდე მიღწევის შანსი მნიშვნელოვნად მეტი აქვთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ადრეულ ასაკში განუსაზღვრელი ინტენსივობით მოწევაა დასაშვები.

**„25 წლის ასაკში ფილტვების ფუნქციონალურობა პიკს აღწევს, შემდეგ კი შემცირებას იწყებს. ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს ნორმალურია — 60 ან 70 წლის ასაკშიც მათი ფილტვები საკმაოდ კარგად მუშაობს. თუმცა, თუ ეწეოდით და თავი დაანებეთ, ფილტვებს გარდაუვალი ზიანი ადგება, რაც სხვა ასაკობრივ დაავადებებთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უარყოფითად აისახება“.**



# სომელიემ ხელში 51 ღვინის ბოკალი დაიჭირა



**ბრიტანელმა სომელიემ ფილიპ ოსენტონმა ერთ ხელში ღვინის 51 ბოკალი დაიჭირა. შემთხვევა მოხდა პეკინში, სადაც ამჟამად ღვინის სპეციალისტი მუშაობს. შეიტანა თუ არა ოსენტონმა რეკორდის რეგისტრაციაზე განცხადება, უცნობია.** 43 წლის სომელიეს თქმით, მან ხელში დიდი რაოდენობის ჭურჭლის დაჭერა ლონდონის სასტუმროს რესტორნებში მუშაობისას ისწავლა. მას დროის მოკლე მონაკვეთში რესტორანში 140-ადგილიანი მაგიდის გაშლა და 280 ბოკალის (ორი სახეობის სასმელისთვის თითო-თითო ბოკალი) დალაგება უწევდა. ჯერჯერობით ოსენტონის მიღწევა დარეგისტრირებული არაა. გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მოქმედი რეკორდსმენი ფილიპინელი რეიმონდ ადინაა. მან ხელში 39 ბოკალის დაჭერა შეძლო. რეკორდი 2007 წლის 24 ოქტომბერს ესპანეთში დამყარდა.



# ხის მანქანა





**ვიეტნამელმა დურგალმა ხის მანქანა ააგო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს მეგობარმა ხუმრობით უთხრა, გაეკეთებინა ხის მანქანა. დურგალმა კი ხუმრობა პირდაპირი გაგებით მიიღო და გადაწყვიტა, მართლა დაეწყო მანქანის გამოთლა. ამ ყველაფერს მან 16 თვე მოანდომა.**

როდესაც მანქანა უკვე მზად იყო, მთელი მსოფლიოდან უამრავმა ფირმამ მიმართა შედევრის ავტორს და არც თუ ურიგო თანხაც შესთავაზეს, მაგრამ დურგალმა საკუთარი ნახელავი ვერავისთვის გაიმეტა, მით უფრო უცხოელთათვის და ყველა შემოთავაზებას უარით უპასუხა.












# ავტომანქანის კოშკი



**გერმანიის ქალაქ ვოლფსბურგში ტურისტებისთვის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილი „ფოლკსვაგენის“ ქარხანაა.** ავტომობილები უზარმაზარ კოშკშია წარმოდგენილი. მყიდველებს სპეციალური ლიფტის წყალობით სასურველი მანქანის შერჩევა და შეძენა შეუძლიათ. კოშკი შუშისაა და მისი ექსტერიერი განსაკუთრებით ლამაზი ღამით არის. ორივე კოშკი 60 მეტრი სიმაღლისაა და დაახლოებით 400 ავტომობილს იტევს. კოშკები „ფოლკსვაგენის“ ქარხანას მიწისქვეშა 700-მეტრიანი გვირაბით უკავშირდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსებობს უნიკალური ვიდეოფაქტი, რომელშიც გადაღებულია ანტარქტიდის სადგური. ამ ვიდეოში გარკვევით ჩანს ხვრელი დედამიწის ზედაპირზე, საიდანაც ალი ამოდის, თუმცა, კარგად თუ დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ კვამლი, არა ზევით, არამედ ქვევით არის მიმართული**



## ლიმუზინი — Batmobile

**ეს ძრავიანი თვითმავალი „ეტლი“ შეიქმნა ბეტმენის ავტომობილის სულისკვეთებით, ტიმ ბერტონის ხელმძღვანელობით 1989 და 1992 წელს გადაღებული ფილმების შესაბამისად.**

ლიმუზინის მფლობელია მილიარდერი ნიუ იორკიდან. ლიმუზინი სამთავრობო კლასის მანქანაა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს პირველი პირების, VIP – პერსონისათვის, TOP-ხელმძღვანელებისა და საზეიმო ღონისძიებებისათვის; ეს არამარტო ავტომობილია, არამედ კეთილდღეობისა და ფუფუნების სიმბოლოცაა.

ლიმუზინისათვის უარყოფითი მისი დიდი გაბარიტებია. ვიწრო ქუჩებში შეყვანასა და საცობებს შეიძლება პრობლემები მოჰყვეს, მითუმეტეს, პიკის საათებში.



## ჭკვიანი მადუღარა

**ხშირად ყავის მადუღარას ან ესპრესოს მოსამზადებელ მანქანას რამდენიმე ადამიანი იყენებს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, შემთხვევით სხვისი გემოვნებით შეკვეთილი ყავა დალიოთ ან თქვენ მიერ ჩამოსხმულ „ესპრესოს“ რძიანი ყავის გემო დაჰკრავდეს.**

ეს პრობლემა ჭკვიანმა ყავის მადუღარამ გადაჭრა. მაღალტექნოლოგიური მადუღარა თქვენთვის სასურველ ყავას დაიმახსოვრებს და ყოველთვის მას ჩამოგისხამთ.

მანქანა შემდეგნაირად მუშაობს: თავდაპირველად სენსორულ ეკრანზე ირჩევთ, როგორი ყავა გინდათ და მას თქვენს პროფილზე ხელის გულის ანაბეჭდთან ერთად ინახავთ.

მადუღარას ყოველი გამოყენების დროს თქვენ, უბრალოდ, დაადებთ ეკრანს ხელის გულს, მანქანა აღიქვამს მონაცემებს და თქვენთვის მოსაწონ ყავას ჩამოგისხამთ.

მაღალტექნოლოგიური ყავის მოსადუღებელ მანქანას Memory ქვია, რაც ქართულად მეხსიერებას ნიშნავს. პროდუქტმა 2012 წელს Electrolux Design Lab-ზე გაიმარჯვა.



# დედამიწის ცენტრის საიდუმლოებანი

**მეცნიერების გადმოცემით, დედამიწის ცენტრში არის ბირთვი, გავარვარებული მასა, მაგრამ რამდენად შეესაბამება ის სიმართლეს?**

**მეცნიერები იკვლევენ მილიარდობით სინათლის წელიწადით დაშორებულ ობიექტებს, ოცნებობენ უცხოპლანეტელებზე, სწავლობენ სხვადასხვა პლანეტას, არსებობს თუ არა მათზე რაიმე სიცოცხლის ნიშანწყალი, თუმცა რატომღაც ერიდებიან დედამიწას. ისინი საათობით საუბრობენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საგანზე, თუნცაც დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ არ სურთ საუბარი იმის შესახებ თუ რა ხდება მის ქვეშ.**

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, დედამიწის შუაგულში არის **„წარღვნამდელი ცივილიზაცია“**, ანუ სიცოცხლის ყველა ის სახეობა, რომელიც დედამიწაზე რამდენიმე ათასი და შესაძლოა რამდენიმე მილიონი წლის წინ იყო.

სხვა გადმოცემის თანახმად, რომელიც რელიგიური თვალსაზრისითაც შეგვიძლია განვიხილოთ, დედამიწის შუაგულში ცხოვრობენ დემონები (დაცემული ანგელოზები), რომელთაც იციან ყველანაირი ტექნოლოგია და დრო და პერიოდულად ამოდიან დედამიწის ზედაპირზე. გადმოცემის თანახმად, ადრე ხალხი მათ ჩვეულებრივ ხედავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა, შემდეგ გაჩნდნენ მასონები — რომლებიც ამ ბოლო დროს საგრძნობლად მომრავლდნენ ევროპულ ქვეყნებში – მათ აქვთ კავშირი დემონებთან, თუმცა უშუალო კავშირი მხოლოდ 32-ე და 33-ე საფეხურის მასონებს აქვთ.

**თუ ამ თეორიას დავუჯერებთ, მაშინ ფარდა ეხდება ყველა აუხსნელ საიდუმლოებას — პირამიდებს, ბერმუნდის სამკუთხედს და ა.შ. მასონი ქართულად ნიშნავს ქვის მთლელს, კალატოზს. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ისინი, უბრალოდ, შემსრულებლები არიან, რომელთა საშუალებით დემონები კავშირს ამყარებენ დედამიწასთან. ალბათ, ყველას გსმენიათ, როდესაც ადამიანები ყვებიან, რომ ისინი „უცხოპლანეტელებმა“ გაიტაცეს, მასზე ცდები ჩაატარეს და სხვა ამგვარი ისტორიები. ამ გადმოცემის თანახმად, ისინი, ვისაც ჩვენ უცხოპლანეტელებს ვუწოდებთ, სწორედ ჩვენს ქვევით მცხოვრები დემონები არიან.**

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, საქართველოში, კერძოდ ნუნისში, არის გამოქვაბული, რომელიც მიწისქვეშ ქალაქს უკავშირდება. ნუნისში ჩატარდა კვლევები როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ, თუმცა ნუნისი ისევ გამოცანად რჩება, დღემდე ვერავინ შეძლო ეს გადმოცემა დაემტკიცებინა ან უარეყო.

**დედამიწის ცენტრში სიცოცხლის არსებობა სულაც არ უარყოფს ცენტრული გრავიტაციის თეორიას, რომლის თანახმად, გრავიტაცია ცენტრისკენ არის მიმართული.** ეს მართლაც ასეა, მაგრამ რას წარმოადგენს დედამიწის ცენტრი? **მეცნიერთა გადმოცემით, ეს არის ბირთვი, გავარვარებული მასა, თუმცა ეს ასე არ არის. სხვა თეორიების თანახმად, დედამიწის ცენტრს წარმოადგენს ე.წ. ცენტრული მზე, რომელიც სრულიად განსხვავდება ჩვენი მზისგან. „ცენტრული მზე“ არის უდიდესი ენერგია, რომელიც აწვდის სითბოსა და სინათლეს ცენტრში არსებულ სიცოცხლეს (თუ ის მართლაც არსებობს).**

არსებობს უნიკალური ვიდეოფაქტი, რომელშიც გადაღებულია ანტარქტიდის სადგური. ამ ვიდეოში გარკვევით ჩანს ხვრელი დედამიწის ზედაპირზე, საიდანაც ალი ამოდის, თუმცა, კარგად თუ დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ კვამლი, არა ზევით, არამედ ქვევით არის მიმართული:

**როდესაც ჟიულ ვერნმა გამოსცა რვატომეული, არ არსებობდა არც წყალქვეშა ნავი („80,000 კილომეტრი წყალქვეშ“) და მით უმეტეს — არც კოსმოსური ხომალდი („დედამიწიდან მთვარემდე“), ამიტომ ისინი ითვლებოდა ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებებად. მას ხალხი იმ მიზნით კითხულობდა, რა მიზნითაც დღეს ჩვენ ვუყურებთ სხვადასხვა ფანტასტიკურ ფილმს. ხალხს ვერც კი წარმოედგინა, თუ ეს ფანტაზიები ოდესმე განხორციელდებოდა, მაგრამ გავიდა დრო და ადამიანმა შექმნა წყალქვეშა ნავი, მოგვიანებით შექმნა კოსმოსური ხომალდი და ის, რაც მანამდე, უბრალოდ, გასართობ ფანტასტიკად ითვლებოდა, რეალობად იქცა. პირველი კოსმოსური ხომალდი 1961 წელს იქნა გაშვებული კოსმოსში, ჟიულ ვერნიმ კი „დედამიწიდან მთვარემდე“ 1865 წელს გამოსცა. დღევანდელ დღეს ადამიანი ისეთი ტემპით ვითარდება, რომ შეუძლებელია განსაზღვრო, თუ რა იქნება 100 წლის შემდეგ, მაშინ საიდან იცოდა ჟიულ ვერნიმ 100 წლით ადრე ყოველივე ამის შესახებ?**







არსებობს ვარაუდი, რომ მას ჰქონდა გარკვეული სახის ინფორმაცია, ცნობები, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ წინასწარმეტყველებას რაციონალური ახსნა ჯერაც ვერ მოეძებნა.

ჟიულ ვერნის პირველი ტომი — „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ — დღემდე ფანტასტიკად ითვლება, დღევანდელ ადამიანთა უდიდესი ნაწილისთვის წარმოუდგენელია ის, რომ დედამიწის შიგნით რაიმე სახის სიცოცხლე შეიძლება იყოს, თუმცა რატომ არ შეიძლება პირველი ტომი ისევე შეესაბამებოდეს სიმართლეს, როგორც მე-2 („მოგზაურობა დედამიწიდან მთვარემდე“) და მე-5 („80 000 კილომეტრი წყალქვეშ“)?



## ჭიქა, რომელიც ყავის ჩასხმისას «იღვიძებს»

**დიზაინერმა დეიმონ ო სალივანმა შექმნა ჭიქა, რომელიც ყავის ჩასხმისას „იღვიძებს“.** თავდაპირველად ჭიქა შავი ფერისაა და „სძინავს“, ხოლო როდესაც ის ადუღებული წყლით ივსება, თეთრდება და „იღიმის“. დიზაინერი ამბობს, რომ ჭიქა ზუსტად გადმოგვცემს ახლადგაღვიძებული ადამიანის ემოციას, რომელმაც გამოსაფხიზლებლად ერთი ჭიქა ყავა უნდა დალიოს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 13 ყველაზე უჩვეულო ხიდი

**თბილისის საფეხმავლო „მშვიდობის ხიდი“ უკრაინულმა საიტმა techno.bigmir.net-მა 13 ყველაზე უჩვეულო ხიდების სიაში შეიტანა. როგორც საიტი წერს, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხიდი, რომლის სიგრძე 156 მეტრია, ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქის ისტორიულ და ახალ უბნებს. საიტის სიაში მშვიდობის ხიდმა მე-12 ადგილი დაიკავა.**

„საფეხმავლო მშვიდობის ხიდი საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. ნორმან ფოსტერის სტილში გადაწყვეტილი, მინის პანელებით გადაფარული ხიდი იტალიელმა არქიტექტორმა მიკელე დე ლუკიმ ფრანგ დიზაინერთან, ფილიპ მარტინოსთან, ერთად დააპროექტა. ხიდის კონსტრუქციაში განათების საინტერესო სისტემაა ჩამონტაჟებული: საღამოს საათებში 30 000 ნათურა მორზეს ანბანით ხიდის ორივე მოაჯირზე შეტყობინების ტრანსლირებას ახდენს. შეტყობინება მენდელეევის პერიოდული სისტემის ელემენტების სახელებისგან შედგება. არქიტექტორის თქმით, „ეს არის შეტყობინება — სიცოცხლისა და მშვიდობის ჰიმნი ადამიანებსა და ერებს შორის“, — წერს საიტი.



როგორც საიტი იუწყება, უამრავმა ადამიანმა ეს ხიდი პარიზის ეიფელის კოშკს შეადარა, რომელმაც თავის დროზე მაღალტექნოლოგიური არქიტექტურა და ქვეყნის ისტორიული მონაპოვარი გააერთიანა და ამით პარიზის არქიტექტურული ფორმები მთლიანად შეცვალა.

**მთლიანობაში სია ასე გამოიყურება:**



**Rolling Bridge, დიდი ბრიტანეთი.** სიგრძე — 12 მეტრი. არქიტექტორები: ტომას ჰივერვიკი, ენტონი ჰანტი, პეკმან ლუკასი. ეს მრგვალი კონსტრუქციაა, ხოლო კვირაში ერთხელ იშლება და ხიდად იქცევა.



**Henderson Waves, სინგაპური.** სიგრძე — 247 მეტრი. არქიტექტორები: კომპანია IJP Corp., RSP Architects Planners and Engineers ltd. ის ყურადღებას დიზაინით იქცევს და ამავე დროს სინგაპურის ყველაზე მაღალი ხიდია.



**Leonardo da Vinci brua, ნორვეგია.** სიგრძე — 50 მეტრი. არქიტექტორები: ლეონარდო და ვინჩი, ვებორნ სანდი, ტარია კოსკინენი, კნუტ სალბერგი. ამ ხიდის ესკიზი ლეონარდო და ვინჩიმ 1502 წელს შექმნა.



**Gateshead Millennium Bridge, დიდი ბრიტანეთი.** სიგრძე — 126 მეტრი. არქიტექტორები: კრის ვილკინსონი, ჯიმ ეირი. ხიდი მაღლა იწევა, რათა გზა გემებს დაუთმოს.



**Gesher Ha-Meitarim, ისრაელი.** სიგრძე — 360 მეტრი. არქიტექტორი: სანტიაგო კალატრავა.



**Royal Gorge Bridge, აშშ, დიდი კანიონი.** სიგრძე — 366 მეტრი, სიმაღლე — 321 მეტრი. არქიტექტორები: ჯორჯ კოული, ფრენკ სტელი. ეს ხიდი არკანზასის მდინარის დიდ კანიონზეა გადადებული. ეს კანიონი ცნობილი XIX საუკუნეში გახდა. აქ თვითნაბადი ვერცხლი აღმოაჩინეს.



**Wasserstraђenkreuz Magdeburg, გერმანია.** სიგრძე — 918 მეტრი. არქიტექტორები: კომპანია Ingenieurbტro Grassl GmbH Beratende Ingenieure Bauwesen. ხიდი ლაინერებისთვის შეიქმნა, ის წყლითაა სავსე და არხის როლსაც ასრულებს.



**Pont Gustave-Flaubert, საფრანგეთი.** სიგრძე — 670 მეტრი. არქიტექტორები: ემრიკ ზუბლენი, მიშელ ვირლოჟო, ფრანსუა ჟილარი.



**Storseisundet bru, ნორვეგია.** სიგრძე - 260 მეტრი. არქიტექტორი: ჯოშ ჰოლტი.



**Slauerhoffbrug, ნიდერლანდი.** სიგრძე — 15 მეტრი. არქიტექტორი: კომპანია Van Driel Mechatronica. ეს ხიდი გიგანტური ექსკავატორის როლსაც ასრულებს.



**Langkawi Sky Bridge, მალაიზია.** სიგრძე — 125 მეტრი. არქიტექტორები: კომპანია Peter Wyss, Hჯltschi & Schurter Dipl. Ing. ETH/SIA AG.



**Moses Bridge, ნიდერლანდები.** სიგრძე — 51 მეტრი. არქიტექტორები: კომპანია RO&AD Architects. ეს ხიდი მთლიანად წყალშია მოთავსებული.

# ჯადოსნური ბუმი
## ტექნო ბუმში

BOOM




**საჩუქრების ჩამონათვალი:**
LCD და LED ტელევიზორები, ნოუთბუქები, სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები, უთოები, ფენები, გამათბობლები, გაზქურები, მობილური ტელეფონები და სხვა საჩუქრები.

მსხვილი ტექნიკის შეძენისას–1 სასაჩუქრე ბარათი
ორი წვრილი ტექნიკის შეძენისას (თითოეული 100 ლარის ღირებულების)–1 სასაჩუქრე ბარათი

თბილისი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (საბითუმო ცენტრი)
ვაჟა-ფშაველას №21
ბათუმი: ბათუმი პლაზა, ჭავჭავაძის №5 (ბუმ ცენტრი)
გამსახურდიას №47
გორგილაძის (ერას) № 90
ქუთაისი: ზ. გამსახურდიას №47
ზესტაფონი: აღმაშენებლის №85
გორი: ცხინვალის გზატკეცილი №6, სავაჭრო ცენტრი გალერეა

ყველაზე დაბალი ფასი გარანტირებულია

www.technoboom.ge Tel: 243 01 02

Find us on Facebook



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894